



ფონდი და სტრუქტურა - სტერიტელი
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მიცემებისათვის სარია

მამუკა გიგაშვილი

ლეპტოპი პოლიტიკური პალის თაორიაში

დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გამომცემლობა „ნეკერი“
თბილისი 2001
01398-1

სერიის მთავარი რედაქტორი მარინე ჩიტაშვილი

რედაქტორი

ლია კაჭარავა

გარეკანის დიზაინი

ივანე კიუნაძე

დაკაბადონება

გიორგი ბაგრატიონი

კორექტორი

ნანა ჩავლეიშვილი

© ფონდი „ლია საზოგადოება — საქართველო“, 2001

ISBN 99928-58-45-1

სარჩევი

შესავალი	4
პოლიტიკური ძალის ცნება	8
პოლიტიკური ლიდერი და მისი ძალის განმაზლვრელი ფაქტორები	21
პრეზიდენტის ძალაუფლება და ბიუროკრატია	32
პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური ძალაუფლება	47
ინტერეს-ჯგუფები	62
მასშედია და პოლიტიკური ძალაუფლება	77
ტერორიზმი და პოლიტიკური ძალაუფლება	86
სახელმწიფო გადატრიალება	100
დასკვნა	110

ნინამდებარე წიგნში თავმოყრილია ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. არსებოთად ის ეხება პოლიტიკური მეცნიერებისათვის ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას. პოლიტიკური ძალა პოლიტიკური მეცნიერებისათვის ბაზისური კატეგორიაა იმდენად, რამდენადაც პოლიტიკურ ურთიერთობათა ველი შეიძლება გაგებული იყოს ძალათა ურთიერთობებედების სფეროდ როგორც სხვადასხვა სახელმწიფოებს, ასევე თავად სახელმწიფოს მიგნით არსებულ სუბიექტებს შორის. პირველი ამ ორი სფეროდან საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემებს ეხება, ხოლო მეორე შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში ძალათა განაწილების საკითხებს. ჩვენი ლექციების კურსი სწორედ ამ უკანასკნელთა გადმოცემით შემოიფარგლება.

პოლიტიკური ძალა წებისმიერი სახელმწიფოს თანმხლები იმანენტური შინაარსითა. თუმცა, სახელმწიფოს დამოკიდებულება საკუთარი მოსახლეობისადმი არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, სახელმწიფო თავად გამოდის გარკვეულ პოლიტიკურ ძალად საკუთარ მოსახლეობასთან მიმართებაში ხოლო მეორე მხრივ, იგივე მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს პოლიტიკური ძალის კონსტიტუირებაში.

შემდგომში, პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებით, ცალია, ჩვენ ხშირად მოგვინეულ სახელმწიფოზე საუბარიც. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან სახელმწიფოს სახე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასში გაბატონებულ პოლიტიკურ ძალაზე, არსებულ პოლიტიკურ რეჟიმზე. ამიტომ, როდესაც სახელმწიფოზე ვსაუბრობთ, უთუოდ დასაზუსტებელია არა მხოლოდ შესაბამისი პოლიტიკური რეჟიმი, არამედ სახელმწიფოს ზოგადი ტიპიც. სახელმწიფო კი არ ყოფილა ერთგვაროვანი სხვადასხვა ეპოქაში. სრულიად სხვადასხვა ტიპისა ანტიკური ქალაქ-სახელმწიფოები, შეუასუენების ფეოდალური სამეფო და ბოლოს, ვთქვათ, თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფო. პოლიტიკური ძალა თითოეულ მათგანში სრულიად განსხვავებული სახით ვლინდება მსგავსად იმისა, როგორც განსხვავებულია ის ტოტალიტარული რეჟიმის, დიქტატურის, თუ დემოკრატიული რეჟიმის ბატონობის შემთხვევაში.

მიუხედავად აღნიშნული თვალსაჩინო სახესხვაობებისა, რომელთა არსებობასაც ჩვენ სრულად ვითვალისწინებთ, ვერმდგანელობთ იდეით, რომ პოლიტიკური ძალა მის აბსტრაქტულ განშომილებაში ყველგან იდენტურია, როგორც საკუთარივ პოლი-

ტიკური ძალის ცნება. სხვა შემთხვევაში ჩვენი ლექციებიც დაკარგავდა გამართლებას, რადგან არააძსტრატეტულ ცნებით განზომილებაში, არამედ კონკრეტული პოლიტიკური რეალიზაციისას, პოლიტიკური ძალა ვლინდება სრულიად სხვადასხვა სახით.

რა თემა უნდა, ძალზე დიდია ცდუნება თვალი გადავაცლოთ პოლიტიკური ძალის მოდიფიკაციებს ისტორიულ ჭრილში. საქართველოსთან მიმართებით, ეს საშუალებას მოგვცემდა დაგვენახა, თუ როდის და რამდენად იყო ხალხი ქვეყანაში გამატონებული პოლიტიკური ძალის კონსტიტუციტი. ეს კი, თავის მხრივ, საფუძველს მოგვცემს გავაკეთოთ არაერთი და საკონკრეტო მორს მიმავალი დასკვნა ქართველების ნაციონალური იდენტურობის ან იმის თაობაზე, თუ რით არის გამოწვეული ქართველი ხალხის დღვევანდელი საოცარი პოლიტიკური ინიციულობა. ყოველივე ეს მაინც სხვა ტიპის ანალიზის საგანია, ვიდრე ლექციებშია შემოთავაზებული.

ლექციებისათვის პოლიტიკური ძალის გაშლის ის განზომილება შევარჩიეთ, რომელიც არანაკლებ აქტუალურია დღეს ჩვენი ქვეყნისათვის. სახელმწიფოს მოდელიად შემდგომში გაიხილება სტანდარტული დემოკრატიული რეჟიმი. საქართველოსაც ხომ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზანი აქვს დასახული. ასეთი არჩევანი იმით არის გამართლებული, რომ პოლიტიკური ძალის ყოველი კონკრეტული განზომილების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ, თუ რამდენად მიუახლოვდა ჩვენი ქვეყანა სტანდარტულ დემიკრატიულ სტრუქტურებს, რამდენად ნარმატიტულად მიმდინარეობს დემოკრატიზაციის პროცესი ჩვენში. სწორედ ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ყოველი შემდგომში გადმოცემული თემა (ჩვეულებრივ ეს ხდება ხოლმე დანარჩენი მასალის გადმოცემის პოლოს) მოიცავს გარკვეულ ქსტრაპოლაციას "ქართულ საკითხებზე". ჩვენ არ გვსური პოლიტიკური მეცნიერებების მიზნების პრობლემების გადმოცემისას მოღოლდ ზოგადი ფრაზეოლოგიით შემოვიდარეთ. სადაც კი პოლიტიკურ მეცნიერებას შეუძლია რამე აგვიხსნას გარემონტიველი მოვლენების შესახებ, უნდა გამოვიყნოთ ეს შესაძლებლობა.

ლექციების პირველი თემა, "პოლიტიკური ძალის ცნება" პოლიტიკური ძალის საწყის განსაზღვრებას იძლევა. ამავე თავში განისილება ტერმინი "პოლიტიკური", რომელსაც ანტიკური ნარმობავლობა აქვს და გამოკვეთილი სახით უკვე არის სტოტელებს ეთიკურ-პოლიტიკურ ტრაქტატებში გვხვდება. არის სტოტელებს შესეღულებებთან ერთად, შესავალ ნაწილში მკითხველი გაეცნობა პობსის, სმიტის და სპენსერის თვალსაზრისებსაც.

მეორე თემა შექმნა პოლიტიკური ლიდერის კატეგორიას. მართალია, პოლიტიკური ლიდერი არ წარმოადგენს პოლიტიკური ძალის აკუმულაციის ერთადერთ სუბიექტს, მაგრამ ამისდა მიუხედავად მისი როლი პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში ძალზე დიდია. პოლიტიკური ლიდერის კატეგორია, ლექციებში გატარებული თვალსაზრისის მიხედვით, დესკრიპციული ფრაზა ან პრედიკატული ტერმინია, რომელიც თანაბრად შეიძლება გავრცელდეს პოლიტიკური ძალის სხვადასხვა სუბიექტზე და მას სპეციფიკური ბიპევოიორიული ნიშნები მიენეროს. პრეზიდენტი სწორედ, ამგვარი პოლიტიკური ლიდერის ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს.

ლექციების მესამე თემა სწორედ საპრეზიდენტო ხელისუფლებას განიხილავს, პოლიტიკური ლიდერის რანგში. შეიძლება ითქვას, რომ უკვე ამ თემიდან იწყება სალექციო კურსის ერთერთი ძირითადი პრობლემის - ძალაუფლების დასხმინაციის - გადმოცემა. საპრეზიდენტო ძალაუფლება შეიძლება რეალიზებული იყოს მხოლოდ მის გუნდთან ერთად, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ ცხროვებაში განხორციელებულია როგორც ბიუროკრატია. მესამამისად, ლექციების მესამე თემა თანაბრად ეხება როგორც საპრეზიდენტო ხელისუფლებას, ასევე ბიუროკრატიისაც.

მეოთხე თემის საგანია პოლიტიკური პარტიები. ლექციებში გაანალიზებულია ევროპული და ამერიკული პოლიტიკური პარტიების, საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების ბუნება და პოლიტიკური პრაქტიკა. ვეცადეთ გვერცენებინა ის, თუ რას ემყარება პოლიტიკური პარტიების ძალა, რა შედეგები მოაქვს მათი განსხვავებული სახის აქტივობებს სახლმწიფოსა და მთლიანად პოლიტიკური ცხროვებისათვის.

პოლიტიკური ძალის დისსემინაციის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ინტერეს-ჯგუფები და ლობირების პრაქტიკა. ანიშნული საკითხი ჩვენში ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. ამიტომ, მეტათ თემაში, რომელიც მთლიანად ინტერეს-ჯგუფებს ქვება, განხილული ემპირიული მისაბადა ძირითადად იმ ქვენის (შექრიცებული შტატების) გამოცდილებას ყრდნობა, რომელსაც ინტერეს-ჯგუფების მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერეს-ჯგუფების მოღვაწეობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მახასიათებლები, ლექციებში ცცდილობით გავატაროთ აზრი, რომ ინტერეს-ჯგუფები და ლობირების პრაქტიკა, თუკი ის გაგებული იქნება დასავლეური სტანდარტების შესაბამისად, ე.ი. როგორც ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში გაშლილი მოღვაწეობა, არა მხოლოდ საფსებით შეთავსებადია დემოკრატიულ პროცესებთან, არამედ ის

უნდა განვიხილოთ, როგორც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი.

შევქვეც თემა ეხება მასმედიას, რომელიც პოლიტიკური ხელი-სუფლების, თუ ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესს ტრანსპა-რანტულს ხდის. თემის გადმოცემისას განხილული იქნება მასმე-დიის როლი და ადგილი როგორც ტოტალიტარულ, ასევე დემო-კრატიული რეჟიმის ანალიზისას.

შეშეიღე და მერცე თავებში წარმოდგენილია პოლიტიკური ძალაუფლების ფენომენი ნეგატიური მახსისათებლების საშუა-ლებით. როგორც ტერორიზმი, ასევე სახელმწიფო გადატრიალება, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმწიფო ძალაუფლების ნეგატიურ ვერიფიკაციას ახორციელებენ. ორივე მოვლენა მიმართულია სა-ხელმწიფო ძალაუფლების წინააღმდეგ და წინააღმდეგობის გზით ნათლად ნარმოდგენების ძალის წერტილებს სახელმწიფოში. განსაკუთრებით სახიტერესოა პოლიტიკური ძალის სტრუქტურა და სახელმწიფოს სხვადასხვა ტიპი გადატრიალების თვალსა-ზრისით, რადგან ამ აქციის მოთავეები ვალდებული არიან უშეცდომოდ დაძებნონ ძალის ცენტრები სახელმწიფოს სტრუქ-ტურებში.

ლექციების დასკვნითი ნაწილი აჯამებს განხილულ მასალას, რომელიც შეიძლოდ შეიძლასახელმწიფოებრივი სტრუქტურების გად-მოცემით შემოიფარგლება. სახელმწიფოთშორისი ურთიერთობები, რომლის დროსაც სახელმწიფო მთლიანობაში აღებული თავად გამოიყერება ძალის ერთ-ერთ ელემენტად სხვა ანალოგიურ ვალ-მენტებთან მიმართებაში, როგორც ზემოთ აღნიშნა, ლექციებში არ განიხილება. ჩვენი სალექციო კურსის ერთ-ერთ აძოცანას საკითხების იმგვარი გადმოცემა ნარმოდგენდა, რომელიც სწო-რედ აქამდე მიგვიყვანდა, ე.ი. მოამზადებდა მკითხველს პოლი-ტიკური ძალის თვალსაზრისით საერთაშორისო პოლიტიკურ სა-კითხების ანალიზზე, რომლიც, თავის მხრივ, შეიძლება განხი-ლული იყოს ასევე ძალის თეორიის კუთხით.

ლექციების ბოლოს კუბრუნდებით ქართული სახელმწიფო-ებრიობისა და პოლიტიკური ძალის დისემინაციის საკითხებს. მიუ-ხედავად იმისა, რომ ყოველი ცალკეული თემა შეიცავს მეტ-ნაკ-ლები ითენობის პასაუებს საერთოველოს შესაბამისი სტრუქტუ-რების შესახებ, ლექციების ბოლოს მაინც არის მცდელობა მათი ერთიანობაში ნარმოდგენისა უკვე ნაციონალური სახელმწიფოს როგორც ძალითი ერთეულის თვალსაზრისით თანამედროვე გლო-ბალისტური ტენდენციების ფონზე. ამავე დასკვნით თემაში შეჯა-მებულია პოლიტიკური ძალის ცნების ბუნების კვლევისას მომზ-ვებული მასალა და პოლიტიკური ძალის დისემინაცია.

პ ლ ლ ი ტ ი პ უ რ ი დ ა ლ ი ს ც ნ ი პ ა

ჰერბერტ სპენსერი მოგვითხრობს, რომ როდესაც ერთმა მოგზაურმა ჰკითხა ნიკობარელებს ვინ ატარებდა მათი ბელადის სახელს, მას დაცინვით და გაოცემით უპასუხეს, თუ როგორ იფიქრა მოგზაურმა, რომ ერთ კაცს შეეძლო ადამიანების ასეთ დიდ რაოდენობაზე მბრძანებლობა. ნიკობარელების გაოცება არ შეიძლება მხოლოდ მათი საზოგადოების პრიმიტიულობით აიხსნას. საზოგადოების პრიმიტიულობა სულაც არ არის მისი ნევროების პოლიტიკური თანასწორობის გარანტია. შეიძლება არა ერთი და ორი მაგალითის მოხმობა, რომელიც დაგვარჩიშვებდა, რომ პრიმიტიკული საზოგადოების ნევროებს შორის არსებობს მკაცრი სუბორდინაცია. სპენსერის მაგალითი უფრო კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სალ აზრს გვაცნობს, რომელიც ამ საზოგადოების კულტურული გარემონდან გამომდინარე, ერთი შეხედვით. ჩვენში გავრცელებულ სალ აზრთან მიმართებით კონტრასტულად გამოიყურება. ეს უკანასკნელი, რა თემა უნდა, მიიჩინება, რომ ერთ კაცს შეეძლია იბატონოს არა მხოლოდ ადამიანების მოზრდილ რაოდენობაზე, არამედ მილიონობით, ადამიანებზედაც, მაგრამ ასეთი დაწინმუნებულობა მაშინვე პრობლემების წინაშე დადგება, როგორც კი მოვითხოვთ ბატონობის მექანიზმების აქსნას. ფაქტია, რომ ასეთ დროს ბევრ ჩვენს თანამედროვესა და ნიკობარელებს შორის პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება.

ნება მომეცით, ჩვენი ლექციების კურსის დასაწყისში ამოსავალი და, მაშინადამე, არასრულყოფილი გამსაზღვრების სახით მივიღოთ, რომ სწორედ პოლიტიკური ძალაა იმ მექანიზმების და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ერთი შეხედვით აუქსნელს - ადამიანთა პატარა ჯგუფის ან გნებავთ ერთი, თუმცაც ფიზიკურად ძალზე სუსტი ადამიანის ბატონობას მილიონობით ადამიანზე. შემოთავაზებული თვალსაზრისი ახლოს დგას მაქს ვებერის გამსაზღვრებასთან, რომელიც თვლიდა, რომ პოლიტიკური ძალა ის საშუალებაა, რომლითაც შეგვიძლია ვაიძულოთ სხვა ადამიანი იმოქმედოს მისი ნების საწინააღმდეგოდ.

ჩვენი ლექციები ჩაიფიქრებულია, როგორც კურსი პოლიტიკური ძალის თეორიაში. შემდგომში ჩვენ ვისაუბრებთ "პოლიტიკურ ძალაზე" და "პოლიტიკურ ძალაუფლებაზე" იდენტური მნიშვნელობით, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, რომლებიც

სპეციალურად იქნება აღნიშნული და სათანადოდ კომენტირებული საჭიროების შესაბამისად. საქმე ისაა, რომ ქართულ სიტყვათხმარებაში "ძალაუფლება" ნაგულისხმები ძალის დაცვითი მიურობაზე მითითებას შეიცავს მაშინ, როდესაც პოლიტიკური ძალის ყოველი მანიფესტაცია ყოველთვის როდის იმთავითვე ლეგიტიმური; პოლიტიკური ძალის დე ფაქტო (de facto) არსებობა სულაც არ გულისხმობს მის დე იურე (de jure) უფლებამოსილებასაც. სრულიად სხვა საკითხია, თუ რა საშუალებებს პოლიტიკური ძალა საკუთარი არსებობის მართლზომიერების განსამტკიცებლად ან ის, თუ რას წარმოადგენს ამა თუ იმ პოლიტიკური ხდომილების კანონიერების დამადასტურებელი საბოლოო ინსტრუქცია. მომავალში ჩვენი ინტერესის ძირითადი საგანი იქნება პოლიტიკური ძალა წმინდა სახით, განურჩევლად იმისა თაქ მოხვეულია ის საზოგადოებისათვის, თუ ხალხის საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს. პოლიტიკური ძალის ლეგიტიმურობის საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, ცალკე უნდა განვიხილოთ.

ტერმინი "ძალა" შეიძლება შეცვებდეს სრულიად განსხვავებულ კონტექსტებში, განსხვავებული მნიშვნელობით. შეგვიძლია ვისაუბროთ ფიზიკურ, ბიოლოგიურ ან, სულაც, მორალურ ძალაზე. ძალა, რომელსაც ჩვენს ლეგიტიმებში განვიხილავთ ადამიანთა ურთიერთობის პოლიტიკურ განზომილებას განვითვნება და, როგორც ასეთი, ის პოლიტიკურ მეცნიერებათა შესწავლის საგანია. "ძალის" მნიშვნელობა თანდათაობით დადგინდება და დაიხვეწება. მანამდე კი ორიოდე სიტყვით უნდა დავახსიათოთ ის პორიზონტი, სადაც ძალის მანიფესტაცია ხორციელდება. დავსუათ კითხვა: ადამიანთა ურთიერთობის რა სახის განზომილებას გულისხმობს პოლიტიკა?

ინტერესის დონეზე, რა თქმა უნდა, ყველასათვის გასაგებია, თუ რას ნიშნავს "პოლიტიკა" და "პოლიტიკური". ამ სიტყვების გაგონებისთანავე არავის გაუჭირდება შემოხაზოს მოსაზღვრე ტერმინების მთვლი კონტაკუიური ველი და ისაუბროს "სახელმწიფოზე", "მმართველობაზე", "ხელშეკრულებებსა" და "კანონებზე", როგორც "პოლიტიკურის" შინაარსთან მჭიდროდ დაკავშირებულ ტერმინებზე. ტერმინი "პოლიტიკა" ძველი ბერძნულოდან მომდინარეობს. არისტოტელეს მეცნიერებათა კლასიფიკაციაში "პოლიტიკით" აღინიშნება ცოდნის ერთ-ერთი ყველაზე არსებოთი სფერო, რომელიც იქცემდებარებს სხვა მეცნიერებებს და პირველი ფილოსოფიის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ცოდნად არის მიჩნეული, რომლის შესწავლის ობიექტი უმაღლესი სათხოებაა. პოლიტიკა, როგორც ცოდნის სუვერენული სფერო, არისტოტელეს აზრით, მართვის პრინციპებს ადგენს და იქვემდებარებს იმ

მეცნიერებებს, რომელთაც უშესაღი შეხება აქვთ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

პოლიტიკური მეცნიერების ასეთი მაღალი შეფასება უშესაღოდ უკავშირდება მისი კვლევის ძრითადი თანიერის, ადამიანის მნიშვნელობას. ამიტომ, თუ გვსურს ვუძასუხოთ კითხვას, "რა არის პოლიტიკა", ჯერ ადამიანი უნდა შევისწავლოთ. ადამიანი, კი არისტოტელის განსაზღვრებით, არის პოლიტიკური არსება (dzooin politikon). ყველა სხვა არსებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანი ეწევა ცხოვრების პოლისურ, სახელმწიფობრივ წესს. სახელმწიფოში ადამიანები ურთმანეთთან შედიან მრავალგვარ ურთიერთობებში. ამ ურთიერთობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ურთიერთობებია და სახელმწიფოც ასეთი ურთიერთობების მთლიანობას წარმოადგენს. არისტოტელი ფიქრობდა, რომ ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური არსება. მსგავსადუ, სახელმწიფოც რაღაც ბუნებრივი წარმონაქმნია და არა ხელოვნური, ვთქავთ, ადამიონების მიერ კონსტიტუირებული გაერთიანება. სახელმწიფო გარკვეული მიზნობრივი ფუნქციის მატარებელია. ისევე, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი ხდომილება, სახელმწიფოც რაღაც მიზნისაკვენაა მიმართული და ამ მიზანს ადამიანების სრულყოფილი ცხოვრება წარმოადგენს.

სახელმწიფო ურთიერთობები მოიცავს არაერთგვაროვან მოვლენებს, დანებული საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებიდან, სავაჭრო, სამხედრო ურთიერთობებით დასრულებული. მათ შორის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე არისტოტელესათვის ოჯახური ურთიერთობებია. სახელმწიფო სტრუქტურულად შედგენილი ფენომენია. ანალიტიკურ ჭრილში მისი ბაზისური ნანილი ოჯახია. ოჯახურ ურთიერთობებზე უფრო როგორ სტრუქტურას წარმოადგენს დასახლება, როგორიც ოჯახების გაერთიანებაა, ხოლო რამდენიმე დასახლების გაერთიანებაა კი, თავის მხრივ შეადგენს სახელმწიფოს. სახელმწიფოებრივი ცხოვრებისაკენ მისნრავება მხოლოდ ადამიანმია "ჩადებული". ადამიანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი არსებაა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას მარტო, იზოლირებულად არ შეეძლია არსებობა. ჯოგური თანაცხოვრება არ გამოხატავს ადამიანური ყოფის არსა. არისტოტელე ითვალისწინებს, რომ ცოცხალ არსებებს შორის მხოლოდ ადამიანი არ არის იმგვარი, ვინც თავისი მსგავსებთან ურთიანობაში ცხოვრობს. ცხოველების, ტერმიტების არაერთი ნაირსახეობა არსებობს არამხოლოდ ჯოგური ფორმით, არამედ გარკვეული წესით სტრუქტურირებული ჯოგის სახითაც. ამიტომ იგი განსხვავებს ჯოგური ცხოვრების წესს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ცოცხალი არსებების იმ

სახეობებს რომლებიც ჯოგურიად არსებობენ პოლიტიკური არსებობა გააჩინათ. პოლიტიკურიად არსებობს მოლოდი ის არსება, რომელიც უბრალოდ ჯოგად კი არ ცხოვრობს, არამედ ცხოვრობს სიკეთის და სამართლიანობის სრული გაცნობიერებით და მათ შესაბამისად, ანუ სრულყოფილი ცხოვრების მოპოვებისაკენ მიმართული ცხოვრობს.

პოლისური ცხოვრების შემოთავაზებული დახასიათებიდან გასაგდია, რომ პოლიტიკურობა არ ვრცელდება არა მხოლოდ შველა ცოცხალ არსებაზე, არამედ არც ყველა ადამიანზე. ბარბაროსების უმრავლესობა არ ცხოვრობს პოლისური ცხოვრების წესით. ზოგიერთი მათგანი მარტო დაძრნის სარჩო - საბადებელის ძიებაში. ამგვარ არსებები, ანუ არსებები რომლებიც არ ცხოვრობენ პოლისური ცხოვრების წესით, არ არიან თვითკმარნი. არისტოტელე ამბობს, რომ ისინი ან ღმერთებს უნდა შევადაროთ და ან ცხოველებს, მაგრამ არა ადამიანებს.

სახელმწიფო, როგორც პოლისი მოქალაქეთა (polites) გაერთიანებაა. მოქალაქები სახელმწიფოში, როგორც უკვე ვიცით, გარკვეული წესით არიან ორგანიზებულნი და თავად ეს ორგანიზაცია სახელმწიფოებრივ მოწყობას (politeia) წარმოადგენს. თავის შერიც, მოქალაქედ ჩაითვლება მხოლოდ ის ინდივიდი, ვინც მონაწილეობას ღებულობს საკანონმდებლო ან სახამართლო საქმიანობაში. სახელმწიფო მოწყობა გარკვეულ წესრიგს გამოსატაჭს და გულისხმობს რიგი სახელმწიფოებრივი თანამდებობების განაწილებას. ხელისუფლების რაც უფრო მაღალ საფეხურზე ავტოგართ, მით უფრო ვუახლოვდებით სახელმწიფოს მართვის ბერკეტებს. შესაბამისად, ყოველი მოქალაქე ან მშართველი უნდა იყოს და ან მართული.

არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული ადამიანის განსაზღვრებიდან და იმ მსჯელობებიდან, რომელიც ადამიანს და სახელმწიფოს შეეხება ჩანს, რომ თუმცა პოლიტიკურობა ადამიანის არსობრივ განსაზღვრებადაა მიჩნეული, ის არ ვრცელდება ყველა ადამიანზე, რადგან, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველა ადამიანის მსგავსი არსება (იგივე ჯოგურიად მცხოვრები ბარბაროსი) ადამიანი არ არის. არისტოტელეს მიერ დევინიციის ასეთი შეზღუდვა საშუალებას გვაძლევს მისი პოლიტიკური დოქტრინის და ადამიანის განსაზღვრების უარყოფის გარეშე ვთქვათ, რომ პოლიტიკურობის ნიშანი ადამიანს ყოველთვის არ ახლავს თან. თუ ყურადღებას გავამახვილებთ ადამიანთა საზოგადოების ეკოლუციაზე, იოლად დავაზიქსირებთ, რომ პოლიტიკური ურთიერთობები წმინდა სახით არ არსებობდა ადამიანთა საზოგადოების ყოველ ეტაპზე. მართლაც, თუ საილუსტრაციოდ მითო-

სურ საზოგადოებას აყილებთ, რომელიც უმაღლესი სინკროტულობით გამოიჩინება, ვნახავთ, რომ ძალზე ძნელია ვილაპარაკოთ მითოსური ეპოქის ადამიანის პოლიტიკურობაზე. რაც უფრო ახლოს დგას ადამიანი მითოსურ ეპოქასთან, მით უფრო ძნელია მასში წმინდა პოლიტიკური მომენტების გამოყოფა. მითოსში ხომ განუყოფელ ერთიანობაშია პოლიტიკური ქმედების კანონები, მორალური თუ სამართლებრივი ყოფის ნორმები და რელიგიური დოგმატიკა. სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ ძველი ებრაული ბიბლიური საზოგადოება და ათი მცნება, რომელიც მოსემ დევთის კანაანით ჩაიწერა მთაზე. ეს მცნებები ლეთის მიერ ადამიანებისათვის განჩინებულ სამოქმედო პრინციპებს ნარმოადებს, რომელიც არც წმინდა მორალური, არც შოლოდ სოციალურ-პოლიტიკური, თუ სამართლებრივი ხასიათისაა, თუმცა შეიცავს ერთად აღებულ ყველა ამ განზომილებას. აღნიშნული ტიპის საზოგადოებისათვის, რომელსაც ყველა საფუძველი გვაქმნას თეოკრატიული ვუწოდოთ, ცხადია გადამზეყვატი მნიშვნელობა აქეს ქცევის ნორმების რელიგიურ წყაროს. მნელად თუ მოუკიდოდა ვინძეს თავში აზრად დადგენილი წესების ნიჩააღმდეგ ხმის ამღლება, მით უფრო აშერა გამოსვლა. მსგავსი საქციელი უთულდ იქნებოდა აღქმული ლეთის გმობად. საზოგადოების მოსალოდნებულ რეაციაზე საკმაო ნარმოდებებს გვაძლევს სოკრატეს გასამართლება და დასვა გაცილებით უფრო სეკულარიზებულ ბერძნულ საზოგადოებაში.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, პოლიტიკურ ურთიერთობებზე შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაინგრა მითოსური საზოგადოება, დასრულდა მითოსური ეპოქა. არისტოტელეს ადამიანის დევინიციასთან სრულ პარმონიაში, პოლიტიკურ ურთიერთობათა სანყისები უნდა ვეძოთ იქ, სადაც პოლიტიკური ქცევის განმსაზღვრელი პრინციპების წყარო არის თავად ადამიანი. ამასთან, მნიშვნელობა არა აქეს საქმე ქება საზოგადოების ჰიდა რეგულაციას (საშინაო პოლიტიკას), თუ მის დამკიდებულებას გარე, მსგავს საზოგადოებასთან (საგარეო პოლიტიკას). კურნის განმსაზღვრელი სუბიექტი როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ადამიანია, როგორც კოლექტივი, და მაშინ საქმე გვაქმნას დემოკრატიულ რეემთან და, როგორც ინდივიდი, და მაშინ შეიძლება საქმე გვქონდეს მონარქიასთან, დიქტატურასთან და ა.შ.

არსებობს კიდევ მეორე მიზეზი, ამჯერად უფრო ფაქტობრივი ხასიათისა, რომელიც შეიჩენული პოზიციის მართებულობის დამატებით არგუმენტად შეგვიძლია გამოვიყენოთ. საზოგადოების პოლიტიკურ ურთიერთობებზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ

მაშინ, როდესაც საზოგადოება დიფერენცირებულია პოლიტიკურად, მასში არსებობს გარკვეული იერარქიები და ა.შ. თუ ახლა ამ კუთხიდან შევხედავთ ძველი ეპრაელების "თეოკრატიკულ" თემს, წინამდლოლი მოსესა და მისი ძმის მღვდელი აარონის გარდა, სხვა დაბალი ან მაღალი რანგის მქონე ინდივიდის მოძიება გაგვიჭირდება.

პოლიტიკური ქცევა, როგორც ეს საკმარიდ ნათლად იყო მინიშნებული პოლიტიკური ძალის ვებერისტულ განსაზღვრებაში, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ქმედების განშ-საზღვრელ ისეთ ფაქტორთან, როგორიცაა თავისუფალი ნება. პოლიტიკური ძალის მანიფესტაცია შეიძლება ნარმოვიდებით, როგორც პოლიტიკური სუბიექტის მიერ საკუთარი ნების თავს მოხვევა ან გავრცელება საზოგადოების გარკვეულ ჯგუფზე ან მთელ საზოგადოებაზე.

სწორედ ნების ტერმინებში აღვინიერს პოლიტიკური ურთიერთობების საწყისებს თომას პობის. იმისათვის, რომ საზოგადოება ერთ მთლიანობად შეიკრას, ფიქრობს ის, საჭიროა გარკვეული ძალა, რომელიც შიშის ქვეშ აიძულებდა ადამიანებს ემიტებდათ საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. ამგვარი ძალა კი შეიძლება მხოლოდ ერთადერთი გზით ნარმოიშვას. კურძოდ, თუკი მოხერხდებოდა მოქალაქეთა ნების გაერთიანება ერთ საკრთო ნებად. ამგვარი საკრთო ნების მატარებელი რამ ჰობის ტერმინოლოგიაში სუვერენიდ იწოდება. სუვერენი უმაღლესი ძალის მატარებელი სუბიექტია და ყველა დანარჩენი მის ქვეშეკრდომად ითვლება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაზე აზრიანი საუბარი იქ, სადაც გარკვეული ჯგუფები თუ ცალკეული ადამიანები ერთმანეთთან ძალაუფლების ურთიერთობას არ კვეცენ. შესაბამისად, პოლიტიკური ძალაუფლება არის გარკვეული სოციალური ფენის, მისი ვლიტარული ნანილის, თუ, ბოლოს, თუნდაც ერთი ადამიანის უნარი განახორციელოს საკუთარი ნება იმ კოლექტივში, რომელსაც თავად მიეკუთვნება, ან განახორციელოს ეს ნება სხვა. უცნო კოლექტივის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება უფრო მეტია ვიდრე სახელმწიფო ძალაუფლება. პოლიტიკური ძალაუფლება, სახელმწიფო ძალაუფლებისაგან განსხვავებით არ ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით; სამართლებრივი ნორმების კოდიფიკაცია და ძალისმიერი ურთიერთობების გაშლა, სანქციები არ ამონებას პოლიტიკური ძალის გამოვლენის შესაძლებლობებს. პოლიტიკური ძალა შეიძლება კიდევ გამოვლინდეს პოლიტიკური პარტიების მოღვა-

ნეობის, ან სხვა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების (ფოქვათ, პროფესიული მოწოდების, მოძრაობების ან ფონდების) აქტივობის სახით.

პოლიტიკური ძალაუფლება ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა ძალის გამოყენების ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობა, გადაწყვეტილებათა ერთი ცენტრის არსებობა, სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში არბიტრის ფუნქციის აღება და ა.შ.

საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით შეგვიძლია ვაიძეულოთ იმოქმედოს არა მხოლოდ ადამიანმა, არამედ ცხოველმაც, თუმცა, ასეთ იძულებას ვერ ჩავთვლით პოლიტიკური ძალის გამოყენების შედეგად. პოლიტიკური ძალა მხოლოდ საზოგადოებაში ვლინდება და ის ნმინდა ადამიანური ფაქტორია, რომელსაც გარკვეული ფუნქცია ეკისრება. საკუთრივ საზოგადოებისათვის პოლიტიკური ძალის დანიშნულება მირითადად ორი ფაქტორით განისაზღვრება. ერთი გახლავთ საზოგადოების დაცვა, ხოლო მეორე მისი მართვა. ერთიც და მეორეც შეიძლება გაერთიანდეს სოციალური წესრიგის განძტკუცების ფენომენში. სოციალური და პოლიტიკური წესრიგი კი ის ფაქტორია, რითაც ინდივიდების უსტრუქტურო ერთიანობა, ჯოგი გასხვავდება საზოგადოებისაგან. ადამიანების ერთობლიობის სტრუქტურიზაცია, თავის მხრივ, გულისხმობს ინდივიდების ფუნქციონალურ დიფერენციაციას.

საზოგადოების დიფერენციაციის თაობაზე ყველაზე ნათელი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა ადამ სმიტმა. ეს დიუქრენციაცია ცნობილია შრომის დანანილების სახელით. "შრომის დანანილებაში" აქ არ იგულისხმება მესაქონლეთა ტოტალური ფენიდან ხელოსანთა, ან კიდევ მინადმოქმედთა ახალი ფენის აღმოცენება. შრომის დანანილება სმიტის დოქტრინაში განვითარებაში საზოგადოების უმნიშვნელოვანები მახსიათებელია და გულისხმობს შრომის პროცესის სეგმენტაციას ცალკეულ დეტალებად მეტი ეფექტიანობის მისაღწევად. დანანილებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ერთი მხრივ, ბაზრის "უჩინარი ხელის" მოთხოვილები და მეორე მხრივ, ისეთი ნმინდა ადამიანური და ძლიერი მასტიმულირებელი ფაქტორი, როგორიცაა ეგოიზმი. წარმოქის, გაცვლის, განანილების და მომარწმების წრებრუნვაში ადამიანები ფუნქციონალურად დიფერენცირდებიან საკუთარი ეგოისტური ინტრესებიდან გამომდინარე ისე, რომ ამ დიფერენციაციას არ მივყართ საზოგადოების ატომიზაციისაკენ, ის არ იწვევს საზოგადოების დაშლის. ვითარება უფრო საპირისპიროდ გამოიყურება. შრომის პროცესში რაც უფრო დიფერენცირებულია საზოგადო-

ება, სოციალურად მით უფრო მოწოდითურია ის, მით უფრო ესაჭიროება მის თითოეულ ინდივიდს მეორე, რომლის აქტიური თანადგომის გარეშე ის ვერ დაიკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებებს. ამგვარი ვითარება იოლი ასახსნელი იქნება, თუ გავთვალისწინებთ, რომ შრომის დანაწილება ხორციელდება არა მშობლივ როგორი, არამედ ისეთი უმარტივესი პროდუქტის ნარმოებაზე, როგორიცაა ქინძისთვის.

თავის მხრივ, შრომის დანაწილება ინდივიდების საქმიანობის კოორდინაციას გულისხმობს და რადგან სიტყვა საქმიანობის კოორდინაციას შექმნა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ უკვე ამ ეტაზზე ადგილი უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ძალის გამოვლენას, რომლის ერთ-ერთ ძრითად ფუნქციად ახლახანს მართვა დასახელდა, მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც ჩანს, შრომის დანაწილების სმიტისეული კონცერტის ავტომატური გავრცელება პოლიტიკურ ხდომილებებზე რა თქმა უნდა იმთავითვე ყალბი არ არის, მაგრამ ის სათანადო შემოწმებას და კვლევას მოთხოვს. საქმე ისაა, რომ წესრიგი რომელიც მყარდება ბაზრის მოთხოვნილების და ეგოიზმის კარნაზით არ არის ადამიანის მიზანდასხული საქმიანობის შედეგი, ის არ არის ცნობიერი ქმედება, რომელსაც მიზნად ექნებოდა ადამიანთა საქმიანობის დიფერენციაციის გზით საზოგადოების კონსოლიდაცია. თავად ადამ სმიტი შრომის დანაწილებაზე სულ სხვა კონტესტში და სხვა მიზნებით საუბრობდა. ამიტომ, იმაზე შორს ვიდრე შრომის დანაწილების ეკონომიკური ასპექტებია, სმიტი აღარ წასულა. შრომის დანაწილება როგორც სოციალური წესრიგის განმტკიცების უძრავნელოვანების ფაქტორი, მასთან დარჩა ბაზრის საჭიროების და ინდივიდუალური მოთხოვნილების კომპინირებით მიღებულ გვერდით მოვლენად.

ჰერბერტ სტენსერი ერთგან როგორდაც ეხმანება სმიტის დოქტრინას. იგი საუბრობს იმის შესახებ, რომ შრომის დანაწილება და სოციალური დიფერენციაცია საზოგადოებაში ორგვარად, ცნობიერად და არაცხობიერად ხორციელდება. არაცხობიერი დიფერენციაციის სტენსერისული გავტა დიდად არ განსხვავდება სმიტის თეორიისაგან. რაც შეეხება საზოგადოების ცნობიერ და მიზანდასახულ დიფერენციაციას, იგი პირველისაგან განსხვავდით სტიქიური კი არ არის, არამედ პოლიტიკური სუბიექტების მიერ სოციალური წესრიგის შექნის მიზნით ძალის გამოყენებით ხორციელდება. ძალის სუბიექტი ახორციელებს კონტროლისა და დაქვემდებარების მიმართებათა გენერირებას. ის მიმართები სოციალური წესრიგის განმტკიცების თვალსაზრისით საკსეპით პოზიტიური მოვლენებია. კონტროლი და დაქვემდებარება პოლი-

ტიკური ძალის მატარებელი სუბიექტის ხელში ნარმოადგენს აუცილებელ ინსტრუმენტებს რომლითაც მიიღწევა სოციალური წესრიგი. ამით კი ხორციელდება საზოგადოების წევრების ურთავ-ლესობის როგორც კოლექტიური, ასევე ულემენტარული ინდივი-დუალური მოთხოვნილებები - საზოგადოების დაცვა და მართვა.

საზოგადოების მართვის და სასიცოცხლო ფუნქციონირების სპეცისტის ული ასხა გარკვეულ დამატებით კომენტარს საჭიროებს. მართალია სპეცისტის არ უარყოფა შრომის დანაწილების სტიქიური მოდელი, მან სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის განმტკიცების ფუნქცია დაუტოვა მას, მაგრამ ამ პროცესში, სპეცისტი გადამზევებული უპირატესობას პოლიტიკური ძალის, როგორც საკუთრივ ძალის მანიფესტაციას ანიჭებს. წესრიგი საზოგადოებაში მცხოვრები ინდივიდუებისათვის თავსმოხვეული ვალდებულებაა, რომელსაც თავისი გარკვეული ლირებულებები გააჩნია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სპეცისტი არ სცნობს (ძნელია ვთქვათ, არ იცნობს) სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცების სხვა ფორმის გარდა ძალის გამოყენებით განმტკიცებისა. ასეთი პოზიცია დამატებით დაზუსტებას საჭიროებს, რადგან რადიკალურად უპირის-პირდება ბრიტანული, განსაკუთრებულად ლიბერალური ტრადიციის მიერ შემუშავებულ თვალსაზრისს.

შიოთხე და სპეცისტი კადევ უფრო ადრე, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს შეეხმ ინგლისელი ფილოსოფოსი თომას პობსი. იგი თავის ცნობილ პოლიტიკურ ტრაქტატში, "ლეგიათანმში" აღნიშნულ პრიბლემაზე წერდა, რომ უმაღლესი ხელისუფლების მოსაპოვებლად ორი გზა არსებობს. ერთი გზა, ეს არის ფიზიკური ძალა, მაგალითად, როდესაც ვინმე აიძულებს ბავშვებს მორჩილებას დასჯის მუქარით ან როდესაც ომის გზით უძველდებარებს საკუთარ წებას მტრებს და სანაცვლოდ სიცოცხლეს უნარჩუბებს მათ. მეორე გზა გულისხმობს ადამიანების ნებაყოფლობით თანხმობას დაემორჩილონ ერთ ადამიანს ან ადამიანთა საკრებულოს იმედით, რომ მათ დაიცავნ ყველა სხვა სახის ძალადობისაგან. ასეთ სახელმწიფოს, ე.ი. სახელმწიფოს, რომელიც ემყარება კოსენსუს, პობსი პოლიტიკურ ანუ შეთანხმების საფუძველზე შექმნილ სახელმწიფოს უწოდებს და განასხვავებს მას სახელმწიფოსაგან, რომელიც ძალადობის გზით აღმოცენდა.

ახლა, თუ დავუპრუნდებით პრობლემას, რომლის გამოც გაერჩენეთ პობსის "ლეგიათანი", შეგვიძლია კითხვა ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ: რატომ აკეთებს აქცენტირებას სპეცისტი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ძალისმიერ ფორმაზე და რატომ არ

უნევს იგი ანგარიშს ბრიტანული ტრადიციის მიერ აღიარებულ ისეთ ფორმას, როგორიცაა კონსენსუსი?

ამ კითხვას შეგვიძლია ორი ამსხველი მოსაზრებით ვუპასუხოთ. პირველი შექხება სპეციალის დოქტრინის ზოგად ხასიათს. იგი პოლიტიკური ძალაუფლების, ისევე როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების ყველა სხვა ფორმის ფესვებს ბიოლოგიურ ფენებში ექვნს. დღიდა მასზე სახეობათა შორის არსებობისათვის ბრძოლის თეორიის ზეგავლენის კვალიც. ამიტომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რის გამო მიანიჭა უძრატესობა სპეციალის ნესრიგის განმტკიცების ძალადობრივ ფორმას, უთუდ ამ ზეგავლენით უნდა აიხსნას.

მეორე ახსნას უფრო პოლიტიკური ულერადობა აქვს. საქმე ის არის, რომ ყოველგვარი ძალაუფლება საბოლოო ჯამში ემყარება საზოგადოების წევრთა კონსენსუსს იყვნენ მართული პოლიტიკური ძალის მატარებელი სუბიექტის მიერ. რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი თანხმობა მხოლოდ კონვენციონალურად მიიღწევა და ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიერი, მხოლოდ ძალის გამოყენებით, რაც იმის ნიშავს, რომ არსებული პოლიტიკურ-სიციალური სტრუქტურები ერთ შემთხვევაში მიღებულია მისი წევრების ნების თანხმობით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ნების სანინაალმდევობად. მაგრამ ამ რი შემთხვევას შორის კონტრადიქცია მოჩენებითი აღმოჩნდება მაშინვე, როგორც კი საზოგადოება საკუთარ ნებას დაუმორჩილებს ძალადობას. თუკი ხალხი განუწყვეტილი დაუმორჩილებლობით არ უპასუხებს (თუნდაც ძალის გამოყენებით) თავსმოხვეულ ნესრიგს, წმინდა ნებელობით მიმართებაში ამგვარად მიღებული ნესრიგი არანაკლებ ჩაითვლება კონსენსუსის შედეგად ვიდრე მაშინ, როდესაც იგი გაზიარებულია საყოველოთაო თანხმობის შესაბამისად.

ყოველივე ეს რა თქმა უნდა არ ნიშავს, რომ პოლიტიკური სხეულის კონსტიტუირების აღნიშნული ორი გზა იღენტურია. არც იმგვარი დასკვნების გაკეთება შეგვიძლია, თითქოს არ არსებობს პრინციპული სხვაობა ძალადობით და თანხმობით შექმნილ სახელმწიფოებს შორის. ერთადერთი მორალი, რომელიც შეგვიძლია გამოვიტანოთ პრინციპული კონსენსუსის თეზისიდან უფრო ზოგადფილოსოფიურია და იგი შექხება ადამიანის პასუხისმგებლობის და თავისუფლების საკითხს. პეგველი სავსებით მართლურად მიიჩნევდა, რომ ყოველი საზოგადოება იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც მას ჰყავს. ადამიანი თავისუფალია მეტაფიზიკურად, ამიტომ საზოგადოება, რომელიც ითმებს მასწინჯ, დანაშაულებრივ რეჟიმს არანაკლებად არის პასუხისმგებელი მისი არსებობის გამო, ვიდრე ის საზოგადოება, რომელიც მიესალმება

ასეთ რეუიმს და ილებს მას საყოველთაო გარიგების შედეგად. ფაქტია, რომ როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს კონსენსუსს, თავისუფალ ნებათა პრინციპულ თანხმობას.

ჩვენ საფუძველი არ გვაქვს გამოვრიცხოთ, რომ სპენსერს გათვალისწინებული არ ჰქონდა აღნიშნული კოთარებები და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ იგი სავსებით უფლებამოსილი იქნებოდა ესაუბრა პოლიტიკური რეუიმის განმტკიცების მხოლოდ ერთ ფორმაზე.

ამრიგად, თუ შევაჯვამებთ მოყვანილ მოსაზრებებს, შევგიძლია ჩამოვაყალიბოთ ტერმინ "პოლიტიკის" ასეთი "უნიფიცირებული" განსაზღვრება: პოლიტიკა არის ძალაუფლებაში მონაბილურისაკენ სწრაფა, სულ ერთია ის მიმართული იქნება სახელმწიფოს შორის ურთიერთობებისაკენ თუ განვითარდება სახელმწიფოს შიდა ჯგუფებს შორის. შემოთავაზებული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ძალაუფლება განისაზღვრება, როგორც უნარი მოხდინოვნების ზე ზეგავლენა გააკეთებინო ის, რასაც იგი არ გააკეთებდა სხვა შემთხვევაში. "ძალაუფლების" და "პოლიტიკის" ეს განსაზღვრები, როგორც ვხდეთ, მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ერთმანეთს აფეშნებს.

პოლიტიკური ძალაუფლების მხოლოდ მოცემულობა არ იძლევა მისი განხორციელების გარანტიას. იმისათვის, რომ პოლიტიკური ძალაუფლება განხორციელდეს, საჭიროა ორი ძირითადი პირობის მოცემულობაც. ერთი მათგანი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო მეორე მიღებას გადაწყვეტილების გატარების კომპეტენციას. პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნებისმიერი ნებელობითი აქტი. გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, მიღებულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება მისაღწევი მიზნები, დიფერენცირებული და შეფასებული იქნება ამ მიზნების მიღწევის საშუალებები. რაც შეეხება მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციას, ის გულისხმობს როგორც მოქმედებების ერთიანობას, ასევე საჭირო რესურსების მობილიზაციას. მას შემდეგ, რაც ასეთი რესურსები მობილიზებულია, მიზანი კი შერჩეული და განხორციელების საშუალებებიც მოძიებული, ვერი თვით განხორციელებაზე მიღდება. ძალაუფლება ხორციელდება ან (ა) იძულებით, ან (ბ) დარწმუნებით და ან, ბოლოს (გ), მატერიალური წახალისებით. აღნიშნული მიმართები სახვადასხვა პოლიტიკოსის მიერ სხვადასხვა სტილში ხორციელდება. ყოველ პოლიტიკოსს გააჩნია მისთვის დამხასიათებელი ხელწერა. როგორც, ვთქვათ, მაკაველი პოლიტიკოსების დამახასიათებელ სტილზე საუბრისას, განასხვავებდა "ლომ" და "მელა" პოლიტიკოსებს.

პოლიტიკური ძალაუფლების შემოთავაზებული დახასიათება არც ერთადერთია და არც ყველაზე უკეთესი. თუმცა, იგი გვაცნობს ძალაუფლების ძალზე მნიშვნელოვან და, შეიძლება ითქვას, ბაზისურ კონცეფციას, რომელიც ფიგურირებს პოლიტიკური მეცნიერებების კლასიკოსების უმტკიცეს ნაწილთან. რას წარმოადგენს ძალაუფლების სხვა სახის კონცეფციები?

ერთ-ერთი კონცეფცია პოლიტიკურ ურთიერთობათა არენას წარმოადგენს პოლიტიკური ძალების ბაზრად. პოლიტიკური ბაზარი თავად არეგულირებს "უჩინარი ხელის" საშუალებით პოლიტიკურ ურთიერთობებს. პოლიტიკურ ძალაზე, ამ დოქტრინის მიხედვით, ზემოქმედებს საბაზრო ურთიერთობათა ყველა პრინციპი. შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბრით პოლიტიკური ძალის ყიდვა-გაყიდვაზე, მათზე არსებულ მოთხოვნილებაზე, შეთავაზებაზე, სწრაფვაზე მოგებისაკენ, ფასების რეგულირებაზე, მყიდველ-გამყიდველთა შორის კონკურენციაზე და ა.შ. ამ დოქტრინაში, რომელიც დამკიდრიდა ამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებაში მეოცე საუკუნის შუა ნლების შემდეგ, ძალზე საინტერესო მომენტია ძალაუფლების ლეგიტიმურობის საკითხი, რომელიც ზოგადი კონცეპტუალური სქემის შესაბამისად პოლიტიკურ ძალის ფულის ანალოგით იგებს. აქედან გამომდინარე, იქმნება საშუალება იმისა, რომ ვიღაპარაკოთ როგორც პოლიტიკური ძალის დევალვაციაზე, ასევე მის მიმართ ნდობის შესუსტებასა, თუ გამჟარებაზე. აღნიშვული თვალსაზრისი, რომელიც წარმოადგენს ადამ სმიტის თეორიის გაფართოებას და გადატანას წმინდა ეკონომიკიდან პოლიტიკურ სფეროზე, ითვალისწინებს აღნერილი ურთიერთობების რეალობაზე ხსიათს. ის ითვალისწინებს იმასც, რომ მიუხედავად პოლიტიკური ბაზრის "უჩინარი ხელისა", რეალურ პოლიტიკაში ადგილი აქვს ძალზე ბევრ არალეგიტიმურ მოქმედებას, რომელთა აღვეთა, ამ თეორიის მიმდევართა აზრით, სახელმწიფომ უნდა იკარიოს.

პოლიტიკურ ურთიერთობათა კიდევ ერთი მოდელი პოლიტიკას თეატრს ადარებს და ძალთა ჭიდოლს თუ თანაფარდობას თამაშის ტერმინებით აღნერს. თამაშის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფლუექტუაციებს და მთელი თეორიული სისტემა აღმართულ გათვლებზე ფუნქციონირებს.

პოლიტიკურ ურთიერთობათა საბაზრო და თამაშის მოდელების დესკრიფიციები აქ მოვიყენეთ როგორც ძალაუფლების არაიერარქიული სისტემების ინტერპრეტაციები. ძალაუფლების არაიერარქიული თეორიების ნინამორბედად უნდა მიგრინოთ ნორვეგიელი პოლიტოლოგი სტეინ როკანი. როკანი ამჟამაც და ძალაუფლების არაიერარქიული გამლის თეორიას მეოცე საუკუნის

ეფრობული დემოკრატიების მაგალითზე. ის საუბრობდა ერთგვარ "პოლიარქიაზე", რაც რეალური ძალაუფლების არარხებობის მოწვენებითობას ქმნის. არსებობს მოწვენებითობის რეალობად ქცევის საშიშროებაც, თუკი ძალის გაშლის პროცესი სტიქიურად გახვითარდა.

მოუხედავად იმისა, რომ არაიერარქიული ძალაუფლების თეორიები ძალზე საინტერესო მოდელებს გვაცნობს, შემდგომში ჩვენ შემოვთხლუდებით ძრითადად საპირისპირო, იერარქიული მოდელის გადმოცემით, რომელიც ძალაუფლების კლასიკურ დოქტრინებს ემყარება და გვაცნობს ძალაუფლების ბაზისურ ცნებას.

ძირითადი ცნობები:

პოლიტიკა - პოლიტიკური ძალა - ძალაუფლება

კითხვები:

1. როგორ განვსაზღვროთ ტერმინი პოლიტიკური ძალა?
2. რა არის პოლიტიკური ძალაუფლება?
3. რა განსხვავებაა პოლიტიკურ ძალაუფლებასა და სახელმწიფო ძალაუფლებას შორის?
4. რა არის პოლიტიკური ძალის პირველი ორი ბაზისური ფუნქცია სოციალურ წესრიგთან მიმართებაში?
5. სახელმწიფოს შექმნის რა გზები არსებობს?

დამატებითი ლიტერატურა:

- Аристотель "Никомахова этика" "Большая этика" "Политика". В кн. Аристотель собр. соч. в 4-х томах. т.4. Изд. "Мысль" М.1984.
- Томас Гоббс "Левиафан". В кн. Т Гоббс Собр. сочю в 2-х томах т2 Изд."Мысль". М 1991.
- Адам Смит "О природе и причинах богатства народов" т. I, главы I-IV. СОЦЭКГИЗ, М.1935
- Джон Локк "Два трактата о правлении" в кн. Джон Локк Собр соч. т.3 Изд. "Мысль" М. 1988

პოლიტიკური დიდების და მისი
პალის განვითარების და მისი
ფაქტორის

იმისათვის, რომ უკეთ გავხაზდებოთ პოლიტიკურ ლიდერთან დაკავშირებული პრობლემები და ვისაუბროთ პოლიტიკური ლიდერის ძალის განსაზღვრულ ფაქტორებზე, რომლებიც თავს-თავად შეიძლება სრულიად განსხვავდებული ფსიქოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, თუ სხვა ხასიათისა იყოს, დასაწყისში ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯონთ ისეთი ტერმინები, რომლებიც შეიძლება არასწორი ინტერპრეტაციის წყაროდ იქცეს. რა თქმა უნდა, არავინ აურევს "პოლიტიკურ ლიდერში", ისეთი ტერმინების მნიშვნელობებს, როგორიცაა "დიქტატორი", "უზურ-პატორი", "დესპოტი" და "ტირანი", მაგრამ გამორიცხული არ არის ამ ტერმინების რელურენტების ცალკეული ფუნქცია გაუმართლებლად მივაწეროთ პოლიტიკურ ლიდერს.

ტერმინი "დიქტატორი" (dictator) ძველ რომში აღნიშნავდა თანამდებობის პირს, რომელსაც რესპუბლიკის პერიოდში, ძნელბეჭობის უამს სკანატი აძლევდა განუსაზღვრელ უფლებამოსილებებს. დიქტატორი საკუთარი შექვედულების მიხედვით ირჩევდა თანამემნებებს, დებდა პოლიტიკურ ხელშეკრულებებს, იწყებდა და ასრულებდა ომს და ა.შ. დიქტატორის ამვარ დახასიათებაში იგულისხმება, რომ აღნიშნული უფლებები დიქტატორს ლეგიტიმურად აქვს მიღებული. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ (როგორც წესი ეს ვადა არ აღმატებოდა 6 თვეს) ან შეს შემდეგ, რაც სახელმწიფოს თავიდან პქონდა აცილებული მომაკვდინებელი საფრთხე, დიქტატორი ისნიდა უფლებამოსილებებს. რომის რესპუბლიკის კრიზისის პერიოდში, როდესაც აშკარა გახდა, რომ რესპუბლიკური ფორმა ვეღარ უზრუნველყოფდა რომაელების შხარდ პოლიტიკურ ამბიციებს, რომის ნობილიტეტში თავი იჩინა ტენცენციებმა ამა თუ იმ პოლიტიკოსს სამუდამოდ შეენარჩუნებინა დიქტატორის უფლებამოსილებები უმნიშვნელო რესპუბლიკური შეზღუდვებით. აშკარა განხირახვების რეალიზაციისათვის ძალიზე დიდი მნიშვნელობა პქონდა არმიას როგორც ძალაუფლების ხელში ჩაგდების ძირითად იარაღს. რომის ისტორიიდან ცხობილი კუსრის და პომპეუსის ისევე, როგორც ოქტავიუსა და ანტონიუსის კონფლიქტები ამ მნივე ძალიზე მდიდარ საილუსტრაციო მასალას იძლევა.

ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დიქტატორი და კონკრეტული ტულ პიროვნების არჩევას ქვეყნისათვის ექსტრემალურ პირობებში. სწორედ ექსტრემალურობა ახდენდა გადამწყვეტი ზეგავლენას დიქტატორის მოქმედებათა ნებზე, გადაწყვეტილებათა მიღების და მიღებული გადამწყვეტილების გატარების ტექნილოგიაზე. ყველაფერმა ამან ერთად სპეციფიკური მნიშვნელობა დაუმჯობიდან ტერმინი "დიქტატორისაც". ვითარებიდან გამომდინარე, დიქტატორი ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს, ახორციელებდა მათ უყოფმანოდ და ვინმეს მიერ კრიტიკული შეფასების დაუთმენლად. დიქტატურის საქმიანობა ძალზე კარგად ჩანს ობიექტურ დონეზე, ყოველგვარი სუბიექტური მინარევებისაგან დამოუკიდებლად იმ სამოქმედო წესების ხასიათში, რომელსაც გამოსცემს დიქტატურა. თუ მკაცრად ვიტყვით, დიქტატორი ადგენს არა კანონებს განზრობულს ხანგრძლივი ვადისათვის, არამედ ბრძანებულებებს ერთჯერადი პოლიტიკური ხდომილებისათვის ან გამოსცემს ედიქტებს ლოკალური და შეზღუდული სამოქმედო ვადით.

სწორედ ამ და მსგავსმა გარემოებებმა შესძინა ტერმინ "დიქტატორის" მნიშვნელობას ნებატიკური ელფერი, გაათავაზარა ის ამ თუ იმ პირის უკანონ და სისხლიან მმრანებლობასთან.

"დიქტატორის" პოლიტიკური მნიშვნელობა არ მოითხოვს, რომ ტერმინი აუცილებლობით შეესაბამებოდეს მხოლოდ ერთ პიროვნებას. დიქტატურები არც მხოლოდ ანტიკური ისტორიის კუთვნილებაა (ოლივერ კრომველი ინგლისში მონარქიის ლიკვიდაციის შემდგომ ან კადაფის და პუსეინის მეოცე საუკუნის დიქტატურები ლიბიისა და ერაყში) და არც ერთპიროვნული მმართველობისა: დიქტატურა შეიძლება იყოს გარკვეული ჯგუფის (კოქათ, იაკობინელების ან ბოლშევკების დიქტატურები) პოლიტიკური მმართველობის ფორმა.

როგორც ტერმინ "დიქტატორის" საწყისი ფორმის ანალიზიდან ვნახეთ, მის შინაანსში იმთავითვე არაფერია კანონსანინააღმდეგო. დიქტატორი ხელისუფლების სათავეში არ მოდის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებით, თუ რამეს საკარი მაქინაციების წყალობით. ამგვარი პოლიტიკური სუბიექტი, ე.ი. პირი, რომელიც უკანონოდ ითვისებს ხელისუფლებას, ჩვეულებრივ აღინიშნება ტერმინით "უზურპატორი", რომელიც სხვა შინაარსისაა და არ ემთხვევა "დიქტატორს". რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახელმწიფო გადატრიალება შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების უზურპაციიად. თუმცა, "უზურპაცია" ტრადიციულად უფრო ფრთხო მნიშვნელობისაა და აღნიშვნება არა მხოლოდ პოლიტიკური მმართველობის, არამედ საერთოდ რაიმეზე ვინმეს

კანონიერი უფლებების მითვისებას.

როდესაც საქმე ეხება უძალლესი ხელისუფლების მემკვიდრეობით ფორმის, მასზე "კანონიერი უფლებების" პრეტენზიები მონარქის მემკვიდრეობს აქვთ და შესაბამისად, უზურპაცია ხდება მაშინ, როდესაც მონარქით წარმოდგნილ ამა თუ იმ ქვეფის პოლიტიკურ რეჟიმში ირლევა მემკვიდრეობითობის პრინციპი. ტერმინი "მონარქი" ძველბერძულია და სიტყვა სიტყვით ერთ-მართველს უტოლდება. ერთმხართველი შეიძლება იყოს მაპი, ფარაონი, იმპერატორი, სულთანი და ა.შ. ტერმინი "მონარქში" არ იგულისხმება, რომ მონარქი აუცილებლად მეფეა, მით უფრო ისეთი, რომლის უფლებამოსილება მემკვიდრეობით გადაეცემა მთა-მომვალს, თუმცა ჩვენში გაყიდვულებული ტერმინის ორილინარეული მნიშვნელობა სწორედ ამგვარ გაგებას წამოსწევს ნინ. თუ აქცენტირებას გავაკეთებთ არა ამ არამედ "მონარქის" რეალურ მნიშვნელობაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონარქი არის არა მხოლოდ მეფე ან ფარაონი, არამედ ტირანიც, რადგან დიქ-ტატურისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება კოლეგიური მმართველობის ფორმა იყოს, ტირანია ყოველთვის ერთ-მმართველობას წარმოადგენს.

გავრცელებული მნიშვნელობით ტირანი მოძალადე მმართველია. ძალადობა, ჩვეულებრივ არც დიქტატურას აკლია, მაგრამ ამ ორ პოლიტიკურ ფენომენს შორის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დიქტატურა კოლეგიური, გნებავთ გუნდური მმართველობის სახეს იღებს, ის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რომ თუ დიქტატურა მაინც გულისხმობს საზოგადოების მართვას სპეციალისტური, რეგულატორული წესების მიხედვით, ტირანი, როგორც წესი, მოქმედებს კოლუნტარისტული იმპულსების, გუნდა-განწყობილების კარნასით, რაიმე აღიარებული პრინციპების გაუთვალისწინებლად. მართვის ამგვარი სპეციფიკა ტირანის მოქმედებას პრაქტიკულად არაპროგნოზირებადს და საზოგადოების უსაფრთხოების ცხოვრებისათვის ძალზე საშიშს ხდის. მართლაც, ტირანულ რეჟიმში არ არსებობს გარკვეული და გრძელვადიანი ქცევის ნორმები, რომლებიც კვეშევრდომებს უსაფრთხოების ელემენტარულ გარანტის მისცემდა. შემთხვევითი როდია, რომ ძველი ავტორები ტირანის ყოველთვის ნეგატიური მმართველობის ფორმებთან აკავშირებდნენ და სთვლიდნენ მას პოლიტიკური ცხოვრების ნორმალური ფორმებიდან გადასრულდნენ. "ტირანის" ასეთი ნეგატიური გაგება მას ტერმინ "დესპოტის" რეცერვნტან ახლოებს.

"დესპოტისა" და "დესპოტიაში" ფიქსირებულია "ტირანის" ქველა ნეგატიური მომენტი. თავად "ტირანის" ცნება არ გულისმობს, რომ მისი რეფერენცი არ არის გონიერი, მიზანშირაფული

და რიგი სხვა ისეთი პოზიტიური პიროვნული თვისებების მქონე პოლიტიკური სუბიექტი, რაც საჭიროა პოლიტიკური წარმატებისათვის. ტირანისაგან განსხვავებით დესპოტი როგორც სუბიექტი აბსოლუტურად ნებატიურია. ორივე ტერმინი, "ტირანიც" და "დესპოტიც" ბერძნული სიტყვებია და ისინი შეუზღუდვავი ძალაუფლების მქონე პირს აღნიშნავს. მაგრამ ტირანისაგან დესპოტს მაინც განასხვავებს რიგი სუბიექტური და ობიექტური თვისებები. სუბიექტური თვალსაზრისით, დესპოტი სისხლისმოყვარული ტირანია, რომის ძალადობრივი მოქმედებანი სცილდება ყოველგვარი რაციონალურობის საზღვრებს. თუ ტირანი ქვეშევრდომებს სკის ძირითადად საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების ან შენარჩუნების ამოგანიდან გამომდინარე, დესპოტი რეპრესიებს თავად რეპრესიებისათვის მიმართავს. ასეთი ელემენტი დესპოტის მოქმედებაში გვიჩვენებს არა მხოლოდ მის ირაციონალურ ხასიათს, არამედ საეჭვოდ ხდის მმართველის გონიერივ სიჯანსალეს და გვიძინებებს ვიფიქროთ დესპოტზე, როგორც სისხლისმოყვარულ და შეშლილ მბრძანებელზე. ისტორიულად დესპოტიები აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა, სადაც არ არსებობდა პოლიტიკური სუბიექტის ძალაუფლების შეზღუდვის არანარი მექანიზმები.

არსებობს დესპოტის აღწერილი სახის ქცევის, რა თქმა უნდა, არა გამამართლებელი, არამედ ამსხნელი ობიექტური გარემოებები. საქმე ის გახსნავთ, რომ დესპოტი არა მხოლოდ შეუზღუდველი შმართველია ყოველივე იმისა, რაც მისი მბრძანებლობის კვეშ მოეცევა, არამედ ერთადერთი მფლობელიც. დესპოტიაში უმაღლეს მმართველს აქვს უფლება ისე განკარგოს ნებისმიერი ქვეშევრდომის სიკედილ-სიცოცხლე, მომავალი ბედი, როგორც მისი საკუთარი ნებისმიერი ნივთისა. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს გარკვეულ ობიექტურ ასსას, თუ რა უდევს საფუძვლად დესპოტის უსაზღვრო ძალაუფლებას ქვეშევრდომებზე. მართვის წესის, რეპრესიების, თუ აღვირაბსნილობის თვალსაზრისით, რომის ზოგიერთი იმპერატორი (ვიტეზ, კალიგულა, ნერონი ან პელიოგაბალი) თავისუფლად შეიძლებოდა დესპოტიად დაგვეხსიათებინა. ძირითადი, რაც მათ ძველი აღმისავლენის დესპოტებისაგან განასხვავებს, არის რომის მოქალაქეების სამართლებრივი საფუძვლი, რაც იმპერატორებს არ აძლევდა საშუალებას დე იურე (de jure) ისე მოსყრობოდა რომაელებს, როგორც პირად საკუთრებას.

დაუბრუნდეთ ახლა ჩვენი ინტერესის ძირითად საგანს, პოლიტიკურ ლიდერის. პირველი, რაც მას ყველა ზემოთაღნერილი მმართველისაგან განასხვავებს ის არის, რომ ტერმინი "პოლიტიკური ლიდერის" რეზურენტი აუცილებლობით ასოცირებულია გუნდური შმართველობის ფორმასთან. ლიდერი პარტიის, ორგანი-

ზაფირის, მოძრაობის, თუ გაერთიანების სათავეში მყოფი, მისი წარმმართველი სუბიექტია. არ არსებობს ლიდერი გუნდის გარეშე და ეს თვისება ლიდერის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

პოლიტიკური ლიდერი უნდა განვასხვავოთ ყველაფერ იმისაგან, რაზედაც აქამდე იყო საუბარი. პოლიტიკური ლიდერი არ არის აუცილებლობით პოლიტიკური იქრარქიების სათავეში მყოფი პირი. ეს კი ხდება არა იმიტომ, რომ ლიდერის ფენომენი გამორიცხავს ხელისუფლების სათავეში ყოვნას ან იერარქიულობას, არამედ უპირველესად იმის გამო, რომ ლიდერის ცნებას გამოკვეთილი ოპერაციონალისტური ხასიათი აქვს. პოლიტიკური ლიდერი არის პოლიტიკოსი ქმედებაში, სულ ერთია ეს პოლიტიკოსი უმაღლესი ხელისუფალია თუ არა. პოლიტიკური ლიდერის ცნება გვიჩვენებს, თუ რა ფუნქციის მატარებელია, რა სამუშაოს ასრულებს ესა თუ ის სუბიექტი და არა იმას, თუ როგორია მისი სტატუსი. იმის ხაზეასამეღად, რომ პოლიტიკური ლიდერის ცნება უფრო ოპერაციონალური კატეგორიაა და ის გვიჩასიათებს მოქმედი პოლიტიკისათვის გზის მიმცემ, განსაზღვრულ სუბიექტს, ხშირად აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური ლიდერი კი არ გვაძლება ვიმოქმედოთ, არამედ მხოლოდ განგვიპობს და გვიპიძებს მოქმედებებსაკუნ, რაც ყოველთვის როდი შესაბამება რეალობას.

ლიდერობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ სხვადასხვა მიმართებით, სხვადასხვა კოთარებაში. შეიძლება ვისაუბროთ სპორტული გუნდის ან ფინანსური ჯგუფის ლიდერზე. ჩვენი ინტერესის ძირითადი საგანია პოლიტიკური ლიდერი და მისი დამოუკიდებულება პოლიტიკურ ძალაუფლებასთან. შესაბამის კანტექსტებში ჩვენ უნდა ვისაუბროთ ამა თუ იმ პოლიტიკური დაჯგუფების, პარტიის, პოლოს საერთო ნაციონალურ ლიდერზე. იმ შემთხვევებში, როდესაც საერთო ნაციონალური ლიდერის ცნება უმაღლესი ხელისუფალის ცნებას დაუახლოვდება, შეგვიძლია ძალაუფლების ზემოთ მოვაწილო განსაზღვრების შესაბამისად ნაციონალური პოლიტიკური ლიდერის ცნება სტანდარტულად განვისაზღვროთ, როგორც ხელისუფლების იქრარქიების სათავეში მყოფი სუბიექტი, რომელსაც ძალუბმ, მოსახლეობა აამოქმედოს იმის გასაკეთებლად, რასაც ისინი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდნენ ("მოსახლეობაში" აქ იგულისხმება სახელმწიფოს მთელი შემადგენლობა). იგივე განსაზღვრება სხვაგვარად შეიძლებოდა ასე გამოკვეთქვა: ნაციონალური პოლიტიკური ლიდერობა მდგომარეობს უნარში აამოქმედოს სახელმწიფოს წევრები.

პოლიტიკურ ლიდერზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ლიტერატურაში ხშირად გამიჯნავენ ერთმანეთისაგან

ფორმალურ და არაფორმალურ პოლიტიკურ ლიდერებს. ამასთან, არაფორმალური პოლიტიკური ლიდერის ცნება ყოველთვის არ ემთხვევა ფარული და გონიერი მრჩევლის ცნებას. აღნიშნული გამოჯვენა აზრიანია კიდევ იმიტომაც, რომ დაუაუიქსიროთ პოლიტიკური ლიდერის და უმაღლესი ხელისუფალის ცნებებს შორის განსხვავება. დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური - მეუე - მხოლოდ ფორმალური და ცერემონიალური ლიდერია ქვეყნისა მაშინ, როდესაც სახლმწიფოს პოლიტიკური ლიდერი რეალურად არის პრემიერ-მინისტრი, რომელიც იმავლიულად მართველი პარტიის ლიდერიც არის. მსაგვარი ვითარება პოლიტიკურ ლიდერებთან დაკავშირებით ევროპის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შემორჩენილია მონარქია ან სადაც ე.წ. საპარლამენტო სახელმწიფოები არსებობს. ასეთ ქვეყნებში პრეზიდენტები, მონარქების მსგავსად, მხოლოდ ნომინალური ნაციონალური ლიდერები არიან, როგორც, ვთქვათ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც თავის დროზე ადენაუერმა სხვადასხვა პოლიტიკური მანევრით მარჯვედ შეზღუდა ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილება.

საინტერესოა, რომ ტრადიციულად პოლიტიკური მეცნიერება დიდ ადგილს როდი უთმობდა პოლიტიკური ლიდერის ფერმენტის შესწავლას. პარალელურ კონტექსტებში, ჩვეულებრივ, ის ამჯობინებდა შემოფარგლულიყო უმაღლესი ხელისუფალის ფერმენტის შესწავლით. პოლიტიკური ლიდერის ცნებას პირველად დიდი მთშველობა დაუმიეს იმ ავტორებმა, ვინც ელიტებს იკვლევდა (პარტო, მოსკა). ზოგჯერ აღინიშნება, რომ აქცენტების გადანაცვლება უმაღლესი ხელისუფალის კვლევიდან პოლიტიკური ლიდერის კვლევისაკენ გამოწვეულია იმით, რომ მეოცე საუკუნეში კაშაშა პოლიტიკური ფიგურები თანდათანობით ადმინისტრატორებმა და მენეჯერებმა შესკვალეს. ეს თვალსაზრისი, თუ მეოცე საუკუნის პოლიტიკური ისტორიის ფაქტებიდან გამოვალთ, საკმაოდ ანგარიშგაბასნევია. მართლაც, მეორე მსოფლიო ომში ჩაბმულ სახელმწიფოებს ჭრიშმარიტად გამოიჩინეული ფიგურები ედგნენ სათავეში. თითოეულმა მათგანმა - რუსელტმა, ჩერჩილმა, სტალინმა, თუ პიტლერმა არა მხოლოდ იმის მიმდინარეობაზე იქნიეს დიდი ზეგავლენა, არამედ წარუშლელი კვალი დაატყვეს საკუთარ ქვეყნებს. ამბობენ, რომ რუსელტმა შეერთებულ შტატების დემოკრატიას პრაქტიკულად მისცა ის სტრუქტურა, რომელმაც ეს ქვეყანა შემდგომ მსოფლიო ძალის სახელმწიფოდ აქცია, ხოლო სტალინმა შექმნა მისი სრული ანტიპოდი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო ბატონობისათვის ეპროდა პირველს. უთუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ გამორჩეულ პოლიტიკურ ფიგურებს მოღვაწეობა მოუ-

ნიათ მათი ქეყნებისათვის, ისევე როგორც მსოფლიო ისტორიისათვის კრიტიკულ პერიოდებში. სიტუაციის კრიტიკულობა კი გამოიჩინება (მნიშვნელობა არა აქვს მთლიანობაში დემოკრატიული თუ ავტორიტარული) თვისებების მქონე პოლიტიკოსებს საჭიროებდა. თუკი, ახლა აღნიშნულ კრიტიკულ სიტუაციებს შევადარებთ ომისშემდგომი უკროპის და ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებას, იოლად აღმოვაჩინა "ადმინისტრატორი", "მენეჯერი" უმაღლესი ხელისუფალების მომრავლებას. მას შემდეგ, რაც თითოეული სახელმწიფოს სტატუსი და პოლიტიკური მომავალი მეტ-ნაკლებად გაირკვა, უპირატესობა მიენიჭა გამართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების და ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობების რაციონალურ მართვას და არა ექსტრაორდინარულ პოლიტიკურ მანევრებს.

ყოველივე ის, რაც ახლა ლიდერების და უმაღლესი ხელისუფალების ცნებების განსხვავების ილუსტრაციად გამოვიყენოთ, გამოდგება მაგალითად კიდევ ერთი პრობლემისათვის, რომელიც კარგა ხანია განიხილება პოლიტიკურ ლიტერატურაში. მარქსიზმი ეს საკითხი მოიხსენიებოდა როგორც "დიდი ადამიანების თეორია". მთლიანობაში ამ პრობლემათან დაკავშირებით არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი. ავტორების უმეტესი ნაწილი თვლის, რომ ლიდერების როლი პოლიტიკურ ისტორიაში უწინდენელობა და რომ თავად ლიდერები მთლიანად დამოკიდებული არიან გარემო პირობებზე და არა მათ პიროვნულ, შინაგან მახსიათებლებზე. ის, რაც აქმდე მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიჩინება პოლიტიკური ფიგურების მოზღვავებაზე ითქვა, შეიძლება გამოყენებული იყოს სწორედ ამ თვალსაზრისის დასკავად. კერძოდ, შეჯვისტია ვთქვათ, რომ არსებობს პოლიტიკური თამაშების შესაბამისი ფუნქციები და როლები, რომელებიც სიტუაციების მიერაა კონსტიტუირებული. მსგავსად ცვლადებისა პროპოზიციულ ფუნქციაში, ეს ადგილები უნდა შეივსოს გარკვეული თვისებების მქონე სუბიექტების მიერ. თუ ამა თუ იმ სუბიექტის პიროვნული თვისებები უპასუხებს გარემოს მიერ ნაყიშებულ მოთხოვებს, ეს სუბიექტები დაიკავებენ შესაბამის ადგილებს პოლიტიკური თამაშის ველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტების გამოიჩინება თვისებებს მნიშვნელობა არა აქვს. სწორედ ამის გათვალისწინებით ამბობენ, რომ ლიდერებს (როგორც ეს იყო დე გოლის ან ჩერჩილის შემთხვევაში) უწევთ ხოლმე დაელოდონ შესაბამის სიტუაციებს. სხვადასხვა სიტუაცია სხვადასხვა ლიდერს მოითხოვს. ეს თეზისი აღმართ გარკვეულ ახსნას აძლევს არცთუ მარტივად გასაგებ ისტორიულ ფაქტს, თუ რატომ ჩამოიცილეს თვითდან ასე იოლად პიროვნული

გამოცდილებით და ინტელექტით გაცილებით უფრო დაბალი კონდიციის მქონე პოლიტიკურმა პოლიტიკურმა საბჭოთა სპეცსამსახურების შეფი, ბერია, რომელმაც სტალინის სიკვდილის შემდეგ, ძლიერების უმაღლეს ხარისხს მიაღწია.

ავტორთა მეორე ჯგუფს (მათი რაოდენობა შედარებით მცირება) მიაჩინია, რომ პიროვნებას ნამდვილად შეუძლია გადამწყეტი როლის შესრულება კონკრეტულ ისტორიულ მოქმედში და რომ, ვთქვათ, სტალინის გარეშე არ იქნებოდა ცივი ომი, ხოლო ჯომისნის გარეშე ამერიკის შეჭრა ვიუტნამში.

იმისათვის, რომ ამა თუ იმ პირმა პოლიტიკური ლიდერობა გასწიოს საჭიროა ერთი მხრივ შესაბამისი პიროვნული თვისებები და მეორე მხრივ შესატყველის სიტუაციური ველი. პოლიტოლოგიაში ლიდერის როლისა და ფუნქციების ანალიზისათვის უნდა იცოდეს როგორც ლიდერის მოტივაცია და სტილი, ასევე გარემოც. თავად ლიდერი არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს გარემოს რომელშიაც მას უწდება მოქმედება. მან მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც საკუთარი ხალხის ხასიათი, ასევე მიმდინარე პოლიტიკური მოქმედში, საერთაშორისო ვითარება და მისი გარემომცველი იმსტიტუტები. პოლიტიკური ლიდერის როლის შესახებ თუ მოდავე ჯგუფს შორის ჭეშმარიტება სადღაც შეუში უნდა ვეძებოთ. საფიქრებელია, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც ლიდერზე, მის გადაწყვეტილებაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული და პირიქით, როდესაც არჩევანის გაკეთების არეალი ძალზე შეზღუდული, თითქმის ნულოვანია.

პოლიტიკური ლიდერების ფუნქციონალური ტიპოლოგია უაღრესად მრავალნახნაგოვანი შეიძლება იყოს. ლიდერები შეიძლება იყენებ არსებული პოლიტიკური წესრიგის შემნარჩუნებელი კონსერვატორები და ამას აკეთებდნენ როგორც პატერნალიზმის და პოპულიზმის ხარჯზე (ბისბარე), ასევე წმინდა იდეოლოგიური მოსაზრებებით (პიტლერი, მათ). ლიდერების მეორე ჯგუფი, პირიქით, მომხრეა ცვლილებებისა (ერთეულური), ოლონდ ერთინი ამას აკეთებენ არსებული ვითარებების გადახინჯვებით (რეგიანი, ტეტრიერი), ხოლო მეორენი კი მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებით. ნაციონალურ პოლიტიკურ ლიდერთა შორის შეგვიძლია დამოკიდებულ ჯგუფად გამოვყოთ, როგორც ზემოთ ვუწოდეთ, მწევეჯერების ჯგუფი - ლიდერები, რომელთაც მოღვაწეობა მოუნიათ სტაბილურ სახელმწიფოებში. მენეჯერი ლიდერები იმდენად გლობალური ამოცანების გადაწყვეტით კი არ არიან დაკავებულები, რამდენადაც ყოველდღიური რუტინით, როდესაც ისინი ფლტალურად აანალიზებენ ყოველდღიურ მოვლენებს (ამგვარი მძართველობის წეს მიაწერენ პრეზიდენტ კარტერს). გამორიც-

სული არ არის გარკვეული ნოვაციები შენეჯერებთანაც შეგძლედს. შესაბამისად, მაშინ მოხდება ყოველდღიური პოლიტიკის ან მისი რაღაც ასპექტების ცვლილებები, შესაძლოა უფრო თამამი სიახლეები, როგორც ამას ვტედავდით პრეზიდენტი კარტერის მიერ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის წინ წამონევით და მისი გადაქცევით საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელ პარამეტრად.

პოლიტიკური ლიდერისათვის საჭირო პერსონალური თვისებების კლასიფიკაცია კვლავ მაქს ვებერმა მოგვცა. თუმცა, ვებერის ლიდერების თეორია ესება მხოლოდ ლეგიტიმური ხელისუფლების ლიდერებს და არა ლიდერებს ზოგადად. ლიდერების უფრო ფართო დახასიათება პეჩქმა წარმოადგინა, რომელიც თვლიდა რომ ლიდერთა დასახასიათებლად უნდა გამოვყენოთ ისეთი პარამეტრები, როგორიცაა პიროვნული ფაქტორები (ბიოგრაფიული მონაცემები და სოციალური წარმოშობა, სტატუსი); პოლიტიკური როლი, რომლის განხორციელება ლიდერს დააკარა არსებულმა ვითარებამ; ორგანიზაცია, რომელთანაც ლიდერს უწევს ურთიერთობა; შემდეგ მისი პოლიტიკური ამოცანები, ლიერბულებების სისტემა და გარემონიცველი ინსტიტუტები.

არსებობს ლიდერობის სხვა (თუმცა არა რადგიკალურად გამსხვავებული) მახასიათებლებიც, რომლებიც პიროვნული თვისებების მთელ სიმრავლეს რამდენიმე ბაზისურ კატეგორიაზე დაყვანა. ასეთი კატეგორიებია: (1) ლიდერის ფიზიკური მონაცემები (ასაკი და ენერგიულობა); (2) სოციალური სტატუსი; (3) ინტელექტული; (4) ემოციური კონდიციები - ენთუზიაზმი და დარწმუნება საკუთარ თავში; (5) პოპულარობა, კონტაქტურობა. ლიდერი მოქმედებაში მრავალმხრივ დამოკიდებულია ამ თვისებებზე.

ვებერის თეორიით, უმაღლეს ხელისუფალს შეიძლება სამი მოტივით დაემორჩინოს საზოგადოება. პირველია ტრადიციული საფუძველი, ე.წ. "ას იყო და ას იქნება"; მეორე, ქარიზმატული ლიდერის შარმი, რომელიც ირაციონალურ-სასწაულებრივი ან "კისერი სისხლის" ან, ბოლოს გამორჩეული პიროვნული თვისებების წყალობით იქნებოდარებს საზოგადოებს; მესამეა რაციონალური საფუძველი, რომლის დროსაც ლიდერისათვის მხარდაჭერა განიირობებულია მის მიერ შემოთავაზებული პროგრამის გონიერულობით და გადამწყვეტი უმრავლესობისათვის მისაღებობით. ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ვებერის მიერ შემოთავაზებული მორჩილების მექანიზმებიდან, პირველი "მუშაობდა" პატერნალისტურ და ფეოდალურ საზოგადოებაში. მეორე საჭირო ხდებოდა ესტრუმალურ პოლიტიკურ ვითარებებსა და გარდამავალ ეპოქებში. რაც შექება

მართვის მესამე, რაციონალურ ფორმას, იგი უფრო ლიდერ-მენეჯერთა მმართველობის წესს ჩამოჰყავს, რომელიც სტაბილურ სოციალურ-პოლიტიკურ კათარებაში მიმდინარეობს.

ლიდერის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან რომელთაც არ უნდა მივანიჭოთ აძსოლუტურად უძრავი მიშვნელობა, ლიდერს მოქმედებაში ხშირად უნდეს რამდენიმე ისეთი სტანდარტული ოპერაციის შესრულება, რომელთათვისაც განშააზღვრელი ხდება ინტელექტი, ნებისყოფა და კომუნიკაციები.

პირველი, რასთანაც შეხება აქეს ლიდერის მოქმედებაში არის შექმნილი პოლიტიკური კათარების სრულყოფილი ანალიზი. ამ ეტაპზე ლიდერისათვის ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენის კარგი ცოდნა, რაც მოითხოვს მასმდე თავად მოვლენის დეტალურ განხილვას და ანალიზს. აქ ლიდერის ესაქროება მაღალი ინტელექტი და ინტელექტუალურ უნარების მორის კი პოლიტიკური ანალიზის უნარი. პრობლემების ანალიზს ლიდერები მარტო არ ეწვეთ, ჩვეულებრივ ლიდერთან მისი მრჩევლები თანამშრომლობენ, თუმცა, ამსთანავე, ნამდვილი ლიდერი დამრუკიდებელია მრჩევლებისაგან. გადა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი ლიდერი ამჯობინებს მისი მრჩევლები კრკვილენტ საქმის მხლობდ გარეგნან და ცალკეულ მხარეებში და არა თავად პრობლემის არსები.

შეორენ მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ლიდერის აქტივობისათვის დიდი ღირებულების მქონეა, ხება უკვე სამოქმედო აღტერნაციების. აღტერნაციების შესარჩევად გადაწყვეტილების მოღბისათვის საჭიროა ნებისყოფის სიტყვაცე. ეს ძალზე არსებოთი მომენტია ლიდერისათვის. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი მოქმედება არც ნააღრევი უნდა იყოს და არც დაგვანებული. გადაწყვეტილების მისაღებად "მუშაობს" არა ინტელექტი, არამედ ნებისყოფა და მოტივაცია მოქმედებისაგან. ასეთ შემთხვევებში გადაწარმებული ინტელექტუალური ძალისმენება შესაძლებელია უფრო ხელისშემლელიც კი იყოს. ლიდერის ყოველთვის უნდა პქონდეს საკმარისი ნებისყოფა საიმისოდ, რომ ნებისმიერ მომენტში, მათ შემდეგ რაც პრობლემის ძრითადი კონტურები გამოიკვეთება, შენყვიტოს დასკუსია და საბოლოო გადაწყვეტილება გამოიყენოთ.

მესამე ეტაპზე, ლიდერი მიღებულ გადაწყვეტილებას და სამოქმედო მიმართულებას აცნობს სხვებს. გადაწყვეტილების გამომზეურება გაივლის შემდეგ ძრითად ეტაპებს:

(ა) გადაწყვეტილების გაცნობა უსტოცესი გარემოცისათვის. მათ მორის ბევრია მათგან, ვინც ლიდერთან ერთად მუშაობდა პრობლემის ცალკეული დეტალების ანალიზზე. მათ პრობლემის საკუთარი ხედვა გააჩინათ და, ამიტომ, გამორიცხული არ არის ლიდერი პირველ ოპოზიციას უკვე ამ ეტაპზე ნააწყდეს.

(ბ) შემდეგ ეტაპზე გადაწყვეტილება მიენოდება ბიუროკრატიკას. ადმინისტრაციული აპარატი და ბიუროკრატიკის უფრო ფართო ფენა საკუთარი ინტერესების მქონეა პოლიტიკურ თამაშებში, მიტომ ლიდერს მოუწევს (თუნდაც ნეგატიურად) გაითვალისწინოს ეს ფაქტი.

(გ) დაბოლოს, მესამე ეტაპზე ლიდერი გადაწყვეტილებას მიაწვდის უკვე ფართო საზოგადოებას. საზოგადოების რეაქცია დიდად არის დამოკიდებული ინფორმაციის მიწოდების ფორმაზე და თავად ლიდერის პოპულარობაზე. რეიტინგის მკვეთრი დაცუმის ან უარესი, უნდობლობის შემთხვევაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებაც კი, რომდენადაც ის ლიდერიდან მოდის, შეიძლება ჯეროვნად არ იქნეს აღმული და წააწყდეს ფართო თაობიცას.

პირითადი ცნებები

დიქტატორი - უზურპატორი - ტირანი - დესპოტი - პოლიტიკური ლიდერი

კითხვები:

1. რა განსხვავებაა ფორმალურ და არაფორმალურ პოლიტიკურ ლიდერებს შორის?
2. რაი არის ნაციონალური პოლიტიკური ლიდერის ძირითადი ფუნქცია?
3. რით ხსნიან "მენეჯერი" პოლიტიკური ლიდერების გაჩენას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ?

დამატებითი ლიტერატურა

- Энтони Гидденс "Социология"ю Изд.Эдиториал УРСС. M.1999
- Leslie Lipson "The Great Issues of Politics". Prentice Hall, 1997
- George McCenna "The Drama of Democracy". DPG, 1994.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი ს პ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა
დ ა ბ ი უ რ მ პ რ ა ტ ი ს

ნაციონალური პოლიტიკური ლიდერის ფენომენს ყველაზე უფრო ფართოდ გამოხატავს პრეზიდენტი. პრეზიდენტის ინსტიტუტი, თანამედროვე პოლიტიკური მნიშვნელობით, შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა. ლათინური სიტყვა "პრეზიდენტი", ზუსტად შესატყვისება ქართულ "თავმჯდომერებს", შესაბამისად, ისტორიულად "პრეზიდენტებად" უმრავლეს შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის საკრებულოს თავმჯდომარები იწოდებოდნენ. სწორედ ამ მნიშვნელობით იყო ნოე უორდანია პრეზიდენტი და არა იმ მნიშვნელობით, როგორც დღეს ედუარდ შევარდნაძეა ქვეყნის პრეზიდენტი.

საპრეზიდენტო დემოკრატიულ ქვეყნებში პრეზიდენტი არის როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ასევე ცერემონიალური ღიდერი და წარმოადგენს ქვეყანას ოფიციალურ შეხვედრებზე. პრეზიდენტის ინსტიტუტი ინგლისის კოლონიალურობას თავდაპირეულობა შეერთებულმა შტატებმა შემოიღო როგორც ინგლისის სახელმწიფოს მეთაურის, მეფის რეპუბლიკური აღტერიატიკა. შესაბამისად, ამერიკის პრეზიდენტის ძალაუფლება მომდინარეობს არა მეტვიციდრეობით-მონარქიული პრინციპიდან არამედ იმ ფუნქციებიდან, რომელსაც პრეზიდენტს განუსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია. ამერიკის კონსტიტუციით, რომლის პრეზიდენტს სათვარანებოთის პრეზიდენტის შემდეგ ყველაზე მეტი უფლებები აქვს, პრეზიდენტი არის სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი, უმაღლესი ლეგისლატურის და დიპლომატი. იგივე პეზიდენტი, როგორც ნეიი, არის პარტიის ლიდერი (ცხადია, რაც არ არის განსაზღვრული კონსტიტუციით პრიზიტიურად) და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი მენეჯერი. განვიხილოთ ამ ფუნქციათაგან ზოგიერთი.

კონგრესი პრეზიდენტის ინსტიტუტის ყოვლადძლივების მნიშვნელოვნად შემზღვდავი ლეგისლატურაა. ამერიკის პრეზიდენტს არ აქვს უფლება დაითხოვოს კონგრესი მაშინ, როდესაც კონგრესს, პირიქით, შეუძლია პრეზიდენტის იმპირიულზე დააყენოს საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან პრეზიდენტობის ინსტი-

ტუტი გაურიცელდა როგორც ეპრობაში (საცრანგვეთი, შვეიცარია), ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც სხვადასხვა ახლად წარმოშობილია დამოუკიდებელია ქვეყნებში, ჩრდილოეთი მეზობელის მიბარის მიბარით, საკუთარ პოლიტიკურ სტრუქტურებში სასწრაფოდ შემოიტანეს პრეზიდენტის თანამდებობა. როგორც ამ და სხვა რეგიონის ქვეყნების წარსული პოლიტიკური პრეზიდენტი გვარნმუნებს, საქირო დამცავი მექანიზმების გარეშე, პრეზიდენტის პოსტი ხდება მხოლოდ შეიძლა პერსონალური დიქტატურის შესანიშავად. ამის გამო, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის თანამდებობის მექანიკურმა დუბლირებამ ბევრ ქვეყანაში შეერთებული მტატების პრეზიდენტის ინსტიტუტის კარიკატურა შექმნა.

სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ დროთა განმავლობაში სულ უფრო დემოკრატიული იერი შეიძინა პრეზიდენტის იმსტიტუტისა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ამას უდავოდ შეუტყობნიშვილი მრავალპარტიული პოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზაციამ, ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ ერთი ვადით არჩევის პრაქტიკის შემოტანაში და სასამართლო ხელისუფლების, ხელისუფლების სხვა სახეებისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებამ. ვენესუელას და ბრაზილიის პრეზიდენტების იმპიჩმენტიმა აჩვენა, რომ ამ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებულია პრეზიდენტის არაძალადობრივი გადაყენების მტკიცე სამართლებრივი საფუძვლები და რეალიზაციის მექანიზმები. შესაბამისად, ამ ქვეყნებში პრეზიდენტის ინსტიტუტიც აღარ შეიძლება ჩაითვალოს დიქტატურის ფარულ ფორმად.

ცალკე შეიძლება გამოიყოს პრეზიდენტობის აფრიკულაზიური მოდელი. ამ რეგიონის ქვეყნების უმრავლესობა საპრეზიდენტო რესუბლიკებს წარმოადგენს. ამ რეგიონში ვითარება უფრო რთულია, ვიდრე სამხრეთ ამერიკაში. ბევრ აფრიკულაზიურ ქვეყანაში რომელიმე ერთი პარტიაა გაბატონებული და სხვა პარტიების ნომინალური პოლიტიკური შესაძლებლობების ფონზე, პრეზიდენტები ლიდერი პარტიების ელიტარული ჯგუფების ლიდერებს წარმოადგენს. ასეთ პირობებში ხელისუფლების სხვა განშტოების მდგრამარეობა ძალზე მძიმეა. მონოპარტიული დიქტატი და ხელისუფლების ავტორიტარული ხასიათი საშუალებას აძლევს პრეზიდენტს, თავისი გემოვნებით შეარჩიოს არა მხოლოდ მთავრობა, რომელიც მთლიანად მის წებას ექვემდებარება, არამედ განსაზღვროს მომავალი პარლამენტის სტრუქტურა და შემადგენლობა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ხელისუფლების ორივე განშტოება მხოლოდ ნომინალურად არსებობს დამოუკიდებელი სახით და მთლიანად ერთი პოლიტიკური ძალის პიონსთაზებს წარმოადგენს.

ძალზე საინტერესოა პრეზიდენტობის აფრიკულ-აზიური მოდელის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. რამდენადაც, ამ კვეყნების პრეზიდენტის ძალაუფლება უახლოვდება პერსონალურ დიქტატურას, ამ უკანასკნელის დემოკრატიული ფრაზეოლოგით შეფერადების პირობებში, სულ უფრო დაუინებით გაისმის პრეზიდენტის ქარიბიატული კვალიფიციაციები. ერთ შემთხვევაში, მოსახლეობას უნერგვავნ აზრს, რომ ქვეყნის გადარჩენა სხვა ხელისუფალის ხელში შეუძლებელია, მეორე შემთხვევაში, რამდენადაც არსებული რეჟიმი ვერაფრით ეგუება დემოკრატიის ტიპურ სტანდარტებს. ატარებენ აზრს მოცემული ქვეყნის უზიკალურობის, განსაკუთრებული ისტორიული წარსულის, თუ, გნებავთ, გამორჩეული "ეროვნული იდეოლოგის" აუკილებობობის შესახებ. ხალხს არწმუნებენ, რომ ქვეყნა არ შეიძლება განვითარდეს სტანდარტული, დემოკრატიული რეჟიმის მიერ ადაპტირებული გზით.

თუ, ამ მოქალა მიმოხილვიდან გამომდინარე, თვალს გადავაუღებთ საქართველოს უახლეს ისტორიას, დავრწმუნდებით, საქართველოს საპრეზიდენტო მოღვაწეობის რეალპოლიტიკა აფრიკულ-აზიური მოდელის ბეჭრ ელემენტს შეიცავს. თუმცა, აღსანიშვავია ისიც, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, პრეზიდენტის ინსტიტუტის უფლებები და ფუნქციები საქართველოში ფორმალურად დიდად დაუხლოებით პრეზიდენტობის ამერიკულ მოდელს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერი და იმავდროულად სახელმწიფოს მეთაურია. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ პრეზიდენტის ძალაუფლების შემზღვდავი კონსტიტუციური მექანიზმების არსებობა. კერძოდ ის უაქტი, რომ საქახონმდებლო ხელისუფლება დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ის ვითარება, რომ პრეზიდენტს არა აქვს პარლამენტის დახმოვის უფლება, რომ თავად პრეზიდენტი აირჩივა პირდაპირი საერთო-სახალხო კონტის ყრით, რომ პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული, აღმასრულებელი ხელისუფლების ამა თუ იმ წევრის დანიშნას პარლამენტის დასტური ჭირდება და ა.შ. ამ დადგებითი მომენტების გარდა,, უნდა აღინიშნოს ისიც რომ პრეზიდენტის მოღვაწეობაზე სამედო კონტროლის პრაქტიკული (და არა ფორმალურ სამართლებრივი) მექანიზმების არარსებობის პირობებში, პრეზიდენტის ხელში ძალზე დიდი ძალაუფლება მოიყრის თავს. მას კითარებას დიდად უიოლებს ის გარემოება, რომ ის მეთაურობს პარტიას, რომელსაც გადამწყვეტი უმრავლესობა აქვს პარლამენტში. ძნელი წარმოსადგენია პარტიის ისურვოს, დაუშვას კონფრონტაცია საკუთარ ლიდერთან და ისიც პარლამენტის კედლებში და არა პარტიულ თავურილობებზე. იმის წყალობით, რომ ერთი და იგივე ძალა

აკონტროლებს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ძალაუფლებას საქართველოში (დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფაქტიური არარსებობის პირობებში), ქვეყნად პრობლემატური ხდება დემოკრატიული რეესტრის ისეთი ანდანური ქეშმარიტება, როგორიც არის ხელისუფლების დაყოფა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამგვარი ვითარება შევმილია ფაქტიური ხელისუფლების მიერ ქვეყნის კონსტიტუციის, დემოკრატიის პრინციპების უხეში დარღვევების გარეშე.

დემოკრატიულ ქვეყნებში საფრანგეთი დღემდე ჩრიბა დასავლეთის იმ სახელმწიფოდ, სადაც პრეზიდენტის ძალაუფლება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვაგან. ქვეყნის სპეციფიკური ისტორიული წარსელის წყალობით, საფრანგეთში პრეზიდენტი ხანგრძლივი ვადით, შეიდი ნლით აირჩევა. პრეზიდენტს აქვს უფლება დაითხოვოს ნაციონალური ანსამბლები. ერთადერთი შეზღუდვა ამ მხრივ ისაა, რომ ამის გაკეთება პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ წელიწადში ერთხელ. ქვეყნის კონსტიტუცია უშვებს პრეზიდენტის იმპინტენტის შესაძლებლობას, მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს მიერ, რომლის წევრებიც ინიშნებიან სენატის მიერ.

პრეზიდენტის ძალაუფლება ქვეყნის გარეთ ყველაზე უფრო მკვეთრად სამხედრო ოპერაციებში ვლინდება. ამერიკის კონსტიტუცია პრეზიდენტს არ აძლევს უფლობებას ომი გამოუკხადოს რომელიმე ქვეყანას. ამგვარი ძალაუფლება მხოლოდ კონგრესს აქვს. მიუხედავად ამისა, ამერიკის პრეზიდენტს არაერთხელ ჩაუყენებია ქვეყანა იმის მდგომარეობაში იმ ძალაუფლებით რასაც მას ქვეყნის კონსტიტუცია უტოვებს. თუ უფრო ზუსტი ვინებით, პრეზიდენტის სამსედრო უფლებები არ არის დეტალურად გამსაზღვრული, რაც მას გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს. ასე მაგალითად,

1801 წელს პრეზიდენტმა ჯეფერსონმა ხმელთაშუა ზღვაში გაგზავნა სამსედრო ფლოტი მეკომარების ნინააღმდეგ.

1846 წელს პრეზიდენტმა პოლკმა მოახდინა ამერიკა-მექსიკის ომის პროვოკირება იმით, რომ სამსედრო ძალა გაგზავნა ოლქში რომელზედაც პრეტეზის აცხადებდა შექსაკა.

1861 და 1865 წელს პრეზიდენტმა ლინკოლნმა გამოიყენა ძალა უკვე საკუთარი ქვეყნის ამბოხებული სამსრეთელი მოქალაქეების ნინააღმდეგ.

1950 წელს პრეზიდენტმა ტრუმენმა ამერიკა ჩაითრია კორეის ომში კონგრესის მიერ იმის გამოუკხადების გარეშე.

1962 წელს პრეზიდენტმა კუნედიმ კუბის ბლოკირების ბრძნება გახცა.

1961-დან 1963 წლამდე კუნედიმ 16.000 სამსედრო "მრჩეველი"

გაგზავნა ვიკეტნამში.

1964-1968 წლებში ჯონსონის დროს ამერიკულების სამხედრო ყოფნა ვიკტნამში ყოველგვარი ომის გამოცხადების გარეშე გაიზარდა 500.000 სამშედრო მოსამსახურებიდა.

ჩამოთვლილი შემთხვევებისაგან განსხვავებით, გაცილებით წინდახედული იყო პრეზიდენტი ბუში, რომელმაც ანტიერაყული კოალიცია და სამხედრო ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხალი" კონგრესთან სრულ თანხმობაში ჩატარა. ურთიერთობა კონგრესსა და პრეზიდენტს შორის სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. პრეზიდენტები ჯეიმს მოლკი, აბრამპატ ლინკოლნი, თეოდორ რუზველტი და უუდრო კოლსონი დაძაბულ, თუ არ ვიტყვით კონტლიერურ ურთიერთობაში იყვნენ კონგრესთან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოიკვეთა საპირისპირო ტენდენცია, პრეზიდენტის აქტივობის და კონგრესის მის მიმართ ლოიალურობის ზრდის ტენდენცია.

პრეზიდენტის, როგორც პოლიტიკური ლიდერის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უკვე ლიდერის გუნდს შეეხება. ეს გუნდი არ არის ადამიანების მასა და არც ლიდერია მიტინგის ორატორი. ლიდერის გუნდი, მით უფრო თუ ის პოლიტიკურ ლიდერს ეხება, გარკვეული წესით ორგანიზებული სტრუქტურაა, რომლის სათავეშიც იმყოფება ლიდერი. განვიხილით ლიდერის ფენიმენი ბიუროკრატიასთან კაშირში მიუხედავად იმსა, რომ პოლიტიკურ ლიტერატურაში ლიდერის ცნება ელიტების თეორიასთან არის ასოცირებული. იდეის მიხედვით, რომელიც ვეცდებით ქვემოთ დაეხახასათოთ, ელიტები გაგებულია როგორც ბიუროკრატიის საპირისპირი და ასე გასინჯეთ, ბიუროკრატიასთან დაპირისპირებული რამ. მაგრამ რადგანაც ჩვენ საუბარი გვაქვს ნაციონალურ, ე.ი. სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართულ მოღვაწეზე, უნდა მიეკუთოთ, რომ პოლიტიკური ლიდერის გუნდი არ არის ამორფული სტრუქტურა. უკვე საუბარი ორგანიზაციასა და ორგანიზაციის სათავეში მყოფ სუბიექტზე, გულისხმობს გარკვეული იერარქების არსებობას. ადამიანთა დიდი მასის იერარქულად ინგანიზებული ერთეული არის ბიუროკრატია და შესაბამისად, იმისთვის, რომ სრული ნარმოდგენა შევიქმნათ პოლიტიკურ ლიდერზე, გვმართებს სათანადოდ დავახასიათოთ ბიუროკრატიაც.

ტეორიიზი "ბიუროკრატია" ბერძნულ-ფრანგული კომპოზიტების საფუძველზე არის შედგენილი (ფრ. *ბურგუ-მაგიდა*, კანცელარია და ბერზ). კრატოს-ძალაუფლება, ბატონობა). როგორც ამბობენ ტერმინი პირკველად მრთვრიამეტე საუკუნეში დამკვიდრდა სიტყვა-თხმარებაში და ის შემოიტანა დე გურნემ. ჩვეულებრივ ამ ტერმი-

ნთან ასოცირებულია სახელმწიფო-სამეცნიერო ასარატის იქრარექტული მოყვითა და საქმის გაჭირებული, რუტინული ნარმოება.

მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად განვითარებული ბიუროკრატია ყველგან საღაც კი არსებობს სახელმწიფო, სახელმწიფო მშართველობითი ბიუროკრატია მზოლოდ ერთ-ერთი და არა ერთარიდერთი სახეა ბიუროკრატის ფორმებს შორის. არსებობს პარტიული, არასამთავრობო სექტორის, სამეცნიერო და სხვა სახის ბიუროკრატიები. ბიუროკრატია არ არის არც მხოლოდ პოლიტიკური იმსტიტუტების მახასიეთებელი თვისება. ის უფრო იმსტიტუტების და ორგანიზაციების საერთო ნიშანია, რომელიც გვაცნობს მათი მოწყობის სპეციფიკურ წესს. ყველა ტიპის ბიუროკრატიას მეტ-ნაკლებად მსგავსი ნიშნები აქვს. ამ ნიშანთა კლასიკური დახასიათება ჩამოაყალიბა მაქს ვებერმა. ვიდრე ვებერის თვალსაზრისს მიმოვისილავდეთ, გვინდა მიუუთითოთ, რომ ვებერი ბიუროკრატის აღნირდა ვეროპაში ცენტრალურებული სახელმწიფოების აყვავების დროს, როდესაც რიგი წამყვანი ვეროპული ნაციონალური სახელმწიფოები მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნებზე იმპერიებად ჩამოყალიბდნენ. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ვებერის აღნირდა ვეროპული ყაიდის კლასიკური ბიუროკრატიული სისტემები და ამიტომ მისი აღნირდა არ ითვალისწინებს არც ისტორიული წარსულის ცალკეულ პრეცენდენტებს (ვთქვათ, ისეთ უაღრესად რაფინირებულ სახელმწიფო ბიუროკრატიულ სისტემებს, როგორიც შემუშავდა ცინის იმპერიის საუკუნეებზე) და არც იმ შესაძლო ცვლილებებს, რომლებიც ბიუროკრატიებმა განიცადეს პოსტინდუსტრიულ და ინფორმაციულ გამოქვებში. ვებერის მიერ შემოთავაზებული დახსიათება უფრო გარკვეულ მოდელს, პარადიგმას ნარმოადგენს, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეგვეფასებინა თითეროული კონკრეტული ბიუროკრატიული სტრუქტურის სიახლოევ ან დაშორება იდეალურ მოდელთან.*

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ "ბიუროკრატიის" საწყის დახსიათებაში ჩენ ყურადღება ვაგამსხვილეთ მის ნეგატიურ მნიშვნელობაზე, რომელიც თან ახლავს ტერმინის ყოველდღიურ გამოყენებას, ეს სულაც არ ნიშავს, რომ ბიუროკრატია ზოგადად რაღაც ნეგატიური ფენომენია. დახვეწილი ბიუროკრატიული სტრუქტურები შესაბამისი ორგანიზაციის ვამართულობაზე მეტ-ყველებს. მყარი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ბიუროკრატია სახელმწიფოს ხერხემალს ნარმოადგენს.

ბიუროკრატიის ვებერისეული დახსიათებიდან შეგვიძლია გამოყოფა შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

(ა) ბიუროკრატიული სტრუქტურა პირამიდას ჩამოჰვავს. ეს

პირამიდა გულისხმობს ძალაუფლების გარკვეულ იქნარქიას, რომელშიაც პოლარიზებულია ფსკერი და უმაღლესი წერტილი. პირამიდის წერტილი წერტილისაკენ ეშვება "მართვის ჯაჭვი", რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა მეაცრ კოორდინაციის. ბიუროკრატიულ იქნარქიაში ყოველი ზემოთა შრე იმორჩილებს ქვემდგომს, აქეს მისი კონტროლის და მართვის სრული მექანიზმი.

(ბ) ბიუროკრატიას ნინასარ აქეს განსაზღვრული მართვის და მოქმედების წესები. სამოქმედო წესები შემოსაზღვრავენ არეალს, რომელის ფარგლებშიაც შეუძლია მოხელეს მიღლოს გადაწყვეტილება. თავად არეალის ფართი კვლავ ბიუროკრატიული პირამიდის პრინციპით განისაზღვრება. რაც უფრო მაღალ იქნარქიას მიეკუთვნება ბიუროკრატი, მით უფრო ფართოა მისი სამოქმედო არეალიც.

(გ) არსებობს თვალსაჩინო განსხვავება მოხელის ორგანიზაციაში მოღვაწეობის სახესა და მის პირად ცხოვრებას შორის. თანამდებობის პირთა ყოველი პოსტი მკაცრად შესატყვისი ხელისათვის ანაზღაურდება.

(დ) განვითარებულ ბიუროკრატიულ სისტემებში, ბიუროკრატიის წარმომადგენლები ჩამოცილებული არინ წარმოების საშუალებებზე საკუთრებას და კონტროლს. ერთადერთი მატერიალური ღირებულება, რომლითაც ბიუროკრატის შრომა ანაზღაურდება, თუკი მხვდლელობაში არ მიეღიას და კანონმსამართის დამტკიცებული სხვა მოვლენებს, არის ხელფასი, რაც ბიუროკრატის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ვებგვის სჯეროდა, რომ მაღალი ანაზღაურების სისტემა თუნდაც ნაწილობრივ გამორიცხავს კორუფციის.

(ე) მართალია ბიუროკრატიული სტრუქტურები ზღუდავს შემოქმედებითობას და ინიციატივას, მაგრამ მეორე მხრივ ამას ის დადგინდეთი თვისება აქეს, რომ მისი საშუალებით თავიდანაა აცილებული მოხელეების სუბიექტური კაპიტალი და თვითონებობა.

(ვ) თითოეულ ბიუროკრატს მოეთხოვება მაღალი პრიოუ-სიონალიზმი, რაც მათ მიერ დაკავებული თანამდებობისა და იქრარქიული საფეხურის მიხედვით ჯერ ერთი, განთქმავს ადგილის დაკავების ნებისმიერ სხვა მსურველს და მეორე, ხელს უწყობს იმას, რომ მოხელემ კარიტაზე იფიქროს იმ ორგანიზაციის ფარგლებში, რომელსაც ის ეკუთვნის.

(ზ) იერარქიული შემოწმების სისტემა გამორიცხავს სამსახურეობრივ წინსკოლას პირადი სიმპათია-ანტიპათიის ან ნათესაური კავშირების ხარჯზე.

პოლიტიკური ლიდერის და ბიუროკრატის ურთიერთობის სრულად გასაზრებელად აქ დროული იქნება გავიხსენოთ მიხელ-

სის ბიუროკრატიის "რეინის კანონი", რომლის მიხედვითაც ბიუროკრატიული იერარქიის რაც უფრო მაღალ საფეხურზე დგას ეს თუ ის სუბიექტი, მთ უფრო მეტი ძალაუფლების მფლობლივია იგი. ამ დახასიათებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუროკრატიის სათავეში მყოფი ლიდერი გამოხატავს ყველა თავისი კვეშევრდომის საერთო ძალისხმევის კონცენტრაციას.

არსებობს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ პარტიული ბიუროკრატიაც. პოლიტიკური პარტია, რომელზედაც შემდგომ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, შეგვიძლია გავიგროთ როგორც ელიტარული ერთიანობა ან ინტერეს-ჯგუფი, რომელიც თუნდაც მხოლოდ თავისი არსებობით იწყებს ძალაუფლების დეკონცენტრაციას. ეს გახდავთ ერთ-ერთი მიზნით იმისა, თუ რატომ ასოცირდება პოლიტიკური ლიდერის ფენომენი პოლიტიკური ლიტერატურაში ელიტების თეორიებთან და არა ბიუროკრატიის, მით უფრო სახელმწიფო ბიუროკრატიის თეორიებთან. ფიქრობწენ, რომ ელიტები და პოლიტიკური ლიდერები ფლობენ პოტენციას წინ აღლუდნენ სახელმწიფო ბიუროკრატიის ბატონობას. სწორედ ასეთია ვითარება, თუ მხედველობაში გვექნება დემოკრატიული რეჟიმი და დასაცავური საარჩევნო ტიპის პარტიები. მაგრამ ყველი პარტია როდი ცდილობს არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში მოსვლას. ისტორიაშ იცის შემთხვევები, როდესაც პარტიული ბიუროკრატია შეეზრდება სახელმწიფო ბიუროკრატიას, შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები მთლიანად იმართება პარალელური პარტიული სტრუქტურების მიერ. ამგვარი რამ მოხდა საბჭოთა კავშირში. თუ გავითვალისწინებთ იმის, რომ აქ კომუნისტური პარტია ერთადერთი ლეგალური პოლიტიკური გაერთიანება იყო, სხვა პარტიების აკრძალვის ან არ არსებობის პირობებში, შეგვიძლია ნარმოვიდებით პოლიტიკური ძალის მატებაბი, რომელსაც ფლობდა პარტიული და სახელმწიფო იურარქიების სათავეში მყოფი პირობება. საბჭოთის ისტორიაში ამგვარი კველაზე თვალსაჩინო ფიგურა იოსებ სტალინი იყო.

გიდებსი თავის "სოციოლოგიაში" საუბრობს იმის შესახებ, რომ დემოკრატია შეგუებადია არა მხოლოდ მრავალპარტიულ ან ორპარტიულ პოლიტიკურ სისტემებთან, არამედ მონოპატიულ-თანაც. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში კომპარტიას არ ჰყავდა ოპონენტი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და ამითომ ამიმრჩეველიც მოკლებული იყო არჩევანის შესაძლებლობას განსხვავებული პოზიციის მქონე კანდიდატებს შორის, არსებობდა თავად არჩევანის შესაძლებლობა თავად პარტიული სტრუქტურების შიგნით. გიდებსი ასენებს ენ. დემოკრატიულ ცენტროლიზმს, რაც თითქოსდა აკანონებდა ამ შესაძლებლობას. სინამდვი-

ლეში, თუ მეცნიერი ვიქტორი, გაგვიჭირდება საუბარი რაიმე არჩევითობაზე თავად პარტიული სტრუქტურების შეგნით. შეიდეპარტიული სტრატიგიკაცია საბჭოთა კავშირში ყოველთვის განსაზღვრული იყო სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის დაუწიდობელი ბრძოლით და ამ ბრძოლაში ძალთა ბალანსირების მაღაზე მყიფე შესაძლებლობით. სწორედ ამაზე დაყრდნობით უნდა აიხსნას სტალინის და სტალინისტების წარმატება და არა იმით თითქოს შეიდაპარტიულმა კადრებმა სტალინის კურსი ამჯობინეს ტროცკის, ან ბუხარინის აღტერნატივებს.

სტალინის, როგორც ბოლშევიკების ლიდერის პოლიტიკა მიმართული იყო პარტიის იერარქიული პირამიდის და, რამდენადაც თავად სტალინი სახელმწიფო სტრუქტურებს შერწყმული პარტიული იერარქიის სათავეში იდგა, ამდენად მისი ძალაუფლების განსამტკიცებლად. პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ნაბიჯებთან ერთად განხორციელებული ნოვაციების შედეგად შეიქმნა სისტემა, რომელსაც უნგრელმა ეკონომისტმა იანოშ კორნამი "კლისიკური სოციალისტური წყობა" უწოდა. იგი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- კომუნისტური პარტიის და მისი იდეოლოგის მონოპოლია პოლიტიკურ-იდეოლოგოურ სფეროში.
- წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკაში.
- წარმოების ადმინისტრაციული მართვა და კონკრეტური ეკონომიკა.
- შრომითი სტიმულირების სპეციფიკური სისტემა, რომელშიაც მიმშვნელოვანი ადგილი ეკავა ტერორს.

კორნას აზრით, ეს მახასიათებლები სტალინამდელი ბოლშევიკური თეორიიდან და პრატიკიდან მოდის. ეს პრისციპები უკვე იგულისხმებოდა მარქსიზმის საფუძველზე ბოლშევიკების უზურპაციის ფაქტში. საქმე ისაა, რომ მიუხედავად თავად მარქსისტული თეორიული პრინციპებისა, პოლიტიკური სტრუქტურები საბჭოთა კავშირში შექმნა არა შესაბამისმა ეკონომიკურმა ბაზისმა, არამედ ბოლშევიკებისაგან ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ. ამის შემდეგ, მათ დაიწყეს საკუთარი იდეოლოგიის შესაბამისი ეკონომიკური საფუძვლის აგება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირში პოლიტიკა და ეკონომიკა დამოუკიდებელ სფეროებად დარჩია. პირიქით, ეკონომიკაში გადადგმულმა ნაბიჯებმა კიდევ უფრო გაამჟარა დიქტატურა, რომლისათვის უაღრესად მიმშვნელოვანი იყო საკუთრების ფორმებიდან ერთადერთი ფორმის, სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნება. თავის მხრივ,

საკუთრების მპოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფორმაზე შესაძლებელი გახადა დირექტორი დაგეგმარება, ხოლო დირექტორმა დაგეზმარებამ კი კონომიკა და საზოგადოება პარტიულ კონტროლს დაუმორჩილა.

სტალინის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ, სახელმწიფო მართვა და პარტიული ხელმძღვანელობა გაურთონდა ერთ-ერთ უმაღლეს სტრუქტურულ რგოლში - პოლიტბოუროში - რომელსაც განაცხადდა გენერალური მდივანი (სტალინი). ყველა სამთავრობო და სამეურნეო სახელმძღვანელო პოსტებზე პარტიული კადრების განლაგებამ სტალინის შესაძლებლობა მისცა ჩინოვკალიბებინა მკაცრად სუბორდინირებული ჯაჭვის რგოლები - ბიუროკრატიული ხომენ კლატურა.

"კლასიკური სოციალიზმის" კვინტესუნციას დირექტული დაგეგმარება წარმოადგენდა, რომელიც ზოგიერთ ავტორთან ინოდება ბიუროკრატიული კოორდინაციის სისტემად. მთელი სისტემა შეგვიძლია შევადაროთ საამქროს, რომელიც გეგმაზომიერად ლებულობდა მისთვის საჭირო ყველა რესურსს - მუშახელს, ნედლეულს, ენერგომატარებლებს. ყოველივე ამიდან საწარმოო ციკლის შეუალებელ რგოლს მიეწოდებოდა წახევრადთაბრკივატები, სათა დანაც მასალა მიღიოდა ციკლის სასრული ეტაპისაკენ, რათა სახელმწიფოსათვის მიეწოდებინა თანკვები, ხოლო ხალხისათვის პირველადი მოთხოვნილების საქონლი.

აღნეროლი გიგანტური ქარხნის აუცილებელ დანამატს წარმოადგენდა გიგანტური კოლმეურნეობა, რომელსაც ძირითად მიზნად ჰქონდა ქარხნის მუშახელის გამოკვება. მუშახელის მიგრაციის რეგულირება და გეგმიზომიერი აღრიცხვიანობა მართალი წანილობრივ შეიცავდა საბაზრო ელემენტებს, მაგრამ ძირითადად არასაბაზრო მექანიზმებით სრულდებოდა. მათ შორის იყო შრომა-გასწორების კოლონიები; მრომის წიგნაკების სისტემა; საპასპორტო ჩანერის სისტემა; სამუშაოდ გამწესება დირექტიულად გასაზღვრულ რეგიონში და ა.შ. შრომის ამგვარი რეგულირება პრატიკულად ადამიანთა დამონიშვილის მექანიზმს წარმოადგენდა, რადგან ადამიანს ართმევდა საშუალებას ემუშავა იქ. სადაც მას სურდა.

უთუოდ აღნიშვნის ლირსია ის ამბავი, რომ ამ სისტემის კონსტრუირება სწორედ სტალინს ეკუთვნოდა. ლენინი სამოქალაქო ომის დროინდელი "სამხედრო კომუნიზმის" შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ, რაც ქვეყანა გადავიდა შშეიდობიანი ცხოვრების რეგლისტებზე, შეეგუა კერძო საკუთრების არსებობას არა მხოლოდ სოფლებზე, არამედ ქალაქებც, ე.ნ. ნეპის პერიოდში. როგორი იქნებოდა, რა სახეს მიიღებდა "ლენინური სოციალიზმი" შემდგომ

უცნობია. რაც შექვება სტლინს, მისი სტრატეგიისათვის აუცილებელი იყო წარმოების სწრაფი განვითარება და ინდუსტრიალიზაცია, რათა ახალგაზრდა სახელმწიფოს შესძლებოდა მოწინავე დასავალურ ქვეყნებთან კონკურენცია. ამ გზაზე სტალინი ყოველგვარი ყოშმანის გარეშე შეეღია ლენინურ "ნეპ"-ს. სტალინის მიერ გადადგმული შემდგომი ნაბიჯები შეგვიძლია ასეთი თანმიმდევრობით აღვადგინოთ:

- (1) "ნეპ"-ის ლიკვიდაცია;
- (2) ყველა საწარმოო რესურსების კონფისკაცია სახელმწიფოს მიერ;
- (3) სოფლის ყველა რესურსის - მიწა, საქონელი, მუშახელი - კონფისკაცია;
- (4) კულტურის ლიკვიდაციით სტალინმა გაანადგურა კერძო საკუთრების უკანასკნელი მფლობელი.

შედეგად უზარმაზარი რესურსების ერთადერთ მესაკუთრედ იქცა სახელმწიფო. ამ ზომების შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ რაც უკვე თავად სახელმწიფოს ცალსახად განაგებდა კომუნისტური პარტიის ბიუროებითია, ე.ი. ნომენკლატურა, რომლის სათავეშიც თავად იდგა, სტალინს მშვიდად შეეძლო მთელი რესურსები გამოყენებინა უნიტიცირებული სახელმწიფოს საგარეო აპარაზზე ღირსეულად ნარდგინებისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ აღნერილი სტალინური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელი, რომელიც საესტილით ჩამოყალიბდა პირველი ხუთწლიანი გეგმის ჩარჩოებში, 1929 წლიათვის, მხოლოდ გაკიცხვასა და ნეგატიურ რეაქციას ინკვედა საზღვარგარეთ. ბევრი ევროპელი ინტელექტუალი თვლიდა, რომ ტოტალიტარიზმი აღწერილი სისტემის ორგანული ნანილი კი არა, გადაჭარბებებით გამოწვეული უბრძალობა იყო. საბჭოური კუნძული მესამე სამყაროს ბევრი ქვეყნისათვის კიდევ დიდხანს წარმოადგენდა იდეალურ მოდელს იმისას, თუ როგორ შეიძლება უზარმაზარი საგარეო ვალების გარეშე, მხოლოდ ჰერცინის შიდა რესურსების მობილიზაციის ხარჯზე საჭირო ფინანსების მოზიდვა რეფორმებისათვის.

სტალინმა შექმნა უაღრესად დახშული სისტემა, რომელიც არა მხოლოდ არ ექვემდებარებოდა ტრანსფორმაციას, არამედ აღერგიული იყო ყოველგვარი უმნიშვნელო ცვლილებებისადმი. იგივე სისტემა კონცეპტუალიზაციისას უსაზრისოს ხდის პრიორიტეტების ძიებას; არავითარი აზრი არა აქვს კიკითხოთ, თუ რისტორის გააკეთა სტალინმა ყოველივე ის, რაც შედეგად იძლეოდა ტოტალიტა-

რეულ სისტემის, რა იყო პრიორიტეტული: მტრული ქვეყნების გარემოცვა, კომუნისტური იდეალები, სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ეკონომიკა თუ პირადი (გნებავთ კუნძღვოთ პარტიის) ძალაუფლების უსაზღვრო ზრდა? კველა მსგავსი კითხვა აზრს კარგავს მასში გამოყოფილი ელემენტების შინაგანი კავშირის გამო. არც ერთი მათგანი არ განხორციელდებოდა იმ ფორმით და იმ ზომით, როგორც რეალურად განხორციელდა კველა დანარჩენის გარეშე.

ყველავე ის, რაც ახლა სტალინის რეგორც პოლოტური ლიდერის მოღვაწეობის შესახებ ითქა, არ უნდა გავიგოთ პოლოტური ლიდერის ტიპურ დახსნასუბჯეტი და ყოველისმოცველ ტერდენციის აღნერად. უძლელესი ძალაუფლების თანხმული იდეალური იმპერია, საგარეო პოლოტური პრიორიტეტებს და ძალიერ სახელმისუფლების სტრუქტურებს ავტომატურად რჩდა მშეავრთ ძალაუფლების აქტუალური ზარისაკენ. სახელით შესაძლებელია იგივე სტრუქტურებზე დაყრდნობის მონარქია სრულიად ხევა, გნებავთ სპირისპირო, მიმორიგლებით, რასაც უახლესი ისტორიის მანძილზე რეალურად მოხდა კაცების დახვევლის რეგ მუხამაში, მათ შორის შეერთებულ მტატებში.

რა თქვენ უნდა, სრულად უნდა ვაკითხალისნოთ ვამხრევებს დემოკრატიულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს შორის. შეკრიტებული მტატების პრიზიდების ძალაუფლების იდენტურიაცია იმ ძალაუფლებისთვის, რომელსაც სტალინი უკომის, სრულიად გაუძრისობელია ორივაც ისის გამა, რომ აზროველი დემოკრატიული მსართულებობისათვის ვანჭაზღურელია ძალაუფლების დაყოფა აღმსარებულებელ, საკინო-ძიდებლო და სასამართლო ხელისუფლების შორის, რასაც, ბუნებრივია, ანალოგია არა აქვს ტოტალიტარული რეჟიმებთან. ამ ვაფრთხოების ფონზე, კულტურისთვის შეგვიძლია თქვენ ვარგველი ამსტრანგის უფლება მივცით და ერთ-მანების შევადარით თრი სახელმისიერს უმაღლესი პირი, რომ დებორ მუზეურისტაზე დაყრდნობით სრულიად საპირისპირო მაზრების განხორციელების ცდილობრდნენ.

მონარქია, რომელიც უპირველეს ყოვლისა რეგანის და ტეტრირის მოღვაწეობის უკანასკნება, ცნობილია ნეუკონსერვატიული ტალღის სახელით. ჩვენი მაზრებიდან ვამოქინონარ, საიდუსტრიულოდ განვითაროთ რეგანის მოღვაწეობა.

რეიგანი უკვე ნინასაარჩევნო დაპირებებში საუბრობდა იმის თაობაზე, რომ იწებოდა მტატების ავტონომიურობის აქტიური დამცველი. ეს თეზისი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ცალკეულ მტატს შეეძლო თავადვე ეზრუნა აყვავებაზე და ამ მიზნით საკუ-

თარი რეზერვებიდან შეუქმნა საკმაოდ ამბიციური პროგრამები. თუმცა ამასთანავე, რეიგანი როგორც ლაისსეზ-ფაირეს აქტიური დამცველი, იზიარებდა იმ კონსერვატივულ ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს როლი მინიმალური უნდა იყოს მოქალაქების ცხოვრებაში. ამასთან, ეს თეზისი ეხებოდა არა მხოლოდ ფედერალური მთავრობის, არამედ შტატების მთავრობათა სამოღვაცეო კომპეტენციასაც.

რეიგანის აღნიშნული პროგრამა ზოგჯერ "ახალ ფედერალიზმად" იწოდება. ტერმინი აქტიურად გამოიყენებოდა ჯერ კიდევ პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციის მიერ. მაშინ ახალი ფედერალიზმის ქვეშ გულისხმობრივ ძირითადად "სამართლიან ბალანსს ფედერალურ და შტატების ქონებას შორის", როდესაც ადმინისტრაციას განზრახული პქნდა შტატებისათვის დაებრუნებინა შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ფედერალური შეკვეცების გარეშე. უფრო კონკრეტულად, პროგრამის მიხედვით, რომელმაც მაშინ ძლიერი მხარდაჭერა ჰპოვა კონგრესში, მიიღეს კანონი, რომელიც ფედერალური შემოსავლებიდან ცენტრალური მთავრობა შტატებს უბრუნებდა სახსრებს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. მართალია შტატებს უმცირდებოდათ ფედერალური დახმარება, მაგრამ მათ ემლებოდათ უფლება გაეჩარდათ შემოსავალი საკუთარი გადასახადების ზრდის ხარჯზე.

ათ ნების შემდეგ (1982 წელს) რეიგანმა ამერიკას წარუდგინა ახალი ფედერალიზმის იდეა, რომელიც მეტ ავტონომიურობას ანიჭებდა ცალკეულ შტატებს. ამ თავისუფლებასთან ერთად შტატებს მოუწევდათ უფრო მეტი ხარჯების გადებაც. კერძოდ, რეიგანის ახალი კონტინენტი პოლიტიკით შტატებს მოუწევდათ ამიერიდან 40-მდე ყოფილი ფედერალური პროგრამის დაფინანსება. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამებისა, როგორიც იყო ჩვილ ბავშვთა დახმარების ან საკეთი პროდუქტების აქციიზორების პროგრამები. სამაგიეროდ, ფედერალური მთავრობა თავის თავზე იღებდა სამედიცინო სამსახურის და ჯანდაცვის პროგრამებს, რითაც შტატებს უზოგავდა 19 მილიარდ დოლარს. ამ და სხვა ნოვაციების ხარჯზე, რეიგანმა ამერიკის ფედერალური მთავრობა დაბრუნა ტრადიციული კომპეტენციის სფეროში: ნაციონალური უსაფრთხოება, ფინანსური და მონეტიფირული კონტროლი, შტატებს შორისი ვაჭრობის რეგულაცია და მოზარდითა დახმარება. თითქმის ყველაფერი დანარჩენი შტატების მთავრობებს დაუბრუნდათ. ამასთან რეიგანი ცდილობდა ფედერალური მთავრობა გაეთავისუფლებინა პასუხისმგებლობისაგან (ცალკეული შტატების მიმართ ფისკალური პოლიტიკის დეცნტრალიზაციის გზით).

რეიგანის პროგრამა, სრულიად საპირისპიროა იმისა, რაც ჩვენ სტალინთან დაკავშირებით აღვწერეთ. პროგრამის რეალიზაციაში სულ მცირე ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა: ჯერ ერთი ცალკეული შტატები, რომელიც ნლების განმავლობაში მეტისმეტად ინერტული გახდა ფედერალური მთავრობის მომზედედ, ამიერიდან ისეთივე მობილური შეიქნენ, როგორც ამერიკის ისტორიის ადრეულ ხანაში. თანაც ეს ცვლილება შეეხმ შტატების ბიუროკრატიკას მის ორივე, როგორც საკონსტიტუციო, ასევე აღმასრულდებულ სფროში.

რეიგანის რეფორმების ერთ-ერთი ძლიერი მოტივაცია, როგორც ამბობენ, ცივი ომი იყო, რომელშიც წარმატებისათვის მას ჭირდებოდა გამაღლებული შეიარაღების კოსმოსში გადასატანად სამხედრო ხარჯების გაზრდა. რეიგანმა, ისევე როგორც სტალინმა თავის დროზე, ამისათვის საჭირო სახსრები სახელმწიფოს მიერ ვალების აღებით კი არა, შინაგანი რეზიურების მობილიზაციით მოიზიდა. თუმცა, როგორც ვეცადეთ გვეჩევნებინა სტალინმა და რეიგანმა საამისოდ სრულიად საპირისპირო გზა განვლენს მიუხედავად იმისა, რომ ორივე ემყარებოდა ცენტრალიზებულ ბიუროკრატიკულ სისტემას.

პირითადი ცნები

საპრეზიდენტო ხელისუფლება -
საპარლამენტო რესპუბლიკა -
ბიუროკრატიკა

კითხვები:

1. როგორი იყო ტერმინ პრეზიდენტის თავდაპირველი მნიშვნელობა?
2. რა განსხვავებაა პრეზიდენტის დასავლურ, ლათინურ ამერიკულ და აფრიკულ მოდელებს შორის?
3. რამდენად უნივერსალურია ბიუროკრატიკის კუბერისეული დახასიათება?
4. რაში მდგომარეობს მიხელსის ბიუროკრატიკის "რეინის კანონი"?

დამატებითი ლიტერატურა

- Роберт Скиделский "Дорога от Рабства" М.1997.
- Энтони Гидденс "Социология" Изд. Эдиториал УРСС, М., 1999
- George MacCenna "The Drama of Democracy" DPG 1994
- James M. Henslin "Social Problems". Prentice Hall, 1990

პოლიტიკური პარტია არის ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს ლეგიტიმური კონტროლის მოპოვებას მთავრობაზე არჩევნების საშუალებით. ცხადია, რომ ამ განსაზღვრებაში ვერ ჩაეტევა ყველა პოლიტიკური პარტია, ვთქათ ის პარტიები, რომლებიც ცდილობენ ხელისუფლების მოპოვებას, მაგრამ არ აკეთებენ ამას კანონიერი გზით.

პარტიის ზემოთმოყვანილი განსაზღვრება, ცხადია, არ არის ერთადერთი. პოლიტიკურ ლიტერატურაში არანალიკურადაა გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც პოლიტიკურ პარტიის ინტერეს-ჯგუფებს ამსგავსებს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, პოლიტიკური პარტია არის ადამიანთა ასოციაცია, რომელსაც გამოჩინათ საერთო იდეალები და მიზნები, და რომლებიც ცდილობენ ეს იდეალები და მიზნები კანონის რანგში აიყვანონ. პოლიტიკური პარტია ინტერეს-ჯგუფისაგან შეგვიძლია გავმიჯნოთ ორი, პარტიისათვის მინშვნელოვანი ნიშნის მიხედვით. პირველი ისაა, რომ პარტია თავის მიღვაწობას უფრო ფართო ჭრილში მიმდართავს, ვიდრე ინტერეს-ჯგუფი. "ფართო" აქ არ ნიშანას რაოდენობრივ, გნებავთ მოცულობით მახასიათებელს. მასში უფრო პარტიკული მოღვაწეობის სპეციფიკური თავისებურებანი იგულისხმება, რომელიც არ შემოიზღუდება რიმელიმე კონკრეტულ პრობლემაზე გამოთქმული ცალკეული აზრით, იდეით, თუ დაფიქსირებული პოზიციით. ჩვეულებრივ, პარტია აყალიბებს შეხედულებათა მთელ სისტემის, მანა ავთარებს სამოქმედო სტრარეგისა და ტაქტიკას, პარტიის პლატფორმას. ამგვარი პლატფორმის შემუშავების საზრისი საარჩევო პარტიებისათვის გასავებია: მოსახლეობა წარმოადგენს ძალზე ჭრელი შეხედულებების შემნებრივობას და იმისთვის, რომ პარტიამ მაქსიმალურად მეტი მოსახლეობის მარდაჭრა შეიძინოს, გასაგებია, რომ მას ჭრდება იდენტიფიკირების იმგვარი იდეოლოგია, რომელიც გააქრითინებდა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მოქალაქეებს.

პარტიის ინტერეს-ჯგუფისაგან მეორე განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ თუ ინტერეს-ჯგუფი შემოიფარგლება მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობით ისე, რომ თავად ჩრდილში ან მთავრობის გარეთ ჩჩება, პარტიის მიზანი მთავრობაში შეღწევა,

უფრო ზუსტად მთავრობად ქცევაა. ყოველი პარტიის მიზანია თავად იყოს გადაწყვეტილებების მიმღები პოლიტიკური დაჯგუფება. თუ აღნიშვნულ პარტიის ინტერეს-ჯგუფისაგან განმასხვავებელ ორ ნიშანს ერთად ავიდებთ, შეგვიძლია დავუპრონდეთ გიდენსის განსაზღვრებას, რომ პოლიტიკური პარტია იმგვარი გაერთიანებაა, რომელიც დაილობს მთავრობის კონტროლირებას.

პოლიტიკური პარტიები ფორმალურად არ არსებობდა მეცხრამეტე საუკუნემდე, როდესაც პარტიები წარმოშვა სახალხო რესუმების პარლამენტების არჩევნებში წარმატების მობოლების მიზნით, თუმცა ევროპაში მანამდეც არსებობდნენ პარტიების მსგავსი გაერთიანებები როგორიც იყვნენ, ვთქვათ, შეა საუკუნების იტალიაში გველფები და გიბელენები. პარტიულ გაერთიანებებს ახასიათებთ არა მსოფლიო მკვეთრად გამოკვეთილი იდეოლოგია და შეიძა სტრუქტურა, არამედ განსაზღვრული მიზნები და ამ მიზნების მიღწევის სტრატეგია და ტაქტიკა. პარტიის "სტრატეგია", აქ, შეგვიძლია გავიგოთ როგორც შორისმიმავალი მიზნისათვის არსებული რესურსების მობილიზაცია, ხოლო "ტაქტიკა" კი ამ მიზნის მიღწევის კონკრეტული გზების განსაზღვრა.

პარტიების პოლიტიკური აქტივობა, მათი პოლიტიკური კაპიტალი ხმირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის საარჩევნო სისტემაა ამა თუ იმ ქვეყანაში. ისეთ სახელმწიფოებში, სადაც არჩევნები პროპორციული სისტემით ხორციელდება, რის შედეგადც წარმომადგენლობით ორგანოში ადგილები ნაწილდება მიღებული ხმების საერთო რაოდენობასთან პროპორციულად და არა უბრალო უპირატესობის მიხედვით მიღებული ხმების რაოდენობიდან, როგორც წესი გაბატიონებულია მრავალპარტიიული საარჩევნო სტრუქტურა. ორპარტიული სისტემა, როგორც წესი, არსებობს უბრალო უმრავლესობით საპარლამენტო ადგილების მოპოვების პრაქტიკის პარალელურად. სამართლიანობა მოიხსოვს აღნიშნოს, რომ საარჩევნო სისტემები ყველა ქვეყანაში არ არის წარმოდგენილი წმინდა პროპორციული ან მაუკრიტიარული სახით და უფრო მეტად მათ ნარევს წარმოადგენს. ამგვარი შერეული სისტემის ნიშვნად შეგვიძლია დავასახლოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარჩევნო სისტემა. ბუნდესტაგის ნახევარი აირჩევა მაუკრიტიარული, ხოლო ნახევარი კი პროპორციული წესით. საინტერესოა, რომ საქართველოშიც ამგვარი შერეული სისტემა არსებობს. თუმცა ამ სისტემის შედეგად შერეული სადეპუტატო კორპუსი ერთობ სპეციალურად ლაგდება პარლამენტში. მხედველობაში გავტეს ის ფაქტი, რომ გავრცელებული პრაქტიკით საქართველოში მაუკრიტიარული წესით პარლამენტში, როგორც წესი, ხდებიან არა იმდენად პარტიების წარმომადგენლები,

რამდენადაც ე.ნ. უპარტიო დეპუტატები, რომლებიც არ გამოხატავნ რაიმე გარკვეულ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. ეს უპარტიო დეპუტატები, ჩეველებრივ, ლოკალური აუტორიტეტები ან მეტ-ნაკლებად პასულარული პერსონებია, რომელთაც ახასიათებთ გაუკვეველი პოლიტიკური ორიენტაცია და აძლიერაქტული, მეტად ბუნდოვანი ფრაზეოლოგია. ხშირად გამოითქმება არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ მაჟორიტარული დეპუტატების იმსტიტუტმა საქართველოში არ გაამართლა და ის პრინციპში წარმოადგენს მმართველი პარტიის მიერ ხელდასმულ სარეზურვო გუნდს, რომელსაც დროდადრო საკუთარი ინტერესებიც უჩნდება.

აღსანიშნავია, რომ შერეცელი საარჩევნო სისტემები ძირითადად იმ ქვეყნებშია გაბატონებული, სადაც მრავალპარტიულობაა. თავის შერივ, მრავალპარტიულობა გეხვდება იქ, სადაც რომელიმე ვრთი, ცალკე აღებული პარტია უძლურია მოიპოვოს უმრავლესობა პარლამენტში და მთავრობის დასაკომისიერებლად სჭირდება კოალიციები სხვა მონათესავე ან, თუნდაც დაპირისპირებულ პარტიებთან.

დოდი ბრიტანეთის საარჩევნო სისტემა, რომელიც სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მარტივია, თუმცა მის ჩამოყალიბებას დიდი დრო დაჭირდა. ამ ქვეყნის პოლიტიკური ტრადიცია იცნობს ორპარტიულ საარჩევნო სისტემას, როდესაც გამარჯვებული პარტიის და, მაშასადამე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ავტომატურად ხდება ქვეყნის აღმართულებელი ხელისუფლების მეთაური, ხელმძღვანელობს მთავრობას.

სანვრძლოეთი ისტორიის მანილზე ბრიტანულმა პარტიებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია ვანიცადეს, რომლის დროსაც ისინი ცდილობდნენ ფეხი აეწყოთ ეპიქის მოთხოვნებისათვის. მას შემდეგ, რაც პარტიებმა უფრო სტაბილური სახე მიიღო, მოსახლეობაში გაჩნდა იდეა, რომ პარტიის მარტივერა გარკვეულ სარგებელთან, მთარველობასთან არის დაკავშირებული. შეოცე საუკუნის უმეტესი ხნის მანილზე ბრიტანეთის პოლიტიკურ სცენაზე დომინირებდა ორი უმსხვილესი, კრისტენერული და ლეიბორისტული პარტია. თუმცა 1980-ინ წლებში მოხდა განხეთქილება ლეიბორისტული პარტიის რიგებში და ახალი სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოშვა. ამ ეითარებას, ისევე როგორც, ვთქვათ, ძველი ლიბერალური პარტიის არსებობას, არ შეუცვლია ბრიტანეთის საარჩევნო სტრუქტურის ზოგადი სურათი, ყოფილყო წარმართული ორი ლიდერი პარტიის მიერ.

ბრიტანეთის მეოცე საკუნაის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა სამოყდაათიანი წლების დასასრულს კომუნიკატორების ხელისუფლებაში მოსვლამ ტექნიკის მეთაურობით.

ვიდრე ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, კონსერვატიულ პარტიას დატირდა შენაგანი ტრანსფორმაცია. პარტია უკმაყოფილო იყო გასულ არჩევნებში ლეიბორისტებთან დამარცხებით და პიტიშ დათანხმდა ლიდერის ედვარდ პიტის ახალი ლიდერით, მორგარეტ ტეტერერით შეკვლას. დასაწყისში ტეტერეს, რომელსაც ჯერ ბრძოლა მოუნია საკუთარ პარტიაში ადგილის განსამტკიცებლად, არ გამოიუჩინია განსაკუთრებული ინიციატივა და არ ნასულა რადგიალურ რეფორმებზე, თუმცა საარჩევნო პროგრამაში კი აცხადებდა, რომ გაზირახული პერიოდა სახელმწიფო სექტორის შენიშვნელოვანი შეკვეცა. დასაწყისში, სინამდვილეში პიროვნეულობა და კონსერვატორებმა ჯერ მოახერხეს შეემცირებინათ თუნდაც სახელმწიფო სუბსიდიები კუონომიკაში, რომელთა საჭიროება სულ უფრო და უფრო მნვავედ იგრძნობოდა. კონსერვატორთა ახალი კუონომიკური კურსი, რომელიც მიუყვებოდა კეიტ ჯონზეფის და კუონომისტ მილტონ ფრიდმანის იდეებზე შემუშავებულ პროგრამას, რაშიაც აქტიური მონანილეობა მოიტო თავად ტეტერიმა, სრული ძალით გაიშალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსერვატორებმა კიდევ ერთხელ დაამარცხს ლეიბორისტები 1983 წელს. გაიყიდა ისეთი ცნობილი სახელმწიფო კომპანიები, როგორიც იყო "ბრითიშ ტელეკომი", "ბრითიშ გაზი", "ბრითიშ პეტროლიუმი", "ბრითიშ ეარვეიტი" და სხვ. ამ აქციებმა მოსახლეობამ ფართო შეარდა აქციება პპოვა. მოსახლეობა გაეციდა და შეარდა კონსერვატორების პოლიტიკას სახელმწიფოს თავიდან მოეცილებინა წამგებიანი და არარენტაბელური სანარმოები, რომელთა მოდერნიზაცია უზრუნველყოდ დიდ სახელმწიფო ხარჯებს საჭიროებდა. ამგვარ ინიციატივებს კუონომიკის სფეროში, კონსერვატორებმა დააყოლეს შესაბამისი ტრანსფორმაციები განათლებისა და ჯანდაცების სფეროშიც. კონსერვატორების წარმატებაზე მეტყველებდა ის ფაქტიც, რომ ლეიბორისტული პარტია, რომელიც დასაწყისში პრივატიზაციის სასტიკი მოწინააღმდეგ იყო, დროთა განმავლობაში უფრო დამტომობი გახდა და ალპარაკდა სახელმწიფო ხარჯების შემცირების სარგებლივობაზე. კუონომიკური შდგომარეობის მკვეთრისა გაუმჯობესებამ და პრინციპულმა პოზიციამ ფოლკლენდის კრიზისის საკითხში კონსერვატორებს მოსახლეობის გადამწყვეტი უძრავლესობის სრული შეარდა აქცია მოუტანა, რისი გამოხატულებაც იყო, პარტიის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება კიდევ ერთ, 1987 წლის არჩევნებში, თუმცა ტეტერეს მოუნია პარტიის ლიდერის პოსტი დაეთმო ჯონ მეიჯორისათვეს.

ორპარტიული პოლიტიკური სისტემა არ არის მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, რადგან ორპარტიული სისტემა არსებობს

შეერთებულ შტატებშიაც. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ორი ქვეყნის საარჩევნო სისტემების იდენტურობას. შეერთებულ შტატებში საპარლამენტო ურმავლესობის ლიდერი და აღმას-რელებელი ხელისუფლების ლიდერი სხვადასხვა პირია, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერი, პრეზიდენტი, ქვეყანაში აირჩევა სპეციალური საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად. შეერთებული შტატებში პარტიული სისტემა, არაფორმალური თვალ-საზრისით, თვალსაჩინოდ განსხვავდება ევროპული, მათ შემოს ბრიტანული პარტიული სისტემებისაგან. შეერთებულ შტატებში არ არსებოს მეტ-ნაკლებად სოლიდური მემარცხენე, მით უფრო სოციალისტური, ტიპის პარტია. ამტკომაც არჩევნებში ხმის მიცემა არ ხდება კლასობრივ საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, დემოკრატებს მხარს უფრო დარიბები უჭერენ, ხოლო რესპუბლიკელებს მდიდრები. თითეოულ პარტიის გამწირა შესამჩნევი შინაგანი პოლიტიკური დივერსულიცია. არსებობს ლიბერალური და კანსერვატიული ფრთები ერთი მხრივ, რესპუბლიკურ და მეორე მხრივ, დემოკრატიულ პარტიაში. ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც დაპირისპირებული პარტიების მსგავსი დაჯგუფებები საერთო პოზიციაზე დგანან და ერთიანი ფრონტით იცავენ მას საკანონ-მდებლო ხელისუფლებაში. ამგვარი პრაქტიკა თითქმის გამორიცხულია ევროპულ პარტიებში, რომელთა შედა სტრუქტურები ზენოლას ახდენენ პარტიის წევრებზე და მოითხოვენ მათგან გაატარონ „პარტიული ხაზი“ ამ თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ევროპაში პოლიტიკური ცხოვრება თითქმის მონოპლიზირებულია პოლიტიკური პარტიების მიერ. იმისათვის რომ რომელიმე პიროვნება საარჩევნო სიებში მოხვდეს, იგი რომელიმე პარტიის მიერ უნდა იყოს წარდგენილი. საარჩევნო კამპანიებს ეწვევიან არა კონკრეტული ინდივიდები, არამედ პარტიები. საამისოდ მათ გამწირათ სპეციალური ფონდები, სტრუქტურული დანაყოფები და საარჩევნო საქმის სპეციალისტები. ევროპელებისათვის პარტიის წევრობა სერიოზული რაზ არის. პარტიის წევრები ესწრებიან მიტინგებსა თუ პარტიის მიერ ორგანიზებულ სხვა ლონისხიერებს. ევროპული პარტიები ცდილობენ შეასრულონ ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, მუშაობა დაჯგუფებებში და სხვადასხვა კლუბებში. პარტიები წარმართავენ არა მხოლოდ პოლიტიკურ აქციებს, არამედ კულტურულ ლონის-ძიებებსაც არასაარჩევნო პერიოდში. შეერთებულ შტატებში პარტიები, როგორც წესი, ამგვარ აქტივობას არ ენერვინ. სხვა შემთხვევაში, ამერიკული საზოგადოება ამგვარ აქტივობას პარტიისაგან ეჭვის თვალით შეხედავს.

ამერიკული პარტიების ტრადიცია ამ პარტიების არაორგანიზებულ ხასიათს უწყობს ხელს. პარტიის წევრობა რიგითი მოქალაქეებისათვის შემოისაზღვრება საარჩევნო სარეგისტრაციო ბიულეტენებში იმის აღნიშვნით, რომ ეს ამორჩიევებული რომელიმე პარტიის წევრია. თვით ასეთ შემთხვევაშიც კი ამერიკულების დიდი უმრავლესობა ამჯობინებს დამოუკიდებელი, მიუკრძოებელი ამომრჩეველის პოზიციას, მიუხედავად მისი პარტიული მიერთვნებულობისა.

ამერიკული პარტიების სპეციფიკა მრავალმხრივაა განსაზღვრული ამ ქვეყნის ისტორიით. პირველი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც თუმცა არ ატარებდა პარტიის სახელს და არც პარტიისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა პრეზრდა, იყო ფედერალისტების დაჯგუფება. ეს დაჯგუფება, როგორც ცნობილია, შეიქმნა იმ ძირითადი იდეას წყალობით, რამაც საბოლოო ჯამში მოგვცა შეერთებული შტატები როგორც ერთიანი სახელმწიფო. ფედერალისტებს დაუკირისპირდა მომავალი დემოკრატიული პარტია, რომელიც მაშინ "ჯეფერსონის რესპუბლიკულებად", ხოლო შემდგომში "რესპუბლიკურ პარტიად" მოინათლა. ამ პარტიამ 1800 წელს თავისი პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბრძოლა მოიგო, როდესაც ჯეფერსონის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს. დამარცხებულმა ფედერალისტებმა 1816 წლის შემდეგ შეწყიტეს არსებობა, ხოლო დემოკრატიულ-რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც ემყარბოდა ირლანდიელი დარიბი ემიგრანტების, დასავლეთის მიწების პირველი ამთვისებლების და სამხრეთელი წვრილი ფერმერების აღიასას, უცვლელი სახით იარსება სამოქალაქო ობამდე. სამოქალაქო ოშის პერიოდში პარტიას გამოყენ დიდი დაჯგუფება, რომელიც "რესპუბლიკურ პარტიად" მოინათლა. რესპუბლიკულებმა პრეზიდენტად გაიყვანეს თავიანთი კანდიდატი, აბრამ ლინკოლნი (1860) და 1912 წლამდე გაბატონდენ ამერიკულ პოლიტიკურ არენაზე. ახალი რესპუბლიკური პარტიის შემადგენლობა ძალზე ჭრელი იყო. აღმოსავლეთი შტატებიდან პარტიაში შევიდნენ შენარმევები, ბანკირები და ვაჭრები, ხოლო დასავლეთის შტატებიდან საშუალო დონის ფერმერები. ამ ორი დიდი დაჯგუფების გარდა პარტიის რიგები შეავსეს აბოლიციონისტებმა, რეფორმატორებმა, იმიგრაციის მოწინააღმდეგებები "ადგილობრივებმა" და ა.შ. ამ ჭრელ ერთიანობს აერთიანებდა იდეა არ დაეშვათ მონობის გავრცელება ახლადათვისებულ მიწებზე. რესპუბლიკულების ხანგრძლივი ბატონობა შეწყდა დემოკრატი ვუდრონ ვილსონის ლიდერობით დემოკრატების ხელისუფლებაში დაბრუნებისას, როდესაც ამერიკა პირველ მსოფლიო ოში ჩაება. 1920 წელს

რესპუბლიკულები კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში დიდი დეპრესიის დოქტორებამდე, როდესაც დემოკრატი რუზელტი დაუძირისპირდა „სავსე სუფრის პარტიას“ და ა.შ.

ამერიკულ პოლიტიკურ პარტიებს სხვადასხვა პერიოდში გააწინდათ მხოლოდ მათთვის დამახსოვრებელი თვისებები. ერთი ამგვარი თვისებათაგანი პოლიტიკაში შეძლებისდაგვარად დიდი რაოდენობით აომრჩევლების მოზიდვაში მდგომარეობს. ამერიკული პარტიები მისახლეობას მიმართავდნენ არა მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვეული იყო პარტიის კანდიდატის ვინაობა, არამედ უფრო აღრეულ ვრაზე, თავად კანდიდატის ვინაობის გასარკვევად. ასეთი პრაქტიკა ხშირად ალინიშება როგორც „გათავართოვადი პოლიტიკური მონანილეობის“ სახელით და ის, პრინციპში, ამართლებდა სახელმოდებას, რადგან მისი საშუალებით პარტიიებისა დადალახეს ეროვნული პარტიებისათვის დამახსოვრებელი ელიტარიზმი. საარჩევნო კამპანიების მასიური ხასიათი, ხასიათი, რომელიც ერთგვარი ფესტივალის შთაბეჭდილებას წოვებს, მონაწილე ამომრჩევლებში აღიყენებს პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის გრძნობას. დღეს აღმართ აღარ შეიძლება ითქვას, რომ შეგვესი აქტივობა მხოლოდ ამერიკული პარტიების დამახსოვრებელი ნიშანია, თუმცა ისინი უდავოდ პორნოერობი არიან.

ამერიკული პარტიების უფრო სპეციფიკური ნიშანი შეიძლება დახსასიათებეს როგორც „გარეშეების“ მოზიდვის და მათი პარტიის მომსრულებად ქცევის პრატიკა. თუკი პარტიები ხედავნ, რომ რომელიმე ახლადგამოჩეული მომრაობა ძალას იკრებს, მას უმრავლებებ მზარდი რაოდენობის მომხრეებს, პარტიია ამ მომრაობის „გადაყოლადებას“ ცდილობს. ჩვეულებრივ ეს ხდება მას შემდეგ, რაც გარკვეული ინტერეს-ჯგუფი, რომელც ხედავს რომ ქვეყნის პარტიები მათ მისნრავებებს არ იზიარებენ, აყალიბებენ საკუთარ პარტიის. გასული საუკუნის 70-იან წლებში რესპულიკულებმა „გადაყოლადებს“ ჯორჯ უოლესის მონაცესტო დაჯგუფები, ხოლო დემოკრატებმა კი იმავე დროს მოწინ ლუთერ კინგის მომსრულები, რომლებიც გაუცხოებული იყვნენ დემოკრატებისაგან. ანალოგიური ბედი ეწიათ მილიარდებით უძარტიო პრეზიდენტობის კანდიდატის როს პერიოს მომხრეებს, რომლებიც დემოკრატებს შეუკრთდნენ და გარკვეული წვლილი შეიტანეს კლინტონის გამარჯვებაში. აღნიშნული შექანიშმის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ამერიკული ორპარტიული სისტემის მდგრადი ხასიათი.

ორპარტიულ სისტემაზე საუბარი არ ნიშავს, რომ ინგლისში ან ამერიკაში არ არსებობენ სხვა პარტიები, ან, რომ მით უმეტეს, თითქოს სხვა პარტიები აკრძალულია კანონით. „ორპარტიულობა“

უფრო ფაქტიურ მდგომარეობას აგვიწერს, ვიდრე კანონით განსაზღვრულს. ამერიკაში "მესამე პარტიების" მნიშვნელოვან წარმატებად უნდა მიეჩინოთ პრეზიდენტობის კანდიდატის, მილიონერ როს პერს მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა (19% ზე მეტი), რომელიც სარკვეულო აღმოჩნდა "მესამე პარტიებისათვის" მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ორპარტიული საარჩევნო სისტემა. პერო არ ყოფილა ინდივიდუალური კანდიდატი, მას ჰყავდა საკუთარი, "ერთად მდგომთა" პარტია და პრეზიდენტობის წინასაარჩევნო ბატალიონის დროს ერთი პერიოდი უსწრებდა კიდევ ორივე ძირითად კანდიდატს - ბუშ და კლინტონს. პერომ არჩევნებში 60 მილიონი დოლარი დახარჯა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა საერთო წარმატებისათვის. "მესამე პარტიებს" შერის ამერიკაში შეგვიძლია მოვისენიოთ ლიბერტარიანული პარტია, შშრომელთა სოციალისტური პარტია, ბუშებრივი კანონის პარტია და სხვ. ეს პარტიები წარმატებას ვერ აღწევეს სხვადასხვა მიზეზის გამო, ან იმიტომ, რომ სახსრები არ ჰყოფილი, ან იმიტომ რომ ვერ ერგებიან საარჩევნო სისტემის საეფუძვლის, ან მათ პოპულარულ იდეებს ართმევნ ლიდერი პარტიები. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1890 წელს პოპულისტური (სახალხო) პარტია საარჩევნო პროგრამის ძირითად აქცენტს აკეთებდა ეკონომიკური რეფორმების პრობლემებზე. ამგვარი იდეები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში. დემოკრატებმა სახსრაფოდ მოპარეს იდეა და დიდი წარმატებითაც. მსგავსი რამ მოვუდა იგივე როს პეროს, რომელსაც კლინტონმა "მოპარა" ბიუჯეტის დეფიციტის პრიორიტეტულობის იდეა მას შეძლებ, რაც გაირკვა, რომ იდეა ამომწეველში პოპულარობით სარგებლობს.

ბრიტანული და ამერიკული პარტიების მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, თუ რა ტიპის არის ე.ნ. საპარლამენტო პარტია. საარჩევნო პარტიის პოლიტიკური ძალა განისაზღვრება მისი უნარით მოვიდეს ხელისუფლების სათავეში და აამოქმედოს თავისი სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად ლეგიტიმური სახელისუფლებო მექანიზმები. რა თქმა უნდა, საპარლამენტო პარტიებს აქვთ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი წოხა და ავტორიტეტი. მათ შეუძლიათ სასურველი პოლიტიკური გადახუცეტილების ლობირება ან პირდაპირი ზენოლა გარეუცემ სახელისუფლებო იმსტანციებზე, მაგრამ საპარლამენტო პარტიების ამგვარი წონის განმსაზღვრელიც ხელისუფლების სათავეში მოსვლის პოტენციალია. სხვა პოლიტიკურ ძალას ისინი, როგორც ნეის, არ ფლობენ. შესაძლოა ეს ვითარება უკეთ გამოწიდეს მაშინ, თუკი კონტრასტისათვის თრიოდე სიტყვით შევ-

ჩერდებით იმაზე, თუ გავლენის რა მექანიზმები ჰქონდა რომელიმე, ვთქათ კომიტეტისტურ პარტიის არა ტოტალიტარული რეფილის პირობებში, არამედ იმ ქვეყანაში, სადაც მას კონკურენციას უწევდნენ ლეგიტიმურ საფუძვლებზე საპარლამენტო პარტიები.

საარჩევო სისტემები უმეტესწილად ითვალისწინებუნ საარჩევნო პროცენტულ მინიმუმს. ამგვარი პროცენტი სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკაში, როგორც წესი, ხუთ პროცენტიანი ბარიერით განისაზღვრება. ბარიერის შემოტანას აზრი აქვს ბარლამენტის წერილი პარტიების მოსალებისაგან დასაცავად. საქართველოში ამგვარი ბარიერი ბოლო არჩევნებამდე ფუნქციონირებდა და შეიძლება ითქვას, რომ მან სავსებით გამართოლა, თუმცა ბოლო არჩევნებში პროცენტის არამატიკორებული გაზრდა ბადებს ეჭვს, რომ მმართველი პარტიის ხელში პროცენტული ბარიერი გადაიქცა არასასურველი პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში მონაბეჭდობის გარეთ დატოვების ქმედით საშუალებად.

დასავლეური პარტიები ყალიბდებიან სრულიად განსხვავებული პრინციპების საფუძვლებზე. პარტია შეიძლება ჩამოყალიბდეს რელიგიურ საფუძველზე. მაგალითად, ასეთად შეგვიძლია ჩავთვალით ბელგიის სრულალურ-ქრისტიანული ან კათოლიკური სახალხო პარტიები. სხვა პარტიები შეიძლება ჩამოყალიბდებენ ნაციონალური, ეთნიკური ან, ბოლოს, სულაც ენობრივი ნიშნის მიხედვით. ამგვარი პარტიები, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავენ შესაბამისი რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს. ასეთი პარტიების ნიმუშად შეგვიძლია დაესახელოთ ფინეთში არსებული შვედური სახალხო პარტია, ან დიდი ბრიტანეთის შოტლანდიის ნაციონალური პარტია. სოფლის მცხოვრებთა ინტერესებს შევიცარიაში იცავს შვეიცარიის სხალხო პარტია. დაბოლოს, სრულიად ასალი ტიპის პარტიული გაერთიანების ნიმუშს წარმოადგენს გერმანიის მწვანეთა პარტია, რომელიც შეიქმნა ადამიანის წინაშე მდგარი სრულიად ახალი ტიპის გამოწვევებზე პასუხის მიზნით და ვერ მტევა პარტიების ტრადიციულ მიზნობრივ ამოცანებში.

პარტიების ტრადიციული მიზანდანიშნულება დაკავშირებული იყო უფრო მეტად საზოგადოებების სოციალურ სტრატებით. პარტიები მათი ინტერესების პოლიტიკურ მატარებლებად ასალებდნენ თავს. ასეთებად ითვლებოდა მაგალითად კომუნისტური პარტიები საბჭოთა კავშირში და დასავლეთ ევროპაში. კომუნისტური პარტიები იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში ძალზე მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ, რომელთა პოზიციაზე, ძალთა ბალანსირების თვალისწინებისთვის, ძალზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული აღმასარულებელ ხელისუფლებაში. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამ პარტიებმა ევრო-

პის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მოახერხეს ხელისუფლების სათავეში მოსვლა, ისინ მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებდნენ საბჭოთა კავ-შირის დაშლამდე. საბჭოთა კავშირის დაშლამ, მსოფლიო სოცია-ლისტური სისტემის ლიკვიდაციასთან ერთად, ევროპული კომუ-ნისტური პარტიების კრიზისი გამოიწვია და ბევრი მათი წევრი აიძულა მნიშვნელოვნად გადასინჯა საკუთარი პოლიტიკური შექვედულებები.

ამრიგად, უქაშელია, რომ არსებობს საკმაოდ მჭიდრო კოორ-დინაცია იმ პარტიებს შორის, რომელებიც სოციალური ძირითადი სტრატეგიის ინტერესებს გამოხატავენ და თავად საზოგადოებაში არსებულ სტრატიფიკაციის შორის. ჩვეულებრივ ითვლება, რომ ლიბერალური ან სოციალისტური პარტიები თავანთი ხებს ძირითადად მოსახლეობის დაბალ ფენებში აგრძელენ მაშინ, როდესაც კომსურვატიული და უფრო მემარჯვენე ტიპის პარტიები მოსახლეობის შექძლებულ ფენებს ემყარებიან. თუმცა, ამგვარი დანანილება არ არის აბსალუტური და ყველთვის არ ამარ-თლებს. დიდ ბრიტანეთში, ტეტჩერის მმართველობის წლებში, მუშების უძრავლესობა მხარს კომსურვატიულ პარტიას უქრდა, ხოლო ინტელექტუალური წრეები კი უურატესობას ანიჭებდნენ ლეიბორისტულ ან ჰალზე დასუსტებულ ლიბერალურ პარტიებს.

ბრიტანელი ამომრჩევლების გუნება-განწყობის ამგვარი ცვა-ლებადობა ტიპიურია ზოგადად ევროპელი ამომრჩევლების საარ-ჩევნო განწყობების ცვალებადობისა. ერთ-ერთი მოტივი, როს გამოც, ევროპელი ამომრჩევლები ტრადიციულად ხმას აძლევდნენ ამა თუ იმ პარტიას უკვე აეღიაშვეთ. ეს არის თავად ამომრჩევლის სოციალური სტატუსის კორელაცია პოლიტიკურ პარტიისთან. მეორე ასეთივე ტრადიციული კრიტერიუმი უკავშირ-დება ამომრჩევლის იდენტიფიკაციას პარტიის პოლიტიკურ ფილო-სოფიასთან. კრიძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ ამომრჩეველი მხარს უქრეს ან კომსურვატორებს ან ლეიბორისტებს უპირველეს ყოვლი-სა იმიტომ, რომ საკუთარ მსოფლმხედველობას აფასებს როგორც კომსურვატულს ან როგორც სოციალისტურს. მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ამგვარი დამოკიდებულება შეიცვალა. მიზეზი, როგორც გამოკვლეულების ავტორები ამტკიცებენ, მასშედის შუშაბის სეცუიფიკს ცვალებადობაში მდგომარეობს. ასეა თუ ისე, ამომრჩევლებმა ხმის მიცემა დაიწყეს მიმდინარე პოლიტიკასთან და მათ საკუთარ ყოველდღიურ ინტერესებთან პარტიების პოლიტიკური პოზიციების შეფასების თვალსაზრისით.

პარტიული პოლიტიკური სპეცირის დახასიათებისას ხშირად გამოიყენება ტერმინები "მემარცხენე" და "მემარჯვენე". ეს ტერმი-ნები თავისთავად არაურისმთხველია. მათ გააჩინათ წმინდა

კონვენციონალური ხასიათი. ტერმინები, "მემარცხენე პარტია", და "მემარჯვენე პარტია", წარმოიშვა სრულიად შემთხვევით, ფრანგულ პარლამენტში დაუსუტიატების ადგილების განაწილებიდან, როდესაც მარტინივ სხდებოდნენ პროგრესისტები, ცვლილებების და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის ზრდის მოძრევები, ხოლო მარჯვნივ ისინი, კინც უფრო კომსერვატივულად იყო განწყობილი და აყენებდა თავისუფალი ვაჭრობის და ან სახელმწიფოს გადაჭარბებული აქციონებს შეზღუდვის იდეას. თუ მემარცხენეობა მემარჯვენეობის კრიტერიუმით ვისარგებლებთ, კომპარტიიები მემარცხენეთა რიგებში უნდა მოვათავსოთ. არადა ყველა მიზეზი გვაქს კომპარტიიები სრულიად გამოიჩინა. ჯგუფად წარმოვადგინოთ.

არარუსულმა კომპარტიიებმა ეკროპასა და დანარჩენ მსოფლიოში გადაიღეს ბოლშევიკების დამახასიათებელი ყველა თავისებურება. ამ დამახასიათებელ თვისებებს შეორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი იყო პარტიის სტრუქტურირება სამუშაო ადგილების მიხედვით, ხოლო მეორე პარტიის "რეინისებური ღის-ციალინა" ან, სხვაგვარად რომ ვთქათ, პოლიტიკური ნების ერთიანობა პარტიის რიგებში. ამ სამუშაო პრინციპებიდან პირველი-პარტიის, თუკი ის რა თქმა უნდა ოპოზიციაში იმყოფებოდა, რეინისისათვის სახითაოს ხდიდა იმდენად, რამდენადაც მას შეეძლო ზემოქმედება სახელმწიფოს საციონისტულო ფუნქციებზე, ხსვადასხვა სამსახურებში განწყოლი პროპაგანდისტული თუ სხვა სახის აქცივობის წყალობით. რაც შეეხება მეორე პრინციპს (ნების ერთიანობას), იგი პარტიის უფრო სამხედრო დაჯგუფების სახეს აძლევდა, ვიდრე პოლიტიკური პარტიისათვის ტიპიურობას. კომუნისტების პარტიული ბირთვი, რომლის შიდა ბიუროკრატია მკაცრად ორგანიზებული იერარქიული სტრუქტურა იყო, რომელშიაც მიღებული გადაწყვეტილება ტარდებოდა ზემოდან ქვემოთ ცალსახა აუკილებლობით. მკლევრების საერთო აღიარებით, პარტიის ეს თვისება უპირველეს ყოვლისა განსხვავებული აზრის არმილებაში ვლინდებოდა. განსხვავებული აზრი ცხადდებოდა ოპორტუნისტულად და აცტიონთახ ერთად იკვეთებოდა პარტიის რიგებიდან. პარტიის გამიჯვნა ამგვარ შეხედულებებთან ხორციელდებოდა "ერთსულოენად", რაც კიდევ ერთხელ მიგვითოთებს პარტიის გასამხედროებულ ბუნებაზე. ეს ბუნება საკმაოდ თვალსაჩინოა, ამერიკული პარტიების დახასიათების შემდეგ, რომელთა პოლიტიკური ძალა მოხიანად არჩევნებში წარმატებაზე დამოკიდებული. მათგან განსხვავებით, კომპარტია, თუნდაც ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად აღებული, თავისთავად წარმოადგენს ძალას და რა გასაკვირია, რომ ხელისუფლებაში

მოსკოვის ის რესენტში სრულიად სხვა ხერხებით გვემავდა, ვიდრე ეს მიღებული იყო ევროპაში.

თვით იმ შემთხვევებშიაც კი, როდესაც კომპარტიია იქულებული იყო მიღლო დემოკრატიული პოლიტიკისათვის დამახასიათებელი თავის, ვიდრე ეს დამახასიათებელი იყო ლიბერალური ან სოციალისტური ევროპული პარტიებისათვის. ფრანგ პოლიტიკის სოციოლოგის, დომინიკ კოლას მითხვას ძალზე საინტერესო შედარება საფრანგეთის კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის. კომპარტიის "რეინისებური დისციპლინის" წყალმიზი, ამბობს ის, კომუნისტები სხვა პარტიებს სჯაბნიან მაშინაც კი, თუ ისინი უმცირესობაში არიან. ასკაციან ჯგუფში, მაგალითად, ოცი კომუნისტი ყოველთვის სჯაბნის ორმოც სოციალისტს, რომელთა შორის არ არის ერთიანობა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით. სწორედ ალნიშნული ვითარების გამო, უფრო ფართო არეაზე, კომუნისტები აკანტროლებდნენ საფრანგეთის პროფესიული მაშინაც კი, როდესაც ისინი უმცირესობაში იყვნენ. კომუნისტებისათვის ეს არ იყო მნელი, რადგან ალნიშნული ორგანიზაციის ფუნქციონირებდა როგორც ფედერალურ (მეტა-ლურების, შენებლების და ა.შ. ფედერაციები), ასევე ტერიტორიალურ (დეპარტამენტის კავშირი) პრინციპებზე. ფრანგული კომპარტია ამ კითხვების გათვალისწინებით, თანამშრომლობდა სხვა პარტიებთან ფედერალურ თრგანიზაციებში და ხელთ იგდებდა გრენერალური მდივნის პოსტს დეპარტამენტის კავშირში.

თუ საფრანგეთის კომპარტიის შევადარებთ ისეთ ძლიერ პოლიტიკურ თრგანიზაციის, როგორიც არის საფრანგეთის სოციალისტური პარტია, ვნახავთ, რომ კომპარტიისაგან განსხვავებით სოციალისტები მოსამსახურებსა და მუშებში მხოლოდ მხარდაჭერას ექცედნენ. მაშინაც კი როდესაც სოციალისტები მაქსიმალურად ძლიერებით იყვნენ (გასული საუკუნის 80-იან წლებში), მინახანად უაღრესად დაქარავულ ძალად გამოიყურებოდნენ და იყოფოდნენ სხვადასხვა ლიდერების (მიტრანის, როკარის, მორიუას და ა.შ.) დაჯგუფებებად, რომელთაც ერთმანეთში გაუთავებული ბრძოლა პქონდათ "თბილ-თბილი" ადგილებისათვის. თითეოული ასეთი დაჯგუფება ცდილობდა დამკვიდრებულიყო სხვადასხვა პროფესიონერებში, რასაც ისინი ვერ ახერხებდნენ კომუნისტების, მათთან თანამშრომლობის და დახმარების გარეშე. ამრიგად სხვა-დასხვა პროფესიონერებში გაპნეული სოციალისტების განსხვავებული ფრაქციები თუ დაჯგუფებები კონკურენტებს ერთმანეთში ხედავდნენ და ბატონობისათვის გარიგებაში შედიოდნენ კომუნისტებთან, რომელებიც მართალია რაოდენობრივად და მომხრეების რაოდე-

ნობით მცირე იყვნენ, მაგრამ მაინც ახერხებდნენ გაუკონტროლებინათ სიტუაცია, რადგან ყველანი პროფესიონელში გამოდიოდნენ ერთიანი პოზიციით, ერთი ნებით შეკრულ გუნდად.

შემცირებულოვანია აღწერილი თვისებები, რაც მათ უიოლებდათ წარმატებას სოციალისტებთან ბრძოლაში პროფესიონელისათვის, სრულიად უვარესი იყო, როდესაც საქმე მიღებოდა საყოველთაო არჩევნებზე. სოციალისტური პარტიის იდეოლოგიური პლატანიზმი, ე.ი. ის, რისი წყალმობითაც ისინი სისტემატურად უთმობდნენ კომუნისტებს პროფესიონებს, სოციალისტების ძლიერ მხარედ იქცეოდა, რადგან მოიცავდა გაცილებით უფრო ფართო პარტია პარტიის ამომრჩეველთა გემოვნებისათვის, ვერე გამაზლურული, ვინრო იდეოლოგიური ორიენტაციის კომუნისტებისა. აქედან გასაგებია არა მხოლოდ ის, რომ კომუნისტები ყოველთვის ავტოდნენ არჩევნებს სოციალისტებთან, არამედ ისიც რომ საყოველთაო არჩევნები, რომელ მიაც არსებობს ფართო პროფილის ამომრჩეველი, არ არის კომუნისტების ხელისუფლების სათავეში მყოფმა კომუნისტებმა ეს აღგილი მოიმოვს სწორედ არჩევნებით და არა სხვა მაქინაციით, თუ ძალადობით. მაგალითისათვის შეგვიძლია ავილოთ კომუნისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლა ჩეხოსლოვაკიაში. ამ ქვეყანაში ომის შემდგომ კომუნისტებმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს სწორედ პროფესიონებზე კონტროლის წყალმით, რომლის 90%-ში კომუნისტები ბატონობდნენ. პროფესიონებში გაბატონების შემდეგ, კომუნისტების მყოფი იყო სხვა პარტიებთან, მათ შემთხვევაში აღიანსი, რომელებიც სულაც არ იზიარებდნენ მათ მიზნებს. ამისათვის კომუნისტებმა შევმნეს სპეციალური კომიტეტი. ქვეყნის ძირითად ძალებზე გაბატონების შემდეგ, 1948 წლის "პრაღის აჯანყების" პროვოკირება ძალზე ითლი იყო. ამით, საბჭოთა ჯარების ჩაურეველად, მხოლოდ "ძევების ტაქტიკით" კომუნისტები ქვეყნის სათავეში მოექცნენ, მაგრამ ეს წარმატება არ ყოფილა საყოველთაო არჩევნებში გამარჯვების შედეგა.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით შევხმოთ პოლიტიკურ პარტიებს საქართველოში. პოლიტიკური პარტიების რაოდენობა, ქვეყნის მასშტაბების გათვალისწინებით, საკმარისზე გაცილებით დიდია. 1995 წლის ნოემბრის არჩევნებში რეგისტრირებული იყო 54 დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, თუ საარჩევნო ბლოკი. ყველა ეს პარტია თუ საარჩევნო ბლოკი, ცხადია, არ იყო ტოლი ძალისა თუ პოლიტიკური წონის. არსებობდა პარტიები, რომლებიც სულ რამდენიმე ათეულ კაცს მოიცავდა. ამგვარ პარტიებს

არჩევნებში წარმატების ნაკლები შანსი პქონდათ. შემდეგ არჩევნებამდე მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც აიხსნება არა მხოლოდ პრესტიუსის დაცვით, თუ საკუთარ ძალებში რწმენის შერყევით, არამედ იმ სპეციფიკური პოლიტიკური კლიმატის გამო, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში.

ანგლო-ამერიკულ პოლიტიკურ სისტემებს ექსპერტები ახასიათებენ ხოლმე შემდეგი პრინციპით - "გამარჯვებული იღებს ყველაფერს". გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუკი სადმი ხორციელდება ეს პრინციპი პირდაპირი მნიშვნელობით, ეს არის საქართველო. თავისთავად საქართველოს საარჩევნო სისტემა არ არის ამ პრინციპზე აგებული. პარლამენტში არსებობს მაყორიტარი დემოკრატიის იმსტიტუტი და პარლამენტის მთლიანი შემადგენლობაც გაცილებით უფრო პლურალისტურია, ვიდრე დასახელებულ ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების სათავეში მოსული პარტია ყოველნაირად ცდილობს გააკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება და "არ დაუშვას" მასში ოპოზიციის შეღწევა. იმის გამო, რომ საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება უერთმანეთიდ არ არსებობს, აღნიშნული ვითარება იწვევს ქართული პოლიტიკური სპექტრის სტრუქტურირებას სამ მირთად ფენად. პირველია მმართველი პარტია, რომელიც პრაქტიკულად აკონტროლებს როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას. იგივე პარტია აკონტროლებს ქვეყნის ფინანსებს, ბიზნესს და საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებს. ამგვარი ძალაუფლებისათვის შეგვეძლო აბსოლუტური გვერდებინა, თუკი ეს სიტყვა შეცდომაში შემყანი არ იქნება და არ გამოიწვევს მონარქიული ხელისუფლების ალაზნებს. მეორე ფენის პარტიებს წარმოადგენენ ე.ნ. საპარლამენტო ოპოზიციის პარტიები, რომლებიც მართალია საკანონმდებლო ხელისუფლებაში არიან, მაგრამ იზოლირებული არიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი მირთადი შესაძლებლობებისაგან. ამგვარი პარტიების ფინანსური შესაძლებლობები "პერიფერიული ზონებით" შემოიფარგლება. ასეთი პარტიის ელიტა არსებობისათვის საჭირო სახსრებს იღებს საქმიან წრეებსა და აღმასრულებელ მოხელეებს შორის კონტაქტების დამყარებით. სარფიანი გარიგებისათვის მათ ორი იარაღი აქვთ - რეალურ ხელისუფალთა კეთილგანწყობის მოსოფება და მისი საპირისპირო, საპარლამენტო სკანდალის, საპარლამენტო მოსმენის პროვოკირების მუქარა.

დაბოლოს, მესამე პარტიების მესამე რიგს შეადგეს ის პარტიები, რომლებიც პარლამენტს გარეთ დარჩინენ. ხელისუფლების გარეთ არსებობა მათ ყოველგვარ ფინანსურ მხარდაჭერას ართმევს, რის გამოც მომავალ არჩევნებამდე მათი არსებობა ერთობ

სათუო ხდება.

ქართული პოლიტიკური პარტიების შემოთავაზებული აღწერა უკვე გულისხმობს, რომ სტრუქტურით და ფუნქციონალური დატვირთვით პარტიები უფრო "საარჩევნო პარტიების" თარგზე არიან მოჭრილი, ვიდრე კომუნისტური პარტიისა.

პირითადი ცნობები:

პოლიტიკური პარტია - ორპარტიული
პოლიტიკური სისტემა - მემარცხენე და მემარჯვენე
პოლიტიკური პარტიები - საპარლამენტო და
არასაპარლამენტო პარტიები

კითხვები:

1. რა არის პოლიტიკური პარტია?
2. რა განსხვავებაა საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს შორის?
3. რა სპეციფიკური თეოსებებით გამოიწევიან ამერიკული პოლიტიკური პარტიები?
4. რა პრინციპებია აგებული ორპარტიული პოლიტიკური სისტემები?

დამატებითი ლიტერატურა

- დომინიკ კოლა "პოლიტიკური ხოციოლოვა"
- Энтони Гидденс "Социология". Изд., Эдиториал УРСС, М.1999
- Robert MacCanna "The Drama of Democracy" DPG, 1997
- John Donovan, Richard E. Morgan, Christian P. Potholm "People, Power and Politics" Random House, 1986
- James Henslin "Social Problem". Prentice Hall, 1990

ი ნ ტ ე რ ე ს - პ ლ ა ფ ი რ ი

საზოგადოებაში პოლიტიკური ძალის განაწილების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინტერესების ჯგუფები. დემოკრატიული საზოგადოების სტრუქტურა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ესტუარება ნარმომადგენლობითი ხელისუფლების ინსტიტუტს და ანგარიშებალდებულებას ამომჩრჩევლებისადმი, მაინც ვერ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა უშუალო მონანილეობა მიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავადვე განკარგოს თავისი ბედი. ამგვარი პირდაპირი დემოკრატიული რეუნიები უფრო ანტიკური პერიოდის პოლისებისათვის იყო დამსახასიათებელი. დღევანდველ დემოკრატიებში საპარლამენტო და საპრეზიდენტო ისევე, როგორც ადგილობრივი ნარმომადგენლობითი ხელისუფლების სტრუქტურებში არჩევნების შემდეგ, უშუალო სახელმწიფო პოლიტიკური ცხოვრების გარეთ რჩებიან როგორც რიგითი ამომჩრჩევლების უდიდესი ფენები, ასევე პოლიტიკური პარტიები და, სხვადასხვა, მათ შორის პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციები. მათ, ყველას გარკვეული ინტერესები გააჩნიათ, რომელიც, ცხადია, ვერ მოიცდის მომავალ არჩევნებამდე. ამგვარი ინტერესების ექსპლიკაცია ხდება ადგინათა სხვადასხვა გაერთიანებებში, რომლბსაც ინტერეს-ჯგუფებს უწოდებენ.

ძალზე ზოგადად თუ ვატყყით, ყოველი მოქალაქე, საზოგადოების ყოველი წევრი არაფორმალურად გარკვეულ ინტერეს-ჯგუფებია მოხვედრილი. მაგრამ შემდგომში ჩენ ვისაუბრებთ არა ამგვარ ინტერეს-ჯგუფებზე, არამედ იმგვარზე, რომელებიც ორგანიზებული და ლეგიტიმური სახით არიან ნარმოდგენილნი. ამგვარი ჯგუფების არსებობის ყველაზე დიდი გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია და ამიტომ შემდგომში ინტერეს-ჯგუფებს ძირითადად სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე განვიხილავთ.

ინტერეს-ჯგუფების მოღვაწეობა უპირველეს ყოვლისა საინტერესო როგორც ხელისუფლების გარეთ დაწესებილი ორგანიზაციების აქტივობა. დემოკრატიული სახელმწიფო პოლიტიკური აქტივობის შანსს უტოვებს ყველა იმ მოქალაქეს, ვინც ნარმოდგენილი არ არის ხელისუფლების რომელიმე შტოში. ამით, ის არა შეოლოდ გამოათვალისუფლებს მოსახლეობის უზარმაზარ პოლიტიკურ ენერგიას, რომლის ზრდაც ესოდენ სახითვათო მასშტაბებს

იღებს არადემოკრატიულ რეჟიმებში, არამედ ახორციელებს კომუნიკაციას ხელისუფლებას და ხალხს შორის. თავის მხრივ, კომუნიკაცია ხელისუფლებასა და სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, ხელისუფლებას არიდებს საზოგადო პოლიტიკურ ვაკუუმში მოხვედრის შანსს. ამგვარ საზოგადოებაში თითქმის მინიმუმიმდევ დაყვანილი შესაძლებლობა იმისა, რომ ხელისუფლებაზე აპსოლუტურად არადეკვატური პოლიტიკური კურსი წაიყვანოს ანუ წაიყვანოს კურსი, რომელიც არათუ ეთანხმება ან პირიქით კრიტიკში უდგას საზოგადოების მრავალფეროვან ინტერესებს და მოლოდინებს, არამედ არავითარ შეხებაში არ მოდის მასთან.

დასასწაულისში, ალბათ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საზოგადოებრივი აზრი და ჯგუფების ინტერესები. ამ უკანასკნელისგან განსხვავდით, პირველის ფორმირებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მასებია, საჯარო დებატები და სხვა. ამასთან, საზოგადოებრივი აზრი ჩვეულებრივ ერთი რომელიმე საკითხის ირგვლივ იქმნება და იგი უფრო ზოგად განწყობას გამოხატავს, ვიდრე მოქმედებისადმი მზაობას.

ინტერეს-ჯგუფებს კიდევ "ზენოლის ჯგუფებს" ან "განსაკუთრებული ინტერესების ჯგუფებს" უწოდებენ. ტერმინის უმარტივესი განსაზღვრება ასეთია: ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელთა წვერებს გააჩინათ გარკვეული თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე და რომელებიც ცდილობენ ამ თვალსაზრისის პოლიტიკაში გატარებას იწოდება ინტერეს-ჯგუფად. ინტერეს-ჯგუფების შემოთავაზებული განსაზღვრება ახლოს დგას ლობისტების განსაზღვრებასთან, რადგან იდეის მიხედვით "ლობისტს" უწოდებენ იმას, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს კანონმდებლობაზე ან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე. ორი ტერმინის სიახლოეს განპირობებულია იმით, რომ ლობიზმი ინტერეს-ჯგუფების პოლიტიკური აქტივობის ძრითადი იარაღია.

ტერმინი ინტერეს-ჯგუფს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ტერმინი აქტიურად ფიგურირებდა ჯერ კიდევ "ფედერალისტში". კერძოდ, მეათე ნომერში, ჯერმა მედისონი, რომელიც ისტერეს-ჯგუფებს განსაზღვრავდა როგორც "ფრაქციებს" პოლიტიკურ ცხოვრებაში, საქმაოდ ნეგატიურ დახსიათებას აძლევდა მათ. ფრაქცია, მისი აზრით, არის საერთო ინტერესებით მოტივირებული მხოლოდ ერთი ჯგუფი, რომელიც უპირისპირდება დანარჩენი მოქალაქეების უფლებებს, უპირისპირდება საზოგადოების მუდმივ ან დროებით ინტერესებს. ეს თვალსაზრისი, რომელიც ჩამოაყალიბა მედისონმა, მხედველობაში გვაქვს ტერმინისათვის ნეგატიური მიშვნელობის მინიჭება, უცვლელად გაზიარებულია ბევრის მიერ დღეს. ადამიანების უმრავლესობა ლობი-

რებას და შესაბამისად, ინტერეს-ჯგუფებს, მათ აქტივობას იმგვარ პოლიტიკურ კურსად გაიგებენ, რომელიც მაინცდამაინც კარგად ვერ ეგუება ქვეყნის კანონმდებლობას. ზოგჯერ ამგვარ თვალ-საზრისს აძლიერებს თავად პოლიტიკოსების განცხადებებიც. ასე მხატვითად, 1993 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა გადასახადების ზრდის და ხარჯების შეკვეცის თავისი პროგრამა დაიწყო მოსახლეობისადმი მიმართვა-გაფრთხილებით, რომ პროგრამის ჩაშლას შეეცალებიან ძალზე ძლიერი და გავლენიანი ინტერეს-ჯგუფები, რომელიც შესაბამის იმსტანციებში დაიწყებდნენ პროგრამის სანინააღმდეგო აქციების ლობირებას.

თუ ლობირების კონკრეტულ ნიშუშად ქართულ სინამდვილეს ავილებთ, შეგვიძლია განვიხილოთ 2000 წლის გზაცხელზე ე.ნ. პიროლიზებული ფისის საემზ. ამ წერილმატარებელის ირგვლივ ატენილი დავა შეეხო როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას. დავის საგანი გახდა პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავე და მისი გადამუშავებით მიღებული ზენზინით ვაჭრობის რენტაბელურობა. პიროლიზებული ფისის გადამუშავებას ეწეოდა კომპანია "გაორი", რომელშიც ძლიერი კონკურენტები დაინხსეს იმ ბიზნესშენებმა, ვინც მისდევდა უკვე შზა ნავთობის იმპორტირებას საქართველოში. დაგამ ამ ჯგუფებს შორის დასაწყისში მხოლოდ მასმედიაში გააღწია საპირისპირო ინტერესების დამცველი პუბლიკაციების, თუ ტელერეპორტაჟების სახით. მოგვიანებით საქმეში ჩაერთნენ შესაბამისი პროფილის უწყებები - ეკოლოგიის სამინისტრო და ანალოგიური პროფილის საპარლამენტო კომისია. ერთი მხარე ამტკიცებდა საქართველოში გადამუშავებული ნავთობის საზღვარგარეთ გატანის ან ქვეყნის მიგნით მოხმარების ეფექტიანობას შზა ბენზინის შემოტანასთან შედარებით, ხოლო მეორე მხარე მიუთითებდა რა გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკურ და ტექნიკოლოგიურ სისუსტეზე, ეს მხარე პიროლიზებული ფისის შემოტანას საქართველოში ეკოლოგიურად უაღრესად სახიფათოდ მიიჩნევდა და მოითხოვდა გადამამუშავებელი საწარმოს დაკატეგიას, გაჩერებას. მათ გარკვეული დროის მანძილზე მიაღწიეს ნარმატებას და გააჩინეს "გაორი", თუმცა, მას შემდეგ, რაც საპირისპირო მხარემ მოახერხა პრეზიდენტის დარჩმუნება, გადამამუშავებელმა საწარმომ მოლვა-ნება განახლა და დღემდე ნარმოება არ შეწერებულა.

განხილული მაგალითი ნარმოშობას არაერთ კითხვას ინტერეს-ჯგუფების ბუნებისა და ფუნქციონირების სპეციფიკის თაობაზე. ვთქვათ, ისეთ კითხებს, როგორიც არის ინტერეს-ჯგუფების კავშირი ბიზნესთან ან ეკონომიკურ მომგებიანობასთან. ვთქვათ, არის თუ არა ინტერეს-ჯგუფები ყოველთვის დაკავშირებული

სარგებლიანობასთან და რა სახისანი არიან ისინი?

ვიდრე უფრო დეტალურად გამიერილავდეთ ამ ჯგუფებს. გვინდა ზემოთ აღნერილი კონტრეტული მაგალითის საფუძვლის უკრადლება მივაჰყოთ იმშა, რომ სტანდარტულ კითარუქებში ინტერეს-ჯგუფების მიერ რაიმე გადაწყვეტილების ლობირება, კონფრონტაციაში არ მოდის კანონთან და კანონმდებლობასთან. ლობირება ჩვენში არასწორად არის გაიგივებული "ჩალიჩთან" და "საქმის ჩაწყობასთან" ან, უბრალოდ რომ ვთევათ, მექრთამეობასთან, როდესაც, დავუშეათ, რომელიმე ფინანსური ინტერესების მქონე პირი ცდილობს მოისყიდოს საბაჟოს მოხელეები, რათა ტვირთის მიერ საზღვრის გადმოვცეთისას არ დაიფქირდეს მთელი ტვირთის საბაჟო გადასახადის რეალური ლირებულება. მეგვარი საქმიანობისაგან განსხვავებით, რომელიც კრიმინალურია, ინტერეს-ჯგუფების მიერ ლობირება სულაც არ საჭიროებს კანონის დარღვევებს. ლობირება ინტერეს-ჯგუფის მიერ არა კანონთან შეუთავსებელი ინტერესების ცხოვრებაში გატარებას გულისხმობს, რაც ლობისტებს მრავალგვარი სანქციებითა და შეზღუდვებით დაემუქრებოდა, არამედ პირიქით, კანონის მორგებას საკუთარ ინტერესებთან, რაც მათ ლეგალური და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას უტოვდას. ამრიგად, ინტერეს-ჯგუფები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, კონფრონტაციაში არ იმყოფებიან შესაბამისი ქვეყნის კუნინებთან თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან. პირიქით, ისინი უფრო კანონების საკუთარი ინტერესების თარგზე მოქრის ცდილობენ.

განვიხილოთ ჯერ, თუ რა სახის ინტერეს-ჯგუფებზე შეგვიძლია საუბარი. ზოგადად შეიძლება გამოიყოს კუონომიკური, იდეოლოგიური, სამოქალაქო უფლებების, რელიგიური, სახელმწიფო, კონიკური, თუ ბოლოს, ლოკალური ინტერეს-ჯგუფები. შევჩერდეთ რამდენადმე უფრო დაწვრილებით თითოეულ მათგანზე.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინტერეს-ჯგუფი რომელიც არსებობს უკლებლივ ყველა ქვეყანაში ეკონომიკურია. ზემოთ, ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი, რომელშიაც სწორედ კუონომიკური ინტერესები დომინირებდა. ამერიკული ინტერეს-ჯგუფები გაცილებით უფრო დიფერენცირებული სახისაა და გამოვცეთილი ორიენტაცია გააჩნიათ. შეიძლება ცალკე სახით გამოიყოს ბიზნესმენების, ფერმერების, მუშების და სხვადასხვა პროფესიების ინტერეს ქვეყნების.

შეერთებულ შტატებში ბიზნესის ინტერესები წარმოდგენილია მენარმეთა ნაციონალური ასოციაციის და შირთებული შტატების სავაჭრო დარბაზის სახით. ამ გაერთიანებათა ლობისტები კონგრესში ყურადღებით ადგენებენ თვალს დებატებს და თუკი ატყო-

ბენ, რომ კონგრესი პირველს მათთვის საზიანო კანონის მიღებას, რეუკავნ ადგილობრივ ორგანიზაციებში და ტეხენ განვაშს. ეს ორგანიზაციები მეტად ოპერატორულად მოქმედებენ. ვიდრე კონგრესი მოაწყობდეს საბოლოო კენჭისყრას საკითხზე, მათი წარმომადგენლები მასიურად რეუკავნ კონგრესში, გზავნიან საპროტესტო წერილებს და დეპეშებს, ცდილობენ ზემოქმედება მოახდინონ კონგრესმენებზე.

საკუთარი ლობისტური ორგანიზაციები ჰყავთ მუშებსაც. ამერიკული მუშების უმსხვილესი ლობისტური გაერთიანებაა ამერიკის მუშათა ფედერაცია, რომელიც აერთიანებს 16 მილიონამდე წევრს და მოიცავს თავის თავში 105 დამოუკიდებელ გაერთიანებას (როგორიცაა Retail Clercs International Union, The United International Union of Automobile, Aerospace and Agricultural Implement Workers of America და სხვ.) ამგვარ გაერთიანებებსა და ბიზნესის ლობისტებს შორის ხშირია დავა და კონფლიქტები, თუმცა არსებობდა შემთხვევებიც, როდესაც ორივე ლობისტური ჯგუფები ერთად დგებოდნენ და იცავდნენ საერთო ინტერესებს კონგრესში (ისეთ საკითხებზე, როდესაც საქმე ეხებოდა გარემოს დაბინძურების და სხვა გლობალური მნიშვნელობის პრობლემებს).

ფერმერების ინტერესებს ამერიკაში იცავს ამერიკულ ფერმერთა ბიუროს ფედერაცია, რომელიც უმსხვილესია ქვეყნაში და მოიცავს 3,8 მილიონ ფერმერულ ოჯახს. ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1920 წელს. მას ძალზე მფიცირო კავშირი აქვს სოფლის მეურნეობის დეპარტმენტთან. ორგანიზაცია ახდენს ფერმერულ მეურნეობათა სუბსიდირებას, ზრუნავს ფასების რეგულირებაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, გასცემს კრედიტებს და უპირისპირდება მთავრობის მიერ ფასების რეგულირებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს გაერთიანებები სხვადასხვა პროფესიების მიხედვით. ასეთი გაერთიანებებია ამერიკის პოლიტიკურ შეცნიერებათა ასოციაცია, ნაციონალური განათლების ასოციაცია, ან ამერიკის მედიკოსთა ასოციაცია და სხვა, რომლებიც უკვე წლების განმავლობაში წარმატებით ლობირებენ სხვადასხვა პროექტებს ამერიკის მთავრობაში.

გარდა აღნირილი სხვადასხვა სახისა და ტიპის გაერთიანებებისა, რომელთაც ერთმანეთს ამსგავსებთ ის, რომ ისინი ვკონომიკური პრობლემების მოგვარების ირგვლივ იბრძიონ, გარდა ეკონომიკური ინტერეს-ჯგუფებისა, რომლებიც მყარ ნიადაგზე ერთიანდებიან, არსებობენ თუ შეიძლება ასე ეწოდოთ, ერთჯერადი ინტერეს-ჯგუფებიც. ერთჯერადი ინტერეს-ჯგუფები იშვიათად შედგება ხოლმე ეკონომიკური საკითხების მოსაგვარებლად. ამგვარ ჯგუფებს უფრო მეტად სოციალურ-მორალური პრობლემები

აღელვებთ. ასე მაგალითად, ვიუტნამის ომის დროს ანტიმილიტარისტულ მრავალფეროვან დაჯვუფებებს აერთიანებდა ის საერთო ნიშანი, რომ მათ ყველას ვიუტნამის ომი რაღაც იმორიალურ მოვლენად მიაჩინდათ. ერთჯერადი ინტერეს-ჯგუფების ნიმუშად ქართულ სინამდვილეში შეიძლება ჩაითვალოს იმ აქტივისტების მოღვაწეობა 1990 წელს, ვინც მიაღწია სკანერში ხუდონის ელექტრონუაშეალის შენებლობის კონსერვაციას.

არსებობს იდეოლოგიური ინტერეს-ჯგუფებიც. იდეოლოგია შეგვიძლია განვისაზღვროთ როგორც რწმენების გარკვეული სისტემა. შეერთებულ შტატებში არსებობს ორი ძირითადი იდეოლოგია - ლიბერალური და კონსერვატიული. ვრთჯერადი ინტერეს-ჯგუფებისაგან განსხვავებით, იდეოლოგიური ინტერეს-ჯგუფები თავიანთი თვალთახედიდან გამომდინარე განიხილავნ საკითხების ფართო სპექტრს. ლიბერალების გართიანება ამერიკაში ცნობილა, როგორც "ამერიკელები დემოკრატიული აქციებისათვის" (Americans for Democratic Actions), ხოლო მათი კონსერვატორი ოპონენტები კი როგორც "ამერიკის კონსერვატიული კაშშირი" (American Conservative Union). კიდევ ერთმა იდეოლოგიურმა კავშირმა ("ხალხი ცხოვრების ამერიკული წეს-სათვის") ცენტრალური როლი შეასრულა ცნობილი იურისტების, რობერტ ბორკის წინააღმდეგ გამართულ კამპანიაში, რომლის შეფარვაც სურდა პრეზიდენტ რეიგანს უმაღლეს სასამართლოში. სამწუხაროდ, საქართველოში აღნიშნულთა მსგავსი გაერთიანება, რომელიც გარკვეული იდეოლოგიური ინტერესების ღიად მატარებელი იურიდიული პირი იქნებოდა და დაიცვედა მათ საჯარო დებატებას. თუ მასობრივ პუბლიკაციებში, არ არსებობს, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ენთუზიასტებს, რომლებიც დებატებსა და პუბლიკაციებში იცავს ან ზოგადად იდეოლოგიის შესაძლებლობას, ან სულაც "სახელმწიფო იდეოლოგიის" აუცილებლობას. იგივე რიგში შეგვიძლია ჩავაყენოთ ეროვნული იდეოლოგიის პარტია, რომლის იდეოლოგია არანაკლებ ბუნდოვანია, ვიდრე "სახელმწიფო იდეოლოგია".

იდეოლოგიური ინტერეს-ჯგუფებისაგან უნდა განვასხვაოთ რელიგიური ინტერეს-ჯგუფები, რომლებიც განსხვავებულ კონფესიებსს წარმოადგენ. დემოკრატიულ სახელმწიფოში სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას პოლიტიკურ მხარდაჭერას აღმოუჩენ სათანადო გაერთიანებან. ამერიკელი კათოლიკების პოლიტიკური ინტერესების დაცვას ხელმძღვანელობენ კათოლიკე ეპისკოპოსები, რომლებიც ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ ვაშინგტონშე. ისინი აკონტროლებენ და წარმართვენ ამერიკისათვის ისეთ მნიშვნელოვან აქციებს, როგორიცაა სიღატაკის წინააღმდეგ მიმარ-

თული პროგრამები, აბორტის აკრძალვის მოწინააღმდეგებთა მოძრაობა, მოძრაობა ნუკლეარული პროგრამების დახურვისათვის და ა.შ. პროცესატანტი ამერიკული კელლისები გაერთიანებული არიან კელლების ნაციონალურ საბჭოში. ეს ორგანიზაცია, თავის მხრივ, ლობირებს ბევრ მესამე სამყაროს ქვეყნებს. არაქრისტიანულ რელიგიებს შტატებში შესაბამისი ლობი ჰყავთ. ისეთი იუდაისტური რელიგიური ორგანიზაციები, როგორიცაა ამერიკულ ებრაელთა კომიტეტი და ბნა პრიტი, სამოქალაქო უფლებების და რელიგიური ტოლერანტულობის გარდა, ლიად ლობირებები ისრაელის სახელმწიფოს.

რამდენადაც ებრაული უმცირესობის ინტერეს-ჯგუფების ძალისა და ზეგავლენის შესახებ სხვადასხვა ტიპის მითოლოგიები იქმნება, ლირს ორიოდე სიტყვით უფრო დეტალურად შეკრირდეთ ამ საკითხზე.

თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობაში რამდენიმე მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოვლენამ ებრაელ ხალხს გამორჩეული ადგილი მიაკუთხა და მსოფლიო პოლიტიკას ებრაული პრობლემის სახით წარმოუდგა. პირველი, რამაც ებრაელთა პრობლემების ინტერნაციონალიზაცია გამოიწვია მეოცე საუკუნეში უთუოდ იყო პიტლერის პოლიტიკა. პიტლერის ანტიებრაულმა აქციებმა 6 მილიონი ებრაელი შეიინრა. ებრაელების დევნამ და ანტიებრაულმა იდეოლოგიამ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დღის წესრიგში დამზადდებული ებრაული სახელმწიფოს შექმნის საჭიროება დააყენა. ასეთი სახელმწიფო შექმნა კიდევ 1948 წელს, მაგრამ ამით პრობლემა ვერ გადაიქრა, რადგან პალგაზრდა სახელმწიფო დაარსებისთანავე ჩაება სამხედრო კონფლიქტებში არაბულ ქვეყნებთან.

შემორე ფაქტორი არის ის, რომ როგორც შეერთებოდნ შტატებში, ასევე რესეტშიაც არსებობდა და არსებობს საკმაოდ გავლენიანი დიდი ებრაული თემი, რომელიც შეადგენს სოლიდურ ინტერეს-ჯგუფებს. დაბოლოს, მესამე ფაქტორი მიგვითითებს იმ ეკონომიკურ რეგიონზე, სადაც განთავსებულია ებრაული სახელმწიფო. რეგიონი ძალზე მდიდარია ენერგომატარებლებით, ნავთობით და მიტობ, რასაცირკელია, მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოებისათვის, რეგიონით დაინტერესება ძალზე დიდია. მსოფლიოს გავლენიანი სახელმწიფოები, ცხადია, დაინტერესებული არიან რეგიონის სტაბილურობით, რის გარანტიასაც ისინი რეგიონში დემოკრატიის გავრცელებაში ხედავთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ავტორიტარულ და ფუნდამენტალისტურ სახელმწიფოებთან კონფლიქტში მყოფი ისრაელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ასპარეზზე.

აკტორების უმრავლესობა მითიურს უწოდებს ხმებს ეპრა-ელების დომინანტური მდგომარეობის შესახებ ამერიკის ბანკებსა და მასმედიაში. ძალზე დიდ როლს ასრულებს თავად ებრაელების განასახლების ფაქტი. მათი გადამზუდები უმრავლესობა ცხოვრობს მსხვილ ურბანისტულ ცენტრებში (შტატების მიხედვით, მათი უმრავლესობა განსახლებულია ნიუ-იორკის, ფლორიდის და კალიფორნიის შტატებში) და ამგვარი კონცენტრაციის ნებაღობითაც ძალზე აქტიურია პოლიტიკურად. გარდა ზემოთ აღნიშვნული ლობისტური ორგანიზაციებისა, არსებობს კიდევ ამერიკულ ებრაელთა სამოქალაქო ურთიერთობების კომიტეტი და მირითად ებრაულ ორგანიზაციათა პრეზიდენტების კონფერენცია, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ებრაელ ამონიჩეველთა პოზიციას არჩევნებში. პოლიტიკურად აქტიური ებრაელები, როგორც ნესი, დემოკრატიული პარტიის წევრები არიან და ებრაული უმცირესობაც ამერიკაში არჩევნებში ხმას ამ პარტიის აძლევს. თუმცა, არსებობს საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც ებრაული თემი უკამაყოფილო ადმინისტრაციის პოლიტიკით ახლო აღმოსავლეთში. არცთუ უსაფუძვლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამგვარი განწყობა იყო ამერიკულ ებრაელთა შორის რესპუბლიკული ბუშის და დემოკრატი გორის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

ებრაულ ლობის ძალზე უიოლებს საქმეს ის გარემოება, რომ ამერიკაში მასზე გაცილებით სუსტია არაბული თემი, რომელიც ებრაელებს ჩამორჩება როგორც რაოდენობრივად, ასევე პოლიტიკური აქტივობის ხარისხითაც. ანგარიშებასან ევრია ის ფაქტიც, რომ ისრაელის მთავრობის გონივრულმა პოლიტიკამ, არაბულ ქვეყნებთან კონფლიქტში მყოფ ისრაელს, რიგითი ამერიკულის თვალში, ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის "ბასტიონის" იმიჯი შეუქმნა. ბნაი ბრიტის მონაცემებით 1988 წლისათვის ამერიკულების 44%-ი 13%-ის ნინააღმდევ უფრო მეტ სიმპათიას ამჟღავნებდა ებრაელებისადმი, კიდრე არაბებისადმი.

ებრაული თემა რომ დავასრულოთ, აღვნიშნავთ, რომ საკუთარი ინტერეს-ჯგუფები პეყავთ თავად ისრაელშიაც. ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციაა პასთად რუთი, ისრაელის შრომის საერთო ფედერაცია. მისი გავლენა ვრცელდება არა მხოლოდ დამტკრავებლებსა და დაქირავებულებზე, არამედ ქვეყნის განათლების სისტემასა და კულტურულ ცხოვრებაზე. არსებობს კიდევ სხვა ებრაული ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს და იცავს ისრაელის გარეთ მცხოვრებ ებრაელთა ინტერესებს. ეს ორგანიზაციაა "ებრაელთა დიასპორა". ამ ორგანიზაციასაც ძალზე მჭიდრო კავშირი აქვს ამერიკაში მცხოვრებ ებრაელებთან, რომ-ლებიც დიდ როლს ასრულებენ შეერთებული შტატების მიერ

ისრაელის მხარდაჭერაში. ლობირება ხდება არა მარტო დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროში გაპნეული ებრაელების ინტერესებისა, არამედ მათიც, ვინც აღმოსავლეთში ცხოვრობს. ორგანიზაცია „აღმოსავლელი ებრაელები“ ლობირებს იქმნებო მცხოვრებ ებრაელთა მხარდაჭერის პროგრამებს. მეორე ლობისტური ორგანიზაცია, „შევიდობა ახლა“ კი ცდილობს საერთო ენა გამონახოს პალესტინელებთან, რის გამოც მას ხშირი შეხლა-შემოხსლა აქვს ნაციონალისტური „რჩევნის ბლოკის“ ნარმობად გენდერთან.

პოლიტიკური მიზიდვებისა და ძალადობრივი ხერხებისა, ლიტერატურაში სწორედ გრიფიდად კვალიფიცირდება და არა თუნდაც "სახელმწიფო ტერორიზმად".

გვინდა აქ კლავ გავიხსენოთ ჩვენი საწყისი მინიშნება ტერორიზმის მარგინალურობის თაობაზე. ტერორიზმი, როგორც ძალადობის ფორმა რაღაც არალეგიტიმურია. ლეგიტიმურ ძალადობაზე მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა და თუმცა აბდულ პამიდი არ იწონბდა ვებერის დოქტრინას, მას უთუოდ სკეროდა, რომ ჰქონდა იმის უფლება რასაც აკეთებდა. ამიტომ მოყანილი მაგალითის და აღნიშვნული მოსაზრების გათვალისწინებით, შეჯვიძლია კორექტივი შევიტანოთ ტერორიზმის ჩვენს დეფინიციაში და მივუთოთთ, რომ ტერორიზმი არასახელმწიფოებრივი სუბიექტის მიერ განხორციელებული ძალადობაა, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მოტივები აქვს.

გადავინაცელოთ ახლა ტერორის მასიურისაც ეს. შეიძლება თუ არა ძალადობის უმაღლესი ფორმა, ნებისმიერი ადამიანის მკვლელობა ტერორისტულ აქტად ჩაითვალოს. იქნებ ტერორისტულ აქტად ითვლება მხოლოდ გარკვეულ პირებზე და არა ყველა ადამიანზე ძალადობა. პრეზიდენტმა რეიგანმა უარყო ბეირუტში 1983 ნელს 241 ამერიკელი სამხედრო მოსამასახურის მკვლელობის ტერორისტული ხასიათი "თავისუფლებისათვის მებრძოლთა" არაბული ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ცეცხლს უხსნიდნენ შეიარაღებულ ადამიანებს, რომლებიც იქ სამხედრო მისით იყვნენ და არა უდანაშაულო მოქალაქეებს. შესაბამისად, შემთხვევები, როდესაც ერთი ქვეყნის მოქალაქეები ბრძოლას იწყებენ იგივე ქვეყნის რეგულარულ მილიტარიზმირებულ დაჯგუფებასთან, რომელთაც ყველა საშუალება აქვთ ცეცხლით უსასურო მომხდურს, უფრო ამბოხებად ითვლება, ვიდრე ტერორისტულ აქტად.

განვიხილოთ კადვე ერთი შემთხვევა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღუირში არსებული კონსტიტუციის ფარგლებში წარმატებას მიაღწია "ისლამური გამარჯვების ფრონტის", რომელიც მისახლეობის ფართო ფენებში სრული მხარდაჭერით სარგებლობდა კერ ერთი, არსებული რეჟიმის არაკონსტიტურობისა და კორუმისრებულობის გამო და მეორეც, მათ მიერ არაერთხელ დეკლარირებული ერთგულების გამო ისლამური იდეალებისადმი. "ისლამური გამარჯვების ფრონტის" არჩევნების შედეგებით პარლამენტში მმართველი პარტიის სტატუსი მოიპოვა. აღეირის გაბატონებულ ელიტასთან ახლო მდგომია არაისლამური ორიენტაციის სამხედრო-პოლიტიკურმა ნიერებმა, რომლებიც ვერ შეეგუნ გავლენის დაკარგვას ქვეყანაში,

გარეუქს პარლამენტი და ქვეყნის სათავეში გენერალი ზერუალი მოიცეანეს. ზერუალს ძალზე გაუჭირდა დიქტატორობა. "ისლამური გამარჯვების ორონტმა", რომელსაც ხალხი უჭირდა მხარს, მას მძიმე პრობლემები შეუწინა. "ფრონტი", რომელიც კანონგარეშედ გამოცადდა, რამდენიმე ნაწილად დაიყო. ერთი მათგანი იატაკევეშეთში გადაბარგდა და ტერორისტული საქმიანობა გააჩაღა. სხვები ქვეყნის ძნელად მისადგომ რაობებში გამაგრდნენ და ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუკვადეს, ხოლო მათ ნინააღმდეგ გაგზავნილ სამხედრო ნაწილებს ნამდვილი პარტიზანული ომი გაუჩაღეს. ტერორისტებმა თავიანთ მსხვერპლად ჯერ ხელისუფლების ნარმომადგენლები და მათ მიმართ ლიკალურად განწყობილი პირები გაიხადეს. მოგვიანებით, იმ მიზნით, რომ შეექმნათ უმართავი გარემო ქვეყნაში და რეუიმისათვის სახელი გაეტეხათ საურთაშორისო წრეებში, დაერწმუნებინათ ისინი ხელისუფლების უუნარობაში, ტერორისტებმა ნამდვილი ნადირობა გამააღეს უცხოელ, განსაკუთრებით არაისლამური სარწმუნოების ტურისტებზე.

ვფიქრობთ, მოყვითლი მაგალითებიდან კარგად ჩანს ტერორისტული და არატერორისტული ძალადობის ფორმები. ტერორისტები მსხვერპლად იჩივენ დაუცველ და უდანაშაულო ადამიანებს მაშინ, როდესაც "ფრონტის" ის დაჯგუფება, რომელიც შეიარლებულ სამთავრობო ჯარებთან კონფლიქტში ჩაება, ამბობებულებად უზრა მივიწიოთ.

არსებობს მოსაზრება, რომ სტანდარტულ სიტუაციებში ეს ორი ფენომენი კი არ თანაარსებობს, არამედ ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა ეპოქებში. მიაჩინათ, რომ ტერორიზმი განვითარებული, ინდუსტრიული ქვეყნებისათვის არის დამიახსიათებული მაშინ, როდესაც ამბოხებულთა ბანაკების მოსანყობად საჭიროა მიუდგომელი რეგიონების არსებობა ქვეყნაში. შესაბამისად, ამბოხებულები გაცილებით უფრო ძლიერ და ხანგრძლივ წინააღმდეგობას უწევენ სამთავრობო დაჯგუფებებს იმ ქვეზებში, რომელთა მეურნეობა და კუონიტიკა სოფლის არაინდუსტრიულია, ემყარება სოფლის მეურნეობას და არა მრეწველობის განვითარებას. რევოლუციური ტერორიზმის თვალსაზრისით, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი, ტერორი, შოლოოდ ამბოხებულთა ბრძოლის აღტერნატიული საშუალებაა ქალაქის პირობებში.

ნიშანდობლივია, რომ ოფიციალური ხელისუფლება თითქმის იგივე მეთოდებით ებრძოდა ალუირელ დაპირისპირებული "ფრონტის" მეტროლებს. პროვონციებში განლაგებული ამბოხებულების ნინააღმდეგ, რომლებიც ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ხელისუფლება აწყობდა სამხედრო ოპერაციებს, რისი მსხვერპლიც არაერთხელ გამხდარა სოფლის უდანაშაულო მოსახლეობა. რაც

შეეხებათ ტერორისტებს, რომელთა ხელში ჩაგდება ძალზე მწერი იყო (მათი უმრავლესობა რელიგიური ფანატიზმის, თუ სხვა გარემოებების კარაბით, ხელისუფლებას დაწებებას თვითმკვლელობას ამჯობინებდა), მთავრობის სპეცსამსახურები აღმოჩენის ადგილზევე ანადგურებდნენ.

განხილულ შემთხვევაში, განსხვავება მმართველი რეჟიმის მოქმედებასა და მისი სამირისპირო ძალის აქტივობას შორის, მხოლოდ ძალადობის ლეგიტიმურ და ორალეგიტიმურ გამოყენებაშია. ხელისუფლების მოქმედებას ტერორისტულს ვერ ვუწოდებთ იმისა და მიუხედავად, რომ იგი ძალადობას მიმართავდა ხშირად შეუიარაღებელ და დაუკველ ადამიანებზე. მორალური თვალისაზრისით, ხელისუფლების და ტერორისტების მოქმედება, რა თქმა უნდა, კვევიალუნწურია, მაგრამ პოლიტიკური მოვლენების კონკრეტული ზარისაცა, არ უნდა დავუკვემდებაროთ ჩვენს ღირებულებით ორიენტირებს და შეფასებით მსჯელობებს. ვალდებული ვართ მათ მორის მკვეთრი ზღვარი გავავლოთ.

ეფიქრობთ, ახლა უკვე შეგვიძლია ცნებით დონეზე (და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უნდებენ მათ) ტერორისტულებად მიკიწინოთ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა "ჰაშაზი", "ჰეზბოლაჰი" მცირე აზიაში, ირლანდიის რესუბლიკური არმია და ბასკური ეტა ეკრიპაში ან, ბოლოს, "სანდერა ლუმინსა" (ნათელი გზა) სამხრეთ ამერიკაში.

მართალია ახლახანს ჩვენ საგანგებოდ გავემივრეთ ღირებულებით ორიენტაციას, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთივე დამოკიდებულაბა აქვს საზოგადოერო აზრს ტერორიზმის მიმართ. პირიქით, "ჰალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის" მიღვენეობაში სახელი გაუტენა მთელ მსოფლიოში ჰალესტინელებს ისევე, როგორც ეტას მოქმედება ესპანელ ბასკებს ტერორისტული დაჯგუფებების მხარდაჭერისათვის. შესაბამისად, ტერორიზმი დაგმობა ხელისუფლებათა უმრავლესობის მიერ, რომლებიც შეძლებისდაგვარად არ წავიდნენ დამორბასა და გარიგებაზე ტერორისტულ ორგანიზაციებთან თუ ცალკეულ ტერორისტებთან. თუმცა არსებობს სრულიად სამირისპირო მიღვოშებიც.

ალექსის მოვლენების განხილვისას, ჩვენ არ მიგვითოთებია, რომ ეს დაჯგუფება რომელიმე უცხო ქვეყნის ხელისუფლების მატერიალური ან ფინანსური მხარდაჭერით სამაგებლობდა, მაგრამ არსებობს დე ფაქტო განსხვავებული პრაქტიკაც, როდესაც გარკვეული პოლიტიკური მიზნებიდან გამოსვლით, რომელიმე სახელმწიფო სერიოზულ მხარდაჭერას აღმოუჩენს ან სულაც თავად ქმის ტერორისტულ დაჯგუფებებს. ასეთ შემთხვევაში ხდება ტერორიზმის ინტერნაციონალიზაცია და ის საერთაშორისო

პოლიტიკური პრობლემად იქცევა.

ისრაელთან ოშში ჩაბმული პალესტინელების დიდი ნაწილი, თავად "პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია", იძულებული გახდა სამოძღვოდან გადახვეწილყო. მათ აქტიურად დაუჭირა მხარი ორმა ქვეყანამ, ლიბიამ და საბჭოთა კავშირმა. პირველმა პალესტინელებს დაუთმო ტეროტორია, რომელზედაც სპეციალიზებული სამხედრო ბანაკები მოეწყო. სახელმწიფო ტერორისატულად ითვლება მაშინ, თუ ის მხარს უჭირს ამ ბანაკებში, საბჭოთა მილიონებით, რუსეთში, ჩეხოსლოვაკიაში, აღმოსავლეთ გერმანიაში დამზადებული იარაღით და ამუნიციით მარაგდებოდნენ და ინვაზიურებოდნენ პალესტინელები. მათ საბჭოთა ინსტრუქტორები წვრთნისწინენ. პალესტინელები ინვაზიურებოდნენ არა მხოლოდ ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, არამედ სავსებით კონკრეტული ტერორისატული იპერაციებისათვის. თავის დასაწყისში მოთხოვილი ისტორია, შეიტყობის თავზე აფეთქებული თვითმფრინავის შესახებ, სწორედ ამ ბანაკების მკვიდრთა მიერ იყო განხორციელებული.

არ იქნება სწორი მხოლოდ საბჭოთა კავშირი დავადანაშაულოთ ტერორისატულ ორგანიზაციებთან ფარიზული კავშირისათვის. არანაკლები თანხები აქეს დახარჯული შეერთებულ შტატებს ცენტრალურ ამერიკაში ანტისახელისუფლებო "კონტრას" ან ავთანელ ამბობებულთა სანვაზიურელი ბანაკების მოსახლეობად და საბრძოლო უზრუნველყოფისათვის.

რადგანაც დაპირისპირებული ორი ზესახელმწიფო ვახსენეთ, რომლებიც ერთნაირად ჩატრეული იყვნენ ტერორისატულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ტერორიზმი ცივი ომის საკუთრება იყო, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრი სახით გამოვლინდა გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ყველაზე მეტი ტერორისატული აქტი მსოფლიოში, სწორედ ამ დროს იყო ატენილი ყველაზე დიდი ხმაური მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

რა თქმა უნდა, ტერორისატები მოქმედებათა უმრავლეს შემთხვევაში დაინტერესებულინი არიან ძირითადად არა იმით რაც შეიძლება მეტი ხალხი დახოცონ, არამედ იმით, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს მათი მოქმედებების და არსებობის შესახებ. ეს განსაკუთრებით იოლი ხდება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა მასობრივი ინფორმაციის მსოფლიო ინდუსტრია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტერორიზმი მხოლოდ მეოცე საუკუნისათვის დამხასინათვებული მოვლენაა. ის არც მხოლოდ ცივი ომის საკუთრებაა. ტერორისატები და ტერორიზმი ჩვეულებ-

როგო მოვლენა იყო მუცხვამეტე საუკუნის ეპიკურისაა და წინარევოლუციურ რუსეთში. ტერორიზმი, სულ მცირე, რომის იმპერიის დღეებიდან მაინც მოითვლის თავის არსებობას. იგი ხმირად იღებდა რელიგიურ-პოლიტიკურ სახეს სხვადასხვა კულტურებში, როგორიც იყო პინდუისტი თავები, მუსლიმი ასასინები ან ებრაელი ზილანტები. ასასინებს არ ჭირდებოდათ არავითარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნამოქმედარის "პოპულარზაციისათვის". ისინი მოქმედებდნენ სატახტო ქალაქებში, მასობრივი თავშეყრის ადგილებში და ასობით თვითმხილველის თვალისინი, წმინდა დღეებში მსხვერპლად იჩინებდნენ ყველაზე უფრო წარჩინებულ და თვალსაჩინო მოღვაწეებს.

რამდენადც ტერორიზმი საერთაშორისო პრობლემად იქცა, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან მის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამგვარი თანამშრომლობის შედეგად მოხერხდა იტალიური "წითელი ბრიგადების" და მათი ფრანგულ-გრანატული ორეულების ალაგოვა ევროპაში. მთავრობების მიერ ტერორისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესწავლამ, გამოცდილების გაზიარებამ, დროთა გამნავლობაში ჩამოაყალიბა გარკვეული "მაქსიმები", რომელთაც მკაცრად იცავენ ხელისუფალი.

ამ წესებს შორის უპირველესია დაუთმობლობა. ყოველი ქვეყნის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს არ აპყვეს ტერორისტების მოთხოვნებს. თუმცა, ამავე დროს, მოლაპარაკებებისას მიზანშეწონილად ითვლება ტერორისტებს შეპირდე ყველაფერი, რასაც კი ისინი მოითხოვენ. საფრთხის ქვეშ დადებული პირობის დარღვევა არ ქმნის მორალურ დასკონტრიტს.

ქვეყნები, რომლებიც გმობენ ტერორიზმს, საგანგებოდ ემიჯნებიან იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ტერორისტულ თრგანიზაციებს მატერიალურ და პოლიტიკურ მსარდაფერას აღმოუჩინენ. ცდილობენ ასეთი ქვეყნები პოლიტიკური, ეკონომიკური და მუდმივი დაძლომიატიური ზენოლის ქვეშ იყოლიონ. ანტი-ტერორისტული სახელმწიფოები ცდილობენ მოშალონ კომუნიკაციები ტერორისტებსა და მათ სპონსორ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველთა სიცოცხლისუნარიანობას. ითვლება, რომ ტერორისტების დამშარე სახელმწიფო თავადაა ტერორისტული და გამართლებულია მის მიმართ ძალის გამოყენება. ამგვარი მოქმედების ნიშანს წარმოადგენდა ამერიკის სახელმწიფო საპარავო სამსახური საპარავო ბანკების მიერ ლიბიის ტერიტორიაზე განლაგებული პალესტინულთა ბანაკების დაბომბვა. მოუხედავად იმისა, რომ ინგლისის გუდა არც ერთხა ეკროპულმა სახელმწიფომ მსარი არ დაუჭირა ამერიკელების ინიციატივას, ბანაკების

დაბომბვაშ კადაფის ტერორისტების შემდგომი შხარდაჭერის სურვილი გაუნებლა.

ჰესლინის ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისი ტერორიზმის ომის ტერმინებით ანალიზის შესახებ, აშკარად ვერ უძლებს კრიტიკას. ამგვარი ანალიზის გაფართოება და რეალპოლიტიკური გამოყენება გვაიძულებდა დატყვევებული ტერორისტები განგვეხილა არა კრიმინალებად, არამედ სამხედრო ტყვეებად. შესაბამისად, მათზე გავრცელდებოდა არა სისხლის სამართალი, არამედ ომის სამართალი. არც ერთი სახელმწიფო, რომელიც წუხს ტერორიზმის გამო, არ გაიზიარებს საქმის ამგვარ შემობრუნებას. რეალური ვითარება სრულიად საპირისპიროში გვარჩმუნებს და ტერორისტებს დღვენიან ქვეყნებს შორის საზღვრების გაუთვალისწინებულად ყველგან როგორც კრიმინალებს.

ტერორიზმის არა მხოლოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, არამედ განსხვავებული ტაქტიკა და მიზნები. როგორ შემთხვევებში ის შეიძლება იყოს პოლიტიკური მოთხოვნების ნაყენების ან არა-სასურველი პოლიტიკური მოღვაწის თავიდან მოცილების ყველაზე ეფექტური და მარტივი გზა. როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველოში სწორედ ამ მიმართულებით გამოიჩინა თავი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. პრეზიდენტი ზე თრი წარუმატებელი თავდასხმის გარდა, თავდასხმები განხორციელდა არაერთ პოლიტიკურ მოღვაწესა და თუკიცალურ პირზე. ტერაქტებს შეენირენ ყოფილი პრეზიდენტი ზეიად გამსახურდის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, გია ჭავჭავაძისა და განუკითხაობის ნლებში ტერაქტები საქართველოს ყოფით მოღვაწად იქცა. ამასთან, ყველა ტერაქტი გამიკვეთილი პოლიტიკური მიზნით განხორციელდა. საქართველოში იშვიათია კვანძომიკურ ნიადაგზე დაკვეთილი მკვლელობა. პოსტსაბჭოური რუსეთისაგან განსხვავებით, რომელიც წალეული ეკონომიკურ ნიადაგზე დაკვეთილმა მკვლელობებმა, საქართველოში ამგვარი ანგარიშსწორება მხოლოდ ერთი, ისიც სავარაუდო შემთხვევაა ცნობილი.

დირითადი ცნობები

ტერორიზმი - სახელმწიფო
ტერორიზმი - ამბოხება - გენოციდი

კითხვები:

1. რა ნიშნებით ვახასიათებთ ტერორიზმს, რა ნიშნებით განსხვავდება ის სამხედრო ან პოლიციური აქციისაგან?
2. რა არის ტერორიზმის მიზანი?
3. რით განსხვავდება ამბობება ტერორიზმისაგან?
4. რა შემთხვევაში ითვლება სახელმწიფო ტერორისტულად?

დამატებითი ღია რაოდენობა

- *Robert MacCanna "The Drama of Democracy". DPG 1994*
- *James Henslin "Social Problem". Prentice Hall, 1990*
- *James Ray "Global Politics". Houghton Mifflin Comp. 1990.*

ს ა ხ ე ლ მ ი ფ ი ზ ი რ ი ბ ა ს ა ხ ე ლ მ ი ფ ი ზ ი რ ი ბ ა ს ა ხ ე ლ მ ი ფ ი ზ ი რ ი ბ ა

თუ ტერორიზმი მისი პოლიტიკური ფორმით კონფლიქტში მოღის ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, სახელმწიფო გადატრიალება ამ ხელისუფლებისათვის წაყენებულ პირდაპირ შეუქარას წარმოადგენს. კარგად ჩაფიქრებული და ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება გულმოდგინედ არჩევს პოლიტიკური ძალის ცენტრებს და ცდილობს სწორედ მას მიაყენოს დარტყმა. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა პოლიტიკური კრიზისის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს და შესაძლოა სწორედ მის დროს ვლინდება სახელმწიფოს პოლიტიკური ძალის მაკონსტიტუირებული ელემენტები გაცილებით უფრო რეალურებურად, ვიდრე ომის თუ რევოლუციის პერიოდში. დასაწყისში ვცადოთ სახელმწიფო გადატრიალების ცნების ჩამოყალიბება და გავმიჯნოთ ეს ფუნქციის მონათესავე, მაგრამ განსხვავებული ძალადობრივი ფორმებისაგან.

სახელმწიფო გადატრიალებას ძალზე ჩამოჰვაჭ ე.ნ. "სასახლის რევოლუცია" ანუ სასახლის გადატრიალება. მისი კონკრეტული ფორმა სხვადასხვაგვარია. მმართველი შეიძლება მოკლან ან შეცვალონ სხვა მმართველით. მას შეიძლება გამოუცვალონ მრჩევლები და გარემოცვა და ა.შ. თუმცა, ძირითადი ნიშანი რაც ახასიათებს ყველა სასახლის გადატრიალებას არის ის, რომ იგი ეწყობა "შიგნიდან", "შინაურების" მიერ. ამგვარი გადატრიალების ტიპიური ნიმუშია ძველი რომის საიმპერიატორო გვარდიის მიერ მოწყობილი გადატრიალებები.

აღნიერილი სახის სასახლის გადატრიალებებისაგან განსხვებით, სახელმწიფო გადატრიალება მთავრობის გარედან, თუმცა არა სახელმწიფოს გარედან ეწყობა. სახელმწიფო მოხელეთაგან ამგვარ გადატრიალებაში შეიძლება მონანიღლებდნენ სამოქალაქო ხელისუფლების პირები, არმიის ან პოლიციის წარმომადგენლები. გადატრიალება, როგორც წესი, მიზნად ისახავს ერთმანეთისაგან გათაშოს სახელმწიფოს მოხელეები, ბიუროკრატია და პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ეს ამოცანა ძელი შესასრულებელი იქნება, თუკი აღიაშნული ჯგუფები ერთმანეთს უკავშირდებიან არაფორმალური პოლიტიკური, ეთნიკური თუ ტრადიციონალისტური კავშირებით. სახელმწიფო გადატრიალებისაგან უნდა გავმიჯნოთ ისეთი მოვლენები, როგორიცაა რევოლუცია, სამოქალაქო ომი, პუტინი და ა.შ.

რევოლუცია, როგორც წესი, ხორციელდება რაიმე ნინასნარი

დაგეგმულის და ამ გეგმის შესაბამისი მოქმედებების გარეშე, რეკოლუციის მართვენ არაკონტინირებული ხალხის ფართო მასები. ისინი მიზნად ისახავენ სოციალური და არსებული პოლიტიკური სტრუქტურის, ისევე როგორც ქვეყნის ხელმძღვანელი კონკრეტული პირების შეცვლას. რეკოლუციის მსკლელობაში შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო გადატრიალებაც ან ქვეყნა გადავიდეს სამოქალაქო ომის მდგრმარეობაში. სამოქალაქო ომი გაჩილდება ნაციონალურ შეკარალებულ ძალებს შორის (მნიშვნელობა არა აქვს რეგულარული სამხედრო და პარამიტიტარიზებული დაჯგუფების, მოხალისების პროცენტულ მონაცემებს) მთავრობის გადახყენებლად.

არსებობს სამხედრო გადატრიალების ესპანურ-ლათინოამერიკული ვარიანტი, ე.წ. "პრონაუმსიმენტო", რომელსაც უფრო სამხედრო რიტუალური სახე გააჩინა. აგვარ გადატრიალებებს იდეოლოგიური თვალსაზრისით უფრო ლიბერალური ხასიათი აქვს და მიმართულია არსებული დიქტატურების ნინააღმდეგ. შესაბამისად იმისა, თუ როგორ თანდათანობით მემარცხენე ხდება მთავრობა, ხოლო არმია სულ უფრო და უფრო მემარჯვენე, ამგვარი გადატრიალები წერილისერვატიულ ხასიათს ატარებს. სწორედ ასე მიერება არმიას ესპანეთში გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში "ნაციონალური სულის" გამომხატველის სახელი, რომელიც მზადაა წავიდეს არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ხალხის ნების ნინააღმდეგაც. "პრონაუმსიმენტო" მართალია კონკრეტული სამხედრო ლიდერების მიერ ეწყობა, მაგრამ ისინი მოქმედებენ მთელი არმიის სახელით. სწორედ ესაა მისი ძირითადი განმსახვავებული ნიშანი პუტინის ან სახელმწიფო გადატრიალებისაგან, რომელშიც არმიის მხოლოდ გარკვეული ნაწილები მონაწილეობენ.

"ლიბერაცია" ანუ გათავისუფლება რომელიმე ხალხის ან ხახელმწიფოს ცვლილებების მოხსრეთა მიერ ცხადდება ხოლმე ხელისუფლების სანინააღმდევეო უკხოური სამხედრო ან დიპლომატიური ინტერვენციის წარმატების შემთხვევაში. ამგვარი "გათავისუფლების" კასაცურ ნიშულად ასახელებენ რუმინეთში კომუნისტური ხელისუფლების იმსტადლაციას 1947 წელს. ამგვარი შემთხვევებისგან მკვეთრად გამსხვავდება "გათავისუფლების" ის ნაირსახეობა, რომელსაც (სულ ერთია ის იღებს თუ არა დახმარებას კვეყნის გარედან) მიზნად აქვს არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ ქვეყნის რომელიმე ცალკეულ ნაწილზე საკუთარი კონტროლის გავრცელება. ასე იქცოდა ვიტ კონგი სამხრეთ ვიუტნაში ან ქურთები ერაყსა და თურქეთში.

პუტინი არსებოთად ომის პერიოდის ან ომის შემდგომი ხანის

მოვლენაა. პუტის სათავეში უდგას არმიის შიდა ფორმალური ხელმძღვანელი და მის მიერ დანიშნულ სამხედრო ლიდერები.

სახელმწიფო გადატრიალება ყოველივე მისაგან განსხვავებით, მოკლებულია „ფართო მასებთან“ კონტაქტს, პროპაგანდისა და ორგანიზაციის საშუალებებს. მისი ლიდერები სიამოვნებით გამოიყენებდნენ არმიის დიდ ნაწილებს, მაგრამ მათ არმიასთან ფართო მისასვლელიც გადაკეტილი აქვთ. სახელმწიფო გადატრიალებაში, როგორც ზემოთ აღნინიშნა, შეიძლება არმიაც მონაწილეობდეს, ოღონდ უაღრესად შეზღუდული კონტიგენტით. გადატრიალება შეიძლება განხორციელდეს სპეცსამსახურების ან პოლიციის ძალებითაც, თუ არმაში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა.

სახელმწიფო გადატრიალების კიდევ ერთი სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ იგი არ არის იდეოლოგიურად მაინცდამაინც დატკირთული. თუ ამ თვალსაზრისით ნარმოვადგრძნთ ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის სპექტრს, შეგვეძლო გვეთქვა, რომ რევოლუციები მემარწყენეთა საქმეა, პუტის და „პრონუსტიმენტო“ მემარჯვენებისა, ხოლო სახელმწიფო გადატრიალება ნეიტრალუების. ამგვარი პასუხი ბურებრივად წამოქმნის კითხვას - თუ სახელმწიფო გადატრიალების წყარო არც ხალხის მასებია და არც შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები, მაშინ საიდან იღებს ის სათავეს? მოკლე პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: თავად სახელმწიფოსაგან. აქედან, სახელმწიფო გადატრიალების ფუნქციონალური გასაზღვრებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი გულისხმობს სახელმწიფო კრიტიკული მნიშვნელობის მქონე პარატში მცირე, მაგრამ ქმედითუნარიანი სეგმენტის იმსტალაციას, რომელიც შემდეგ გამოყენებული იქნებოდა იმისათვის, რომ კონტროლის სადაცები ჩამოაცილოს ხელისუფლებას.

იმისათვის რომ სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდეს, ჯერ შესაბამისი პირობები უნდა მომწიფდეს. ამ პირობებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ:

- მკაცრი და ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი, პლიუს უშუშევრობის მაღალი დონე და ინფლაცია;
- ხანგრძლივი და წარუმატებელი ომი. მნიშვნელოვანი სამხედრო ან დიპლომატიური მარცხი;
- ქრონიკული არასტაბილურობა მრავალპარტიული სისტემის პირობებში;
- სახელისუფლებო სტრუქტურების უკიდურესი არაპოპულარულობა და „ახალი სახეების“ მოლოდინი;
- ქვეყანაში უნდა არსებობდეს იმგვარი სოციალ-ეკონომიკური პირობები, რომ გადატრიალების პროცესში ხალხის მასებმა და ბიუროკრატიამ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნონ;

- (f) გადატრიალების წარმატებისათვის აუცილებელია ქვეყნის ხელისუფლების ცენტრალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გადატრიალებას "ცენტრში" შეიძლება მოჰყვეს რომელიმე რეგიონის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაც დღის წესრიგში დააყენებდა გადატრიალებების მთელი სერიის საჭიროებას;
- (g) ბოლოს, იმისათვის რომ გადატრიალება წარმატებით განხორციელდეს, საჭიროა ქვეყნის გარანტირებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ეს ფერმენტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ლირს მასზე უფრო დეტალურად გავაძიავოთ ყურადღება.

1956 წელს უნდარეთში ოპოზიციურმა ძალებმა ძალაზნ იოლად და სწრაფად მიღწიეს წარმატებას. მათ დაიკავეს არა მხოლოდ ქუჩა, არამედ მოპოვებს სახელისუფლებო სტრუქტურების, მათ შორის ნაციონალური არმიის, პოლიციის, კომუნიკაციების საშუალებების ხელმძღვანელთა სრული ლიონალობაც. ერთადერთი, რაც ანტიკომუნისტურმა ოპოზიციაში ვერ გაითვალისწინა, ეს იყო ქვეყნის შეინით მდგარი საბჭოთა არმია, რომელმაც, საბოლოო ჯამში განაირობა კოდეც გადატრიალების წარუმატებლობა. ეს მაგალითი გავაწინობს, რომ გადატრიალება ქვეყანაში, რომელიც გარე ძალაზეა დამოკიდებული, განწირულია მარცხისათვის. მდგომარეობა თითქმის უიმედოა, როდესაც უცხო ქვეყნის აღმატებული სამხედრო ძალა ქვეყანაში იმყოფება. სწორედ ამიტომ ქვეყნის დამოუკიდებლობა წარმატებული გადატრიალების ერთ-ერთი უძინვნელოვანესი პირობაა.

აյ უთუოდ საჭიროა გარეული დაზუსტება, რადგან არსებობს სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოზე დამოკიდებულების გარკვეული ხარისხები. მხოლოდ რიტორიკული შეიძლება ენოდოს ისეთ განცხადებას, რომ ქვეყანა ან თავისუფალია, ან არა. რეალურად კითარება უფრო რთულია. რა თქმა უნდა, უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების ყოფნა მეორე ქვეყანაში, ერთი ქვეყნის მეორეზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხია, მაგრამ არმაკულებ მნიშვნელოვანია როდესაც განათლების, სამართლის სისტემები, ვაჭრობა და კომუნიკაციები ასევე მოჭრილია მეორე ქვეყნის თარგზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე დამოკიდებულებაც სამხედრო განვრთინლობისა და შეიარაღების თვალსაზრისითაც.

სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ძნელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებას იცავს ჯარი, პოლიცია და საიდუმლო სამსახური, არამედ იმიტომაც, რომ მათთან ერთად ქვეყნის პოლიტიკურ ძალაუფლებას ინანილებნ პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა გაერთიანებები და ინტერეს-ჯგუფები, რეგიონალური,

ეთნიკური თუ რელიგიური გაერთიანებები. ის, ვინც აწყობს სახელმწიფო გადატრიალუბას, ვალდებულია გაერკვეს მთელ ამ სპექტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინ, თუ პოლიტიკური ძალა გაეცემული იქნა აძსტრატეგიად, ანუ ამგვარად ჩაითვალა მხოლოდ სახელისუფლებო ძალოვანი სტრუქტურები, მიმერ პრობლემები გარდაუვალია.

1961 წელს პრეზიდენტ დე გოლს ოთხი გენერალი აუჯაბყდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სამხედრო მონაცემებით, გადატრიალება წარმატებით უნდა დასრულებულიყო, იგი დამარცხდა. მიზეზი ის გახლდათ, რომ შეთქმულებმა გადაჭარბებით შეაფასეს არმიის როლი და ანგარიში არ გაუწიეს სხვა პოლიტიკურ ძალებს ქვეყანაში.

სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკურ სპექტრშე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ძალა. შეთქმულები წარმატების მისაღწევად ვალდებული არიან გაანეთრალინ ქს ძალები. ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა, ვთქვათ დიდი ბრიტანეთი, გასანეიტრალებელ პოლიტიკურ ძალებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ:

- ორი მირითადი პოლიტიკური პარტია;
- ტრედიუნიონების კონგრესი და სხვა პროფესიული გაერთიანებები;

- ბრიტანელ მრეწველთა კონფედერაცია;
- მთავრი სოციალური სერვისი და აკადემიური კომპლექსი;
- სიტი და მისი კორპორაციები, პრესა.

ეს სია შეიძლება მნიშვნელოვნად გადახალისდეს მოვლენების რომელიმე კონკრეტული მიმართულებით განვითარებისას. იმ შემთხვევაში თუ საქმე შეეხო ბრიტანეთის იხტერესებს ახლო აღმოსავლეთში, უკეცვლია საქმეში ჩაერთვებიან:

- ორი მთავარი ბრიტანული და ნაწილობრივ ბრიტანული ნავთობკომისიები;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს აკადემიური "არაპისტული" ჯგუფი;
- ბრიტანელ ეპრაელთა ცენტრალური ორგანიზაცია.

აღნიშნული ტიპის სია შეიძლება შედგეს ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით. თუმცა, მისი მონაწილე სუბიექტები, ალბათ, განსხვავდებული სახისა იქნება. ჩვენი თემისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი გაცნობიერებას, რომ პოლიტიკური ძალა-უფლება სახელმწიფოში კონსტიტუირდება მსგავსი "ძალების" ურთიერთობისმედება-დაპირისპირებით, რისი შედგევი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძალთა ბალანსი წარმოდგენილია სელისუფლების მიერ.

სახელმწიფო გადატრიალების მიზანი არ არის არსებული პო-

ლიტერატური სისტემის ყოვლისმომცველი წერება. ეს რევოლუციის ამოცაა. მისგან განსხვავებით გადატრიალება მიზნად ისახავს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას არსებული სისტემის შენით. ეს კი ორლად შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც სისტემის ახალ სტატუს კვოს (status quo) მხარს დაუჭრებო ის ძალები, რომელთაც ხელისუფლების ცვლილება დაკავებული პოზიციის დაკარგვით ემუქრება. სახელმწიფო გადატრიალების ინტერესებში უსულაც არ შედის სახელმწიფო ბიუროკრატიის განადგურება. შეთქმულთა ამოცანაში შედის (ა) სახელმწიფო მანქანაზე კონტროლის გავრცელება და (ბ) ამ მანქანის გამოყენება უკვე ქვეყანაზე ხელისუფლების გასაცემლებლად. ამიტომ გასაგებია, რომ ბიუროკრატია შეთქმულთათვის საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტების მართვისათვის მას შემდეგ, რაც ისინი ხელისუფლებას ჩაგდებენ ხელში.

გადატრიალების კონკრეტული სტრატეგია აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით შემდეგ მომენტებად გაიშლება: (ა) ტრანზიტული პერიოდი, რომლის დროსაც ხდება გადატრიალების მომხრეთა მიერ ახალი წევრების მოზიდვა, კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება. წარმატება დიდადა დამოკიდებული ტრანზიტული პერიოდის სწრაფ გავლაზე; (ბ) იმ ძალების სრული ნეიტრალიზება, ვინც პოტენციური მოწინააღმდეგება გადატრიალებამდე ან მას შემდეგ; ბოლოს, (გ) ოპერაციონალური ფაზა, რომელიც მომენტები სუბიექტების ანონიმურობას მოითხოვს და კიდევ უფრო სწრაფად არის გასავლელი, ვიდრე ტრანზიტული პერიოდი. მოქმედების სისწრაფე გადატრიალებისათვის არსებითა რათა შეთქმულებმა მოახერხოს იმ ბურიბრივი უპირატესობის რეალიზაცია, რომელიც მათ აქვთ ხელისუფლების დამცველებთან შედარებით, რომლებიც მომლოდინეს პოზიციაში იმყოფებიან მანამდე, ვიდრე აღმოჩენენ შეთქმულების არსებობას.

ძალოვან სტრუქტურებზე ზემოქმედება იწყება მისი წევრების რეკრუტირებით, ორონდ ამ პროცესს წინ უნდა უძლოდეს თავად იმ ძალოვანი სტრუქტურების შერჩევა (არმია, სპეციალური სამსახური, პოლიცია), რომელიც სახელმწიფო გადატრიალების საყრდენი ხდება. შერჩევა ამასთანავე გულისხმობს ყველა სხვა ძალოვანი შენარჩინის ნეიტრალიზებას (მათი ქმედითუნარიანობის მოშლას ან ლოგიალურობის თუ არა წეიტრალიტეტის მოპოვებას).

შერჩევულ ძალოვან დანაყოფზე ზემოქმედება იწყება ჯერ ოპერაციონალური დანაყოფის იდენტიფიკაციით და მისი წევრების რეკრუტირებით. რეკრუტირების პროცესი მოძრაობს ზედაპირული დონიდან სილირმისავენ. რაც შეეხება ოპერაციონალური დანაყოფის შერჩევას, აյ გადამყვეტ როლს ასრულებს დანაყოფის ქმედით-

უნარიანობა და დისლოგაცია. განვიხილოთ ნეიტრალიზებულ და საქმეში ჩართულ დანაყოფთა პროპორციები იმპერიის დროინ-დელი პოტიუგალიის მაგალითზე:

მთელი შეიარაღებული ძალების რაოდენობა	150.000 კაცი
მომხრე და აქტიური შემსრულებლები	3.000 კაცი
ნეიტ. გადამწყვეტი პერსონალის ნეიტრალიზაციის გზით	12.000 კაცი
ნეიტ. დაბალი განვრთნილობის და ალტურებილობის გამო	45.000 კაცი
ნეიტ. დისლოგაციის გამო:	
ა) ანგოლაში	45.000 კაცი
ბ) მოზამბიკაში	25.000 კაცი
გ) პოტიუგალიის გვინეაში	20.000 კაცი

როგორც ვხედავთ, გადატრიალებაში ჩართულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ნეიტრალიზილირებულთა მაჩვენებლები. მოცემული შემთხვევა ეფუძნება ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე (პორტუგალია კი პატარა და ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, რომელიც დაიღიოდა რადაც არ უზრდადასჯენოდა შეენარჩუნებინა კოლონიები, სადაც მნიშვნელოვან სამხედრო ძალას ამყოფებდა), 90.000 სამხედრო მოსამსახურე პირის ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მნიშვნელოვანი მანძილის დაცილებით დისლოგარებას და ამდენად უკვე მხოლოდ ამის გამოა ნეიტრალიზებული. სხვა ქვეყნის და სხვა პერიოდის კონკრეტული მაჩვენებლები სულ სხვა სურათს დაგვიხატავდნენ. მაგრამ, და როგორც წესი, სწორედ ეს შეადგენს გადატრიალების სპეციფიკას, ნეიტრალიზებულთა საერთო რაოდენობა გაცილებით სჭარბობს აქტიურ შემსრულებლებს. ამით აისხება ის ვითარება, რომ გადატრიალების პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც გადატრიალებას წარმართავენ პოლიციის, თუ სპეცდანიშნულების ნაწილები.

პოლიცია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. ზოგიერთ ქვეყანაში ის არმიას უპილოვდება თავისი განვრთნილობით და სუბორდინაციით. სხვაგან კი ექვემდებარება ატომიზირებულ სამოქალაქო მმართველობას და გარკვეულწლილად მის თარგზეა მოჭ-

როლი. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ის, პოლიციის ფუნქცია ყველან ერთნაირია - დანაშაულის აღკვეთა-პროფილაქტიკა და სამოქალქო წესრიგის განმტკიცება. პოლიცია, როგორიც წესი, უფრო ძლიერია იმ ქვეწებში, რომელიც მატებულიდებლობა ახლახასს მოიპოვებ და ამის რემდენიმე მიზეზი აქვს. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ორი: ჯერ ერთი, არმია დამოუკიდებლობა მოიპოვებული ქვეწების სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების პარალელურად ახლად იქმნება და მის ჩამოყალიბებას სხვა იმსტიტუტებისაგან განსხვავებით უფრო დიდი დრო სჭირდება. ამისაგან განსხვავებით, პოლიციის ტერიტორიული დანაყოფები შეიძლება არსებობდნენ კოლონიალურ პერიოდშიაც კი. მეორე მიზეზი ისაა, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოს უჭირს სრულფასოვანი არმიის შენახვა მისი სიძევირის გამო მაშინ, როდესაც პოლიციელთა შენახვა, რომელიც ნახევრად სამოქალქო ცხოვრებით ცხოვრობენ იმდენ ხარჯს არ მოითხოვს. პოლიციის ძალებით ხელისუფლების ხელში ჩაგდება შეიძლება სკადონ იქ. სადაც არმია უზინაშვნელო ან ძალზე სუსტია. მაგრამ, თუ გადატრიალების ინიციატორი არმიაა, პოლიცია ან მის გვერდით დგას, ან ნეიტრალურია. ძნელია მოინახოს შემთხვევა, როდესაც პოლიციის არ შეენარჩუნებინოს ნეიტრალური და გაერთსკოს არმიის ნინააღმდევე გამოსვლა.

ზემოთ აღინიშნა და კვლავ გავიმეორებთ, რომ მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებზე კონტროლი ვერ იძლევა გადატრიალების წარმატების საზუსტევლას. დე გოლის წინააღმდეგ ეფექტური სამხედრო გამოსვლა დამარცხება პოლიტიკურ ძალთა გაუთვალისწინებლობის ფაქტორით. მიზეზი ამისა ისაა, რომ პოლიტიკური ძალა არ ამონტურება არც ძალოვანი და არც მათი მაკონტროლობელი სუბიექტებით. შევჩერდეთ ჯერ-ჯერობით ამ უკანასკნელებზე.

ძალზე ზოგადად თუ ვიტყვით, წმინდა პოლიტიკური ძალების ნეიტრალიზაცია ხორციელდება მათი ლიდერების იდენტიფიციაციით, იზოლაციით და მათი ორგანიზაციული საშუალებების მოშლით. ამ მიმართულებით, ძალზე დიდი წნიშვნელობა აქვს კომუნიკაციების (ტრანსპორტის და საინფორმაციო საშუალებების) ხელში ჩაგდებას ან მოშლას. პოლიტიკური ძალების იზოლაცია, ცხადია, ხელისუფლებისაგან უნდა დაინტენს. ყველა ხელისუფლება არ არის ერთგვარი. რეალპოლიტიკის ენაზე თუ ვისაუბრებთ, ძალზე ზოგადად არსებობს სამი ტიპის ხელისუფლება: 1. საპრეზიდენტო, როდესაც ძირითადი გადაწყვეტილებების სუბიექტი ერთი პირია (აშშ, საფრანგეთი); 2. კაბინეტური სისტემა პრემიერ-მინისტრით სათავეში, როდესაც მთავრობის მეთაურობა უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ვიდრე საპრეზიდენტო ხელისუფლებისას და

გადაწყვეტილებები მიიღება უფრო ფართო ნევრების შემადგენლობით (დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, ევროპის ქვეყნების უძრავ-ლესობა); 3. მთავრობის ე.წ. "strong-men" ფორმა. ამ ტიპის ხელისუფლებისათვის დამასახიათებელი რაიმე სპეციფიკური სტრუქტურა კი არ არის, არამედ უფრო სტრუქტურის საკრთოდ არარსებობა. აღნიშვნული დიფურენციაციის გათვალისწინებით, სხვა-დასხვა მთავრობის გადატრიალება სხვადასხვაგვარად "მუშაობს".

მთავრობის წეტრალიზაცია არ ნიშნავს ყველა მისი წევრის დაკავებას. ასეთ დროს, როგორც წესი, შეირჩევა ის სუბიექტები, ვის განკარგულებასაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სელი-სუფლების გადაცემაზე, ერთი ხელიდან მეორეში გადასვლაზე. ამტომ, ბევრ შემთხვევაში, არავითარი აზრი არა აქვს, ვთქვათ, განათლების ან შრომის მინისტრის გამოდევნას, თუ ისინი არ იქცევან სტუდენტების ან მუშების საპროცესტო გამოსვლების წყაროდ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ამ პოსტებზე უაღრესად პოსულარები პირები იმყოფებიან, რომლებიც პოტენციაში შეიძლება იქცნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოთავეებად, ამ პირების წეტრალიზება შეთქმულთათვის აუკილებელია.

სელისუფლების ხელში აღებას შეიძლება იმ პირებმაც შეუშალონ ხელი, რომლებიც მართალია არ არიან ხელისუფლებაში წარმოდგენილნი, მაგრამ არ იღებენ ხელისუფლების ძალადობით შეცვლის იდეას და ამავე დროს დაკავშირებულნი არიან რაიმე იდეოლოგიურ ან რელიგიურ მოძრაობასთან, როგორიც იყო მეცხრამეტე საკუუნეში განდი.

პოტენციური ოპონენტების მხედველობაში მისაღებად გასა-თვალისწინებელია კიდევ შემდეგი ფაქტორი. ქვეყნებში, საბა-თვადასხვა ძალებს შორის დაპირისპირება არ სცილდება ვერბა-ლურ დონეს, რეაქცია გადატრიალებაზე არ არის მოსალოდნელი იყოს სწრაფი და ცხარე. უფრო სილერმისეული დაპირისპირება გაცილებით მეტ ხითას შეიცავს შეთქმულთათვის. ანგარიშს უწევენ კიდევ იმ გარემოებას, რომ მშვიდობიან პერიოდში არა ყველა აქტიური ჯგუფია ასეთივე ექსტრემალურ ეითარებაში და პირიქით. არსებობენ ჯგუფები, რომლებიც ნირმალური ცხოვრების პირობებში თითქმის არავითარ გამორჩეულ აქტივობას არ ავლენენ, მაგრამ სიტუაციის დაძაბისას მათ უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში, ასეთია მაგალითად National Rifle Association ამერიკაში ან National Union of Students დიდ ბრიტანეთში.

აქამდე განხილული მოყლო მსალა ჩენთვესის საინტერესო ერთი ძრითადი მოსაზრებით. იგი გვიჩვენებს პოლიტიკური ძალის ბუნებას კრიზისულ, გადამწყვეტ ფაზაში, როდესაც სელი-სუფლება აშკარა ხითას ნინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ

ძალაუფლების სტრუქტურები მოუკემულ თავში წარმოდგენილია ხელისუფლების მოწინააღმდეგებთა თვალთახედვიდან, მასალა არ კარგავს შემცირებით ღირებულებას. პირიქით, სახელმწიფო გადატრიალების მომწყობებმა მათი წამოწყების უაღრესად რისკიანი ხასიათის გამო, უნდა ზუსტად გაითვალისწინონ პოლიტიკური ძალის ცენტრები და თავიანთი აქტივობა მიმართონ იმ მირითადი მექანიზმებისაკენ, რასაც უმყარება ხელისუფლება ან სახელმწიფო, როგორც ლეგიტიმური ძალადობის მანქანა. ამ მექანიზმების ანალიზი კი ჩვენი ლეგიტიმის ერთ-ერთი მირითადი ამოცანაა, რადგან ის საკმარის ინფორმაციას გვაძლევს კითხვაზე, რომლითაც დავიწყეთ ჩვენი ლეგიტიმის კურსი. კვრძოდ, თუ როგორ შეუძლია ერთ ან თუნდაც რამდენიმე ადამიანს იძალონოს მიღიონებზე.

პირითადი ცნობები

**სასახლის გადატრიალება - რევოლუცია -
სამოქალაქო ომი - ლიბერაცია - სახელმწიფო
გადატრიალება - პუტინი**

კითხვები:

1. რა პირობები უნიკოს ხელს სასახლის გადატრიალებას?
2. რა მიმენტებს შეიცავს სახელმწიფო გადატრიალების პროცესი?
3. ვის წინააღმდეგ არის მიმართული სახელმწიფო გადატრიალება?
4. რა წყაროებით სარგებლობს სახელმწიფო გადატრიალება?
5. ხელისუფლების როგორი ტიპები არსებობს სახელმწიფო გადატრიალების თვალსაზრისით?

დამატებითი ლიტერატურა

- Edward Lutwak "Coup D'Etat". Penguin Press, 1968
- Leslie Lipson "The Great Issues of Politics". Prentice Hall, 1997

ჩვენი ლექციების კურსის დასაწყისში ნარმოდგენილი იყო პოლიტიკური ძალის იმგვარი განსაზღვრება, რომელსაც პირობითად შეგვიძლია კლისიკური უზნოდოთ. ამ განსაზღვრების მიხედვით, პოლიტიკური ძალა საშუალებათა იმგვარი ერთობლიობაა, რომლის გამოყენებით ერთი ინდივიდი ან ინდივიდების ჯგუფი საკუთარ ნებას თავს ახვებს ათასობით სხვას. პოლიტიკური ძალა ამ გაგებით ძევლია განვაჭვავოთ უბრალო ძალადობისაგან. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი აღბათ ისაა, რომ ძალადობის დევიანტური ფორმებისაგან გამსხვავებით, იგი არის ძალადობა მორჩილების მიზნით და სწორედ ამაში ვლინდება მისი პოლიტიკური ხასიათი.

თავის შერივ, პოლიტიკა, როგორც ვცადეთ გვეჩვენებინა, არსებობს მხოლოდ იქ და მას შემდეგ, რაც ურთიერთობათა სუბიექტად სეკულარიზირებული ადამიანური ნება გამოდის. ისტორიულად ამგვარი რამ თეოკრატიული საზოგადოების რღვევას უკავშირდება ანტიკურ ქალაქ-სახელმწიფოებში. თუ მცაცად ვიტყვით, ანტიკურმა ქალაქებმა სახელმწიფოების სახე მიიღეს მას შემდეგ, რაც კანონიერების წყაროდ ადამიანური ნება დასახეს. არისტოტელეს კითიკურ-პოლიტიკურ ტრაქტატებში საკმაოდ ნათლადაა ასახული ამგვარი განწყობა.

პოლიტიკური ძალის სახელმწიფოში რეალიზაცია სულაც არ უკარგავს მას ძალადობრივ ხასიათს. პირიქით, ახლა უკვე სახელმწიფო იქტევა ძალადობის ფორმად. ამ ორი ფერიმენის იდენტიფიკირით მიღებული ძირითადი ცვლილება შექება არა საკუთრივ ძალადობას, არამედ მის სტატუსს. ახლა სახელმწიფო ხდება ძალადობის ლეგიტიმური ფორმა.

ლექციების დასაწყისში შემოთავაზებულ პოლიტიკური ძალის განსაზღვრებაში ყველა ეს მოქნეტი უკვე ნაგულისხმევია. პოლიტიკური ძალა, რომელიც ჩვენ განხილვის საგნად გავიხადეთ, სახელმწიფო სტრუქტურების ან მათ ფარგლებში გამოვლენილი, თუნდაც საპირისპირო მოვლენის სახით მყოფობს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალის დახსიათება, მისი ბუნების ახსნა, სახელმწიფო სტრუქტურების აღწერებს მიუყვება. პოლიტიკური ლიდერი, ნაციონალური პოლიტიკური ლიდერი, პრეზიდენტი როგორც ნაციონალური პოლიტიკური ლიდერი, მთართველი ბიუროკრატია და ა.შ. იდეის მიხედვით პოლიტიკური ძალის გაშლის მექანიზმს აგვიწერს. ეს შექანიში პირამიდას მოგვაგონებს, რომლის წვერში (მოკემულ შემთხვევაში საპრეზიდენტო ხელისუფლების სახით) ძა-

ლაუფლების კონცენტრაცია თავის მაქსიმუმს აღწევს. ძალაუფლების პირამიდული მოდელი გვიხსნის იმასაც, თუ რა ტიპის საშუალებები არსებობს საიმისად, რომ უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება ცალსახად და განხტოლებად გატარდეს ქვეყნის უკანასკნელ ბოგანო მცხოვრებამდე.

პოლიტიკური ძალის შემოთავაზებული, როგორც ჩვენ ვუნიდეთ, კლასიური გაგება, იმ ავტორების შეხედულებებს ემყარება, რომელებიც ამიდიან ვებერის, მიხელის და სხვა, პოლიტიკური შეცნიერებებისათვის უკვე კლასიურად ქცეული ავტორების ტექსტებიდან. ძალაუფლების პირამიდული მოდელი აღგვინერს ძალის "დელეგირებას" სახელმწიფოს უმაღლესი მოხელედან რიგით ჩინოვიკამდე. ეს მოდელი, სავარაუდოა, სავსებით ადგვა-ტურად აღგვინერს იმ პერიოდის ეკონომიკული ნაციონალური სახელმწიფოების პოლიტიკურ სტრუქტურებს, როგორც ისინი კოლონიალური ომების წყალობით იმპერიებში გადაიზარდნენ....

ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეკონომიკულ ქვეყნებში დემოკრატიულმა პრიცესებმა იმძლავთა. გამარტინდა ხელისუფლების დისემინაციის ტენდენცია, რომელიც პოლიტიკური ძალას მართალია სახელმწიფოს საზღვრებში ტოვებს, მაგრამ ჯერ ერთი, მას არ ზღუდავს სახელისუფლებო სტრუქტურებით და მეორეც, ანანილებს მრავალრიცხოვან ინტერეს-ჯგუფებში. შესაბამისად, პოლიტიკური ძალის სუბიექტებად გამოდიან არა მხოლოდ ქვეყანაში არსებული სახელისუფლებო სტრუქტურებში მონაწილე პირები, არამედ ხელისუფლების გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიების, მრავალფეროვანი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებრი.

პოლიტიკური ძალის აღნიშნული სახის დისემინაციას მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს პოლიტიკური ძალის შესახებ ჩვენს წარმოდგენებში და გვარიშენებს, რომ პირამიდულ მოდელზე უფრო ადგვატურად ძალაუფლება იმ მოდელებში აღინერება, რომელის სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ ურთიერთობებს ბაზრის და ინტერესების ან თამაშის და ინტერესების ტერმინებით გვხსასიათებრი.

ლექციების მანძილზე ჩვენ ვცდილობდით თანმიმდევრულად აგვეხსახ პოლიტიკური ძალის დისემინაცია და პირამიდული მოდელიდან ალტერნატიულ მოდელებზე გადასვლის შესაძლებლობა. საფიქრებელია, რომ ქართული რეალპოლიტიკა სწორედ ამგვარი ბაზისური საფუძვლიდან ამოსვლით უნდა იქნეს განხილული, რადგან ქართული სახელმწიფო დღეს პოლიტიკური ძალის დისემინაციის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. პოლიტიკური ძალა დღეს საქართველოში ქამელეონივით იცვლის ფერს ყოველ

კონკრეტულ პოლიტიკურ ხდომილებასთან შეხებისას. ამაზე მეტ-ყველებს როგორც დამკაირვებლების შეფასებები, ასევე მოქმედი პოლიტიკუსების შეხედულებებიც. ორივე ჯგუფში აღმოჩანაზოთ არა მხოლოდ მნიშვნელოვნად განსხვავდებულ, არამედ ურთიერთ-გამომრიცხავ პოზიციებს. თუ პატრიოტების თვალში საქართ-ველის პრეზიდენტის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება ლა-მის რამზეს მეორის შესაძლებლობებს უზრუნდება, სამარლამენტო ოპოზიცია გაუთავებლად ჩინის აღმასრულებელი ხელისუფლების უძლურებაზე გადაჭრას მოზღვავებული პრობლემები.

სინამდვილესთან უფრო ახლოს ვიწერით თუკი ხელისუფ-ლების ველს საქართველოში წარმოვადგენთ დამოუკიდებელი ინ-ტერესებისა და ძალის ცენტრებად. ამასთან აյ ძირითადად ლაპა-რაკია არა იმდენად იდეოლოგიური ინტერესებზე, არამედ სავსებით კონკრეტულ კუნძომიკურ ინტერესებზე. კუნძომიკური ინტერესე-ბის დამოუკიდებელ ბლოკებად შეგვეძლო გამოგვეყო ჯანდაცვის, ენერგეტიკის, მაღლვანი სტრუქტურების, თუ სხვა სახის ინტერეს-ჯგუფები, რომელთა კონკრეტული დახარისხება და აღნუსხვა ამჟამად ჩვენს მიზნებს სცილდება. საქმიანისია აღნიშვნა იმისა, რომ ყველა მათგანი მონაწილეობს ძალაუფლების დისემინაციაში და სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო ქვეყანაში, სადაც ადგი-ლი აქვს სრულ იდენტიფიკაციას პოლიტიკურ და კუნძომიკურ ძალას შორის. ამის უზრუნველყოფა საბუთს წარმოადგენს წარმატებული ქართველი ბიზნესმენების ლტოლვა ხელისუფლებაში მონაწილეო-ბისაკენ. ისინი პოლიტიკისაკენ იღტვან არა იმის გამო, რომ პო-ლიტიკური ინტერესები უნდადებათ, არამედ იმიტომ რომ ძალაუფ-ლებაში მონაწილეობის გარეშე მათი ბიზნესი უაღრესად სარისკო საქმეება. თითებზე ჩამოსათვლელია იმ ბიზნესმენების რიცხვი, კინც წარმატებას მიაღწია პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე.

მთლიანობაში, თუ საქმეს ლიბერალიზმის განვითარების კუთ-ხით განვიხილავთ, აღმოგაჩინთ, რომ ყოველივე ამან შექმნა უზიკა-ლური მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში ადგილი აქვს პოლიტი-კურ მაგრამ არა კუნძომიკურ ლიბერალიზმს. არადა, გაუკრე-ლებული მსოფლიო პოლიტიკური პრაქტიკა საპირისპირო მაგალი-თებით გვამარაგებს. არსებობს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნები, რომელებშიაც პოლიტიკური და კუნძომიკური ლიბ-ერალიზმი თანაბრადაა წარმოდგენილი. არის ქვეყნები (ჩინეთი ან პინმარქტი) დროინდელი ჩილი), რომელებშიაც კუნძომიკური ლიბ-ერალიზმი შეგუებულია აკტორიტარულ რეჟიმს, მაგრამ ძალზე გავიფირდება ისეთი ქვეყნების დახახლება, სპეციალური მოძი-ების გარეშე, სადაც პოლიტიკური ლიბერალიზმი ადაპტირებული იქნებოდა უმაცრეს კუნძომიკურ დეტირმინაციასთან.

ქართველი დამკარგებლების, ისევე როგორც პოლიტიკოსების უძრავის აზრით, ასეთი სიმახინჯის, ისევე როგორც სხვა მრავალი გადაუქრელი პრობლემის მიზეზზ სუბიექტივისტურია. ისინი მირითადად შეართველი ძარტიის, და მისი ღიღდერის კრიტიკო გამოდან. ამ დისკუსიაში ჩართვის განზრახვის გარეშე, გვინდა მივუთითოთ ერთ ფაქტორზე, რომელიც ყოველგვარ სუბიექტურობასა მოკლებული და რომელსაც ჩვენი მიმოხილვა საგარეო პოლიტიკური საკითხებისაკენ გადამყვავს. ლაპარაკია ქართველი პოლიტიკოსების სტრატეგიულ ხაზზე ააშენონ ნაციონალური სახელმწიფო გლობალისტურ საერთაშორისო ორგანიზაციებზე დაყრდნობით. ასე იმედოვნებენ ქართველები, რომ ნატო შექმნის ქართულ არმიას, სავალუტო ფონდი განამტკიცებს ლარს, სანავთობო კომპანიები ქართულ ეკონომიკას, ეუთო მოაგვარებს აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემებს, ხოლო ჰააგის სასამართლო აღმოფხვავს უსამართლობას საქართველოში. ათწლიანი პერიოდი საქსებით საკიბრისია სამისოდ, რომ ვილაპარაკოთ არა განუწყვეტილ ტრანზიტულობაზე, არამედ საქსებით კონკრეტულ შედეგებზე ჩვენს ქვეყნაში. გლობალისტურ სტრუქტურებზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფო უკვე ჩამოყალიბდა და ჩანს ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდეთ მნიშვნელოვან სახეცვლილებებს. შეგვიძლია გამოვთქვათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ორგანიზაციები, რომელებმაც მთელ მსოფლიოში ნაკიონალური სახელმწიფოების ფუნქციები იტვირთეს და ნიადაგი მოურყიეს მათ არსებობას, გამოდგნენ ქართული სახელმწიფოებრიობის შენებლობის გარანტიად.

